# ივერი

## 1882

წელიწადი მეორე

**№№ VII და VIII**, ივლისი და აგვისტო.

თბილისი
მ. როტინიანცის და კომპ. სტამბა.
1882

# ივლისის და აგვისტოს წიგნის შინაარსი:


I. ოქროს ხოხობი. . . . . დავით დათოშვილისა

II. ორის საფლავზედ (ლექსი). ანტ. ფურცელაძისა.

III. ძვირფასი მხარე ჩვენი წარსული ცხოვრებისა (სამშობლო! დრამა ხუთ მოქმედებათ და შვიდ სურათად; ფრანციცულიდგან გადმოკეთებული თ. დ. გ. ერისთავისაგან). . . . . . სტ. ჭრელაშვილისა.

IV. ამაო ხმები (ლექსი) . . . ანტ. ფურცელაძისა.

V. საფუძვლები სახალხო განათლებისა (გაგრძელება) . . ნიკო ხიზანოვისა.

VI. წუნია ქალი (ლექსი). . . ნესტ. ყუბ—შვილისა.

VII. რამდენიმე სიტყვა. («ივერიის» მაისის «შინაურ მიმოხილვაზედ») ანტ. ფურცელაძისა.

VIII. როდემდის უნდა (ლექსი) . სანდროსი.

IX. საქართველოს მოკლე მატიანე. (გაგრძელება) . . . . მოსე ჯანაშვილისა.

X დაგვირგვინებული მოლოდინი (ლექსი) . . . . . . ა. თუთაევისა.


P. S. სტატიაში—„საფუძვლები სახალხო განათლებისა“ შეგვეპარა კორრექტურული შეცდომილებანი, რომლებიც გასწორდებიან შემდეგში.

# ივერია

სალიტერატურო და საპოლიტიკო

ჟურნალი

6093

წელიწადი მეოთხე

**№ VII და VIII**, ივლისი და აგვისტო.

---

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი
მდ. როტინიანცის და კომპ. სტამბა.
1882



Дозволено цензурою 31 Іюля 1882 года. Тифлисъ.

# ოქროს ხოხობი.

მეშვიდე საუკუნის პირველს ნახევარში ქრისტეს შობის შემდეგ, ერთს დილას, მერვე საათზედ. ანტიოქიის პატრიარქს თეოფილაქტეს ეძინა თავის სამლოცველო ოთახში ტკბილი და ღრმა ძილით. ძილის უკანასკნელ დრომდინ ის იწვა ჩვეულებრივ, როგორც წევს ძილის დროს ყოველი ჩვეულებრივი გვამი: დრო-გამოშვებით ბრუნდებოდა გვერდიდგან გვერდზედ, როგორც ესეც ჩვეულებრივი მოვლენაა თითქმის ყოველი მომაკვდავის ძილში.

მხოლოდ ძილის უკანასკნელს დროს, მერვე საათის უკანასკნელ მეოთხედში, მიიღო მაღალ ხარისხოვანმა ანტიოქიის იერარქმა შესანიშნავი მდებარეობა: ნელ-ნელა აბრუნდა გულ აღმა, დააწყვინა ორივე დაუგები კრავატს, შეატყუა ერთათ ორივე ხელის გულები და მიიღო იმ გვარი მდებარეობა საბანს ქვეშ, რომელსაც შეეძლო ეფიქრებინა მხილველისთვის, ვითომც მძინარეს გულის ფიცარზედ, საბანს ქვეშ, ყოფილიყოს დაბრჯენილი მოკლე ჯოხი.

ეს მდებარეობა მიიღო პატრიარქმა, როგორც ნათქვამია, დილის ძილის უკანასკნელს დროს; ამ მდებარეობის მიღებისათანავე პატრიარქმა რამდენათმე დაჰკარგა ძილის მოსვენება; მან იწყო ძალიან ცოტათ ცოდვილობა თავის შეერთებულ ხელე-

ზისა და მოძრაობა მთელის ტანისა; სჩანდა, რომ რაღაც მა-
გრძნობელი სიზმარი ესტუმრა მას.

დიდი ხანი კი არ დარჩომილა ის ამასთანა მოუსვენარს ძილს და სიზმარში — რამდენსამე წუთის შემდეგ შესანიშნავი მდუმარებით მიღებისა, პატრიარქმა ერთი ამოიოხრა ღრმათ, შეიქნა მაღლა და ცოტა წინ თავისი შეერთებული ხელები, ჰკრა ისინი საბანს, გადააგდო თავის უსულიეთ საბანი წინ და ერთბაშათ წამოჯდა ქვეშაგებში.

მეტის-მეტათ დაღალულათ იგრძნო თავი-სთავი პატრიარქმა სიზმარში ბრძოლისაგან და ცოტათ კიდეც შეკრთა ის ასე თავის უნელიეთ ქვეშაგებში წამოხტომაზედ.

სიზმარმა იმისთანა შთაბეჭდილება დასტოვა პატრიარქზედ, რომ მისი სული და გული იმითი დარჩა შეპყრობილი; ამისთანა შთაბეჭდილების გამოისობით პატრიარქმა მიიღო სიზმარი წინასწარმეტყველურ სიზმრათ და დღე-დღეზედ დაიწყო ლოდინი რაიმე მრავალ-მნიშვნელოვანი მოვლენისა.

მეათე საათი იქნებოდა, რომ ეახლა პატრიარქს მეკარე და მოახსენა — თქვენს მოძღვარს სურს თქვენი ნახვაო.

ეს მოძღვარი თავისის ღრმაულობით, ხშირი მისვლა-მოსვლით პატრიარქთან და უჩივრო ცხოვრებით კარგათა ჰყვანდა მიღებული პატრიარქს და ამისათვის ინება მან მიღება მოძღვარისა თავის კაბინეტში და დაჭირა კარგა ხანს.

ბევრი რამ ილაპარაკეს მათ შესახებ მათის წოდებისა და სამსახურისა, მაგრამ ერთმა კითხვამ მოძღვრისამ მიიპყრო განსაკუთრებითი ყურადღება პატრიარქისა და გამოიწვია ვრცელი და მრავალ მნიშვნელოვანი საუბარი მათ შორის.

**მოძღვარი.** მთელს ანტიოქიაში, ჩვენსა და სხვათაცა დასთა, მოფენილია ხმა, ვითომც საქართველოდგან მოსულან რწმუ-

ნაშულნი პირნი ჩვენს დღეს, ქალაქ კონსტანტინეპოლის, რომელთაც ჰქონიათ მათის ხელმწიფისაგან მინდობილი მრავალი მნიშვნელობიანი თხოვნა ჩვენს ხელმწიფესთან; — ნეტა რას სიშნავს, თქვენო უწმინდესობავ, ამ ხმის გავრცელება?

პატრიარქი. მაგ ხმაზედ გუშინ მეც ბევრი ვიფიქრე და სწორე მოგახსენოთ, შთაბეჭდილება, რომელიც მაგან მოახდინა ჩემზედ, რაღაც საიდუმლო ლოდივით დააწვა გულზედ და ალარა მშორდება. წარმოიდგინეთ, რომ მაგ ხმის შთაბეჭდილებამ ძილიც კი გამიმწარა, არამც თუ ფხიზელს შემიმცირა სიცოცხლის სიმშვიდე; გავლილს ღამეს იმისთანა სიზმარი ვნახე, რომ, თუმცა სასაცილოთ მიმაჩნია საზოგადოთ სიზმრის ყურისგდება, მაგრამ იმის ნახვის უმალვე მიზეზათ ვრაცხ ხსენებული ხმის შთაბეჭდილებას. მოქმედება, რომელიც იქონია იმ სიზმარმა ჩემს სულსა და გულზედ, იმისთანა ცოცხალი და ძლიერია, რომ ვერ შემიძლიან არ მივაწერო მას (სიზმარს) რაიმე ღირს შესანიშნავი მომასწავებელი მნიშვნელობა.

მოძღვარი. მე ვერ წარმომიდგენია, რა უნდა იყოს ისეთი საქართველოს რწმუნებულთა მინდობილება, რომ მან ასე შეაძრწუნოს თქვენი უწმინდესობა; სრულებით არ შემიძლიან ვიფიქრო, რომ საქართველოს არამც თუ რწმუნებულთა, არამედ თვით მეფეთაც შეეძლოთ იქონიონ რაიმე გავლენა თქვენის უწმინდესობის ღირსებაზედ და მდებარეობაზედ ჩვენს ეკლესიასა და სახელმწიფოში.

პატრიარქი. მე არც მიფიქრნია და არცა ვფიქრობ, ვითამც საქართველოს რწმუნებულთა შეეძლოსთ ანუ ჰქონდესთ რაიმე მინდობა ჩემ წინააღმდეგ.

«საქმე იმაშია, რომ წარმომადგენელი ეკლესიისა, ვითარცა წარმომადგენელი სახელმწიფოს სარწმუნოებრივის ნაწილისა, ეს-

რეთივე შვილი არის სახელმწიფოსი, როგორიც შვილია მისი წარმომადგენელი მისის მოქალაქეობრივი ნაწილისა; მე პატრიარქი ვარ, მაგრამ ისეთივე შვილი ვარ საბერძნეთისა, როგორიც შვილია მისი ხელმწიფე; ვალი და მდებარება ჩემი ითხოვენ, რომ ყოველივე მოვლენა, მავნებელი საბერძნეთისთვის, მამაცნდეს მავნებლად ჩემის ღირსებისა და კეთილ-დღეობისათვის; მე, ვითარცა ნამდვილი შვილი საბერძნეთისა, კარგათ ვიცი ჩემი ვალი და დანიშნულება; ჩემს გულსა და სინიდის დიდი ხანია შეთვისებული აქვს ასეთი ჩემი ვალი და დანიშნულება და ამისათვის არ შემიძლიან არამც თუ გულგრილად, არამედ მოსვენებით შეჰხედო ბრძანებასა თუ თხოვნას, საბერძნეთის კეთილ-დღეობისათვის მავნებელს.

მღვდელი. რა შეუძლიან ითხოვოს, და უფრო რა შეუძლიან ბრძანოს საქართველომ მავნებელი ან საშიშარი ჩვენის სამშობლოსათვის; საქართველო არის ჩვენს გავლენასა და მფარველობას ქვეშ და არა ჩვენ მის მფარველობასა და გავლენას ქვეშ.

პატრიარქი. საქმეც მაგაში არის, ჩემო ქრისტესმიერ ძმაო, რომ საქართველოს ერი თავისი ნებით არის შემოსული ჩვენს მფარველობას ქვეშ და მას შეუძლიან ერთს მშვენიერს დღეს ისევ გამოვიდეს ჩვენის მფარველობიდამ, როგორც შემოეფარა მას.

მოძღვარი. რას დავკარგავთ, ანუ რას მოვაკლებთ მით საქართველოს, რომ ჩვენის მფარველობიდგან გამოვიდეს; ჩვენს სახელმწიფოს და ეკლესიას სურს, რომ საქართველოში განავრცელოს და განამტკიცოს ქრისტიანობა, ჩვენგანვე დანერგილი; ჩვენ ამ საქმისთვის თავიდგანვე არ გვიღალატნია და ახლაც არა ვზოგავთ მისთვის არაფერს საშუალებას; მხოლოდ უკეთუ სა-

ქართველთ ზურგს შემოაქცევს ჩვენს ამისთანა კეთილ-მოქმედებას, მაშინ არცარას დავკარგავთ მისი თავის დანებებით და არც არა სანაღვლელი დაგვრჩება.

პატრიარქი ის წარმომადგენელნი ჩვენი სახელმწიფოსი, რომლებიც არაფერ საშუალებას ზოგავდნენ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისათვის, სრულებით სხვა ფრივ უყურებენ მას საგანს. მართალი ქვეყნიერობის ისტორია ერთს მაგალითსაც არ წარმოადგენს იმისას, ვითამც ერთი რომელიმე მხარე, ანუ სახელმწიფო აფუძნებდეს მეორეში ქრისტიანობას, ანუ სარწმუნოებას, იმისთვის, რომ იქ მცხოვრებნი ანუ თითონ სცხოვრობდნენ, ანუ იმოქმედონ იმითი კეთილი საქმე; წინააღმდეგ ამისა ისივე ისტორია მრავალს მაგალითს წარმოადგენს იმისას, რომ სარწმუნოება არის საშუალება, რომლითაც ერთი სახელმწიფო და ხალხი იგდებს ხელსა და დამორჩილებაში მეორე სახელმწიფოს, ანუ უფრო ხშირად ხალხს. განა თვითონ თქვენ არ უწყით, რომ ვინც გვარიგებს და ვისაც პატივის ცემა გვაქვს, იმას დიდი გავლენა აქვს მარტო ჩვენ სარწმუნოებასა და ზნეობაზედ კი არა, მრთელს ჩვენს ცხოვრებაზედაც.

ამას აქეთ, რაც საქართველომ ქრისტიანობა მიიღო, მისი მოქალაქობრივი ცხოვრებაც დამოკიდებული შეიქნა ჩვენზედ. ის პირნი, რომელნიც ჩვენ გავუგზავნეთ საქართველოს პირველ ქრისტიანობის დროს, ქრისტიანობის მქადაგებელნი კი არ იყვნენ საქართველოს უბრალო ხალხში, არამედ ისინივე შეიქმნენ უკეთეს მეგობრათ და მრჩეველათ საქართველოს გავლენიან პირთა საზოგადოთ და თვითონ ხელმწიფეთა, განსაკუთრებით. რადგანაც ჩვენ და ჩვენგნით გაგზავნილნი საეკლესიო მასწავლებელნი შეიქმნენ საქართველოს ხელმწიფეთა მრჩევლათ და მე-

გობრათ, რასაკვირველია, თუ კი რაიმე სიკეთის ანუ სარგებლობის მოლოდინი შესაძლებელია საქართველოსგან, ყოველს ამას მოველით ჩვენ მისგან ყოველს მხრით დაუბრკოლებლივ და უპირველეს ყოველთა სახელმწიფოთა.

მოძღვარი. რას უნდა გამოელოდეს ვითომ ჩვენი სახელმწიფო იმისთანა სუსტ სახელმწიფოსაგან, როგორიც არის საქართველო?

პატრიარქი. თქვენ უწყით, რომ ეხლანდელს დროში ჩვენს და სპარსეთის მეტი სახელმწიფო არ არის ქვეყანაზედ განთქმული, როგორც ძლიერებით, აგრეთვე დამორჩილებული ქვეყნების სიმრავლით. ადგილები, რომელნიც მდებარებენ ევფრატსა და ტიგრს შუა, დიდი ხანია შექმნილან იმის საგნათ და მოედნათ ჩვენსა და სპარსეთს შუა; გამარჯვება სრული და მუდმივი არავის დარჩომია აქამდინ; ხან ჩვენა ვსჯობნით, ხან სპარსეთი, ჩვენი გამარჯვებისათვის ამ ბრძოლასა და ცილობაში დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომხრეობას. რასაკვირველია, საქართველოს მომხრეობა, როგორც ყოველი სხვა სახელმწიფოსიც, შეგვეძლო მოგვეპოვებინა სხვა ფრივაც: მოლაპარაკებით, მოგებული ადგილების დაპირებით და სხვით, მაგრამ ის მომხრეობა და ეს მომხრეობა სულ სხვა და სხვა არიან: იმ პირობით რომ გვშველოდეს საქართველო, მაშინ ყოველი გამარჯვების და შენაძენის ნაწყვარი ერგებოდა მას; გარდა ამისა თითონ საქართველო იმ შემთხვევაში დიდს აზრსა და იმედს შეადგენდა თავის თავზედ; შეიძლებოდა რამოდენიმე დროის შემდეგ საქართველო ისევ გაგვდგომოდა, ჩამდგარიყო ჩვენსა და ჩვენს შემქნილს მამულებს შუა და ჩვენი ძალა და გავლენა ძალიან შეეფერხებინა. ახლა კი, როცა სარწმუნოების სახელით და ერთ სარწმუნოებისთვის არის ის ჩვენი მომხრე, სრულებით სხვა საქმეა: ამ შემთ-

ხვევაში საქართველო თავის სარგებლობასაც უფრო მცირეთ აქ-ცევს ყურადღებას და უარყოფაც ჩვენის მომხრეობისა ამ შემთ-ხვევაში ისრეთივე ძნელია, როგორიც ძნელი წარმოსადგენია სა-რწმუნოების გამოცვლა, ანუ თავის დანებება საქართველოსაგან. აი. ქრისტეს მიერ ძმაო, როგორი მეხუდრეობა ჰქონდათ ჩვენს წინაპართ, როდესაც ისინი ასე ფრთხილათ ექცეოდნენ საქართ-ველოში ქრისტიანობის გავრცელებას და ხელს უწყობდნენ მას.

«ამავე საქმეს აქვს უფრო მწირეული და დაფარული მხარე, რომელსაც ხალხი თავის დრომდე ვერ მიხვდება და, თუნდაც კი-დეც მიხვდეს, თითქმის ვერას გააწყობს. აი მე რაზედა ვლაპარა-კობ:

«სარწმუნოება არის ერთი განათლების შტოთაგანი; იმის დასანერგავათ და გასავრცელებლათ იმისთანა საშუალება არის შე-მოღებული, რომ მის გავრცელებას სხვა ხალხში თან მისდევს გავრცელებაც ჩვეულებისა, ზნეობისა, ჩაცმა დახურვისა და სხვა სამოქალაქო ცხოვრების კუთვნილებისა იმ ხალხისა, რომლის სარწმუნოებაც ინერგება სადმე ანუ ვრცელდება. მაგალითი ჩვე-ნათ ქრისტიანობის გადანერგვისა საქართველოში ცხადათ წარ-მოგვიდგენს ჩვენს პასუხს. როდესაც ჩვენის ეპარქიიდგან ათ-ცხრა-მეტი მამა გავგზავნეთ საქართველოში ქრისტიანობის გასამტკი-ცებლათ, ხალხმა სცნოიდა მათ თავისზე ჭკვიანათ, კეთილათ და უფრო სავსეთ ყოვლის ღირსებით. იმავე დროს საქართველოს ხალხი თავისთვის შეუმჩნევლათ და თავის უნებლიეთ ეჩვევოდა ჩვენს ჩვეულებას, ზნეს და შინაურს მოწყობილობას, რომლებ-საც ჰხედავდნენ მქადაგებლებს სახლისა და კარში. კიდევ სხვა მხარე აქვს სარწმუნოების გავრცელებას სხვა მხარესა და ქვეყა-ნაში: ჩვენი მქადაგებლები საქართველოში მონასტრებსა და ეკ-ლესიებთან სხნიდნენ სასწავლებლებს; ამ სასწავლებლებში სწავ-

ლობდნენ და იზრდებოდნენ ბავშვები რვა და ცხრა წლიდგან თოთხმეტ და ოც წლამდინ; ამოდენა ხნის განმავლობაში საქართველოს ყმაწვილები შეჰკურებდნენ ჩვენს, გარს ჩვენებურათ ჩაცმულს, ჩვენებურათ დახურულს, ჩვენებურათ მოფიქრეს და ჩვენებურათ მოლაპარაკეს; ამ ჩვენებურს მასწავლებელსა და მქადაგებელთაგან, უეჭველია, ხშირად ისმენდნენ საქართველოს მოსწავლე ყმაწვილები ჩვენებურს ფიქრსა და მსჯელობას მათს (ქართველების) ზნეობაზედ, ჩვეულებაზედ და ყოველ ცხოვრების სამკაულზედ

ვიცით იმისთანა მაგალითებიც, რომ საქართველო თავის შვილებს, დანიშნულებს მის შრომათ მასწავლებლათ და ყოველმხრივ გამყვრითნელათ, გზავნიდა ათინში, ხანგრძლივას სტოვებდა იქაურს მონასტრებსა და სასწავლებლებში, შემდეგ მოჰყავდა და ჰყავანდა ცხოვრებაში ხელმძღვანელათ; რასაკვირველია, ეს საბერძნეთში განვითარებული საქართველოს ხელმძღვანელნი თავიანთ ზრდისა და სწავლის დროს ათინში თავის შეუმცდელათ ცოტ-ცოტათ ივიწყებდნენ ჩვენს ჩვეულებას და მოწყობილებას, ბერძნდებოდნენ თავიანთ სამშობლო ქვეყანაში და იქაც ესრეთვე ეწყობოდნენ, როგორც ჩვენნი მაქალაქენი; — ამ სახით, სარწმუნოების სახელით და მისი მიზეზით იგინი თვის უნებლიეთ და თავის გაუგებრათ ავრცელებდნენ თავიანთ მამულში ჩვენის ხალხოსნობის ელემენტებს და ასუსტებდნენ თავიანთ ხალხოსნობის ელემენტებს.

მოძლევარი ვსთქვათ, რომ ეგ მიზანი აქვს ჩვენშინით სარწმუნოების გავრცელებას საქართველოში; მაგ შემთხვევაში სრულებით არაფერს ვხედავთ საკვირველს და საშიშარს; მიზანი თითქმის მიღწეულია; ქათალიკოზები ჩვენები ინიშნებიან საქართველოში, ჩვენშივე იკურთხებიან და ჩვენისავე კათოლიკოს

დამოუკიდებლობაში არიან. ვინც არს ჩვენს კეთილ საიმედოთ და ერთგულ მომხრეთ ჩვენის სახელმწიფოისა და ეკლესიისა. ნუ ინებებთ, თქვენო უწმინდესობავ, იმის კურთხევას საქართველოს ეკლესიების მმართველად.

პატრიარქი. მეც მაგას ვწუხვარ, ქრისტეს მიერ ძმაო, რომ საქართველომ სცნო ეგ ჩვენი დეტოლერება და ძალიანა სცდილობს ჩვენის გავლენისაგან განთავისუფლებას. დიდი ხანია ისა მოდა — საქართველოს წარჩინებულთ წარმომადგენელთ გადაუწყვეტიათ — მოსპონ ყოველივე ეკლესიური დამოკიდებულება ჩვენგნით. ეს ხმები ითხოვდნენ ჩვენგნით, რომ სიფრთხილით მოვეპყრობოდით საქართველოს გავლენიან პირთ. სამწუხაროთ, ჩვენგნით დანიშნულთა ასეთი პირთა შორის გამოჩნდნენ იმისთანა პირნი, რომელთაც თავიანთი გაუფრთხილებლობით საქართველოს სახელმწიფო გარეულობა გამოიწვევს მოთმინებიდგან და ამით თითქმის რამდენიმე ათასს და ოცის წლით აჩქარეს საქართველოს ჩვენგნით გაცალკევებას.

«ოთხ-ას-ორმოც-და ჩვიდმეტს წელში, როდესაც ვახტანგ გორგასლანი დაბრუნდა სპარსეთიდგან საქართველოში, ამ ქვეყანაში მთავარ-ეპისკოპოსად იყო მისული ერი კაცი, რათ მოუწყდა მას ამისთანა გაუფრთხილებლობა, რომ დაუწყო მას კიცხვა და ძრახვა, უდიდეს ხარ ქრისტიანობრივის სახელმწიფოს ტახტისა; ამან აიძულა ხელმწიფე და განუწყინა თავისწინ საქართველოსათვის არს სანატრელი მეფე მას ჩვენგან ეკლესიური დამოკიდებულებისა. განრისხებულმა ვახტანგ გორგასლანმა გამოგზავნა კონსტანტინოპოლში მთავარ-ეპისკოპოსი მიხეილი, სთხოვა ხელმწიფეს მისი განსამართლება, გამოუგზავნა მისეულის ოქმნი და სთხოვა ხელმწიფეს მისი კურთხევა ქათალიკოზად და აუხსნა ამასთანავე ხელმწიფეს, რომ საქართ-

ველოს ეკკლესიის მმართველნი ბერძნის შთამომავალნი და საბერძნეთშივე ნაკურთხნი არ ემორჩილებიან მათ, მეფეთა საქართველოსათა, და ამითი ამცირებენ მათსა ღირსებასა და გავლენასა.

«თუმცა ამასა სწერდა ვახტანგ გორგასლიანი ჩვენს ხელმწიფეს, მაგრამ სახეში კი მას (გორგასლიანს) ჰქონდა უფრო ღრმა და ვრცელი პლანი, რომლის ნასამლისაც არა ჰხატავდა მისი მიწყრილობა. ჩვენმა მეფემაც თვალი და ყური მოარიდა დაფარულს მიზანს გორგასლიანის მოწყრილობისას და უბრძანა მაშინდელს წინა მოადგილესა ჩემსა, რათა უკურთხოს წარმოგზავნილი პირი და გაუგზავნოს საქართველოს ქათალიკოზსათ. დასაწყნარებლათ იმ ღელვისა, რომელიც აღძრა გორგასლიანში მახეილის მიერ შეურაცხყოფამ, ჩვენისავე ხელმწიფის ნებით და მოწყრილობით, უბრძანა ახლად ნაკურთხს ქათალიკოზს საქართველოისას, რათა ემორჩილებოდეს მეფეთა საქართველოისათა.

«თუმცა ამ შემთხვევაში ამითი იკმარა საქართველოს მეფემ, მაგრამ სახეში კი, როგორც წინათა ვსთქვი, დარჩა სრულებით სხვა სურვილი და ლტოლვილება. გორგასლიანმა არ გამოსთქვა სრული თავისი აზრი თვის წერილში ჩვენის ხელმწიფეისადმი მარტო კეთილ-გონიერებით; მან, ვითარცა შორს მხილველმა, კარგათ იცოდა, რომ ყოველი საქმე და განსაკუთრებით ამ გვარი, რომელსაც ის იწყობდა, კეთდება ცოტ ცოტათ, მძიმეთ და არა ერთბაშათ და სიჩქარით, მან კარგათ იცოდა, რომ დაწყობილიყო კი როგორმე მისგან დაწყობილი საქმე, თორემ თუ ყოველნი არა, რომელნიმე მაინც შემდეგი მოადგილენი მისნი უეჭველად განაგრძობდნენ და დაასრულებდნენ მას. მის შეხედულობა ამ საქმეზედ შეუცდომელი იყო; საქმე, მის-

გან დაწყობილი, აქამდინ დაუყენებლივ მოდიოდა სისრულეში და ლამაზ სრულებითაც დაბოლოვდეს.

მოძღვარი. საკვირველია, თქვენო უწმინდესობავ. რატომ ვერ მიუხვდნენ ქართველებს ჩვენი ეკლესიისა და სახელმწიფოს წარმომადგენელნი და რატომ რითიმე არ შეუშალეს ხელი ამ ნაირს საქართველოს მხრით უმადურობას.

პატრიარქი. რასაკვირველია, შეუტყვეს; აკი ზევითაც მოგახსენეთ, რომ პირველისავე წერილის დროს ვახტანგ გორგასლანისა, ჩვენი ხელმწიფე მიხვდა დაკარგულს აზრს მიწერილობისას, მაგრამ უმჯობესად დაინახა ხმის ამოუღებლობა. ამისთანა მიწერ მოწერას დიპლომატიური მიწერმოწერა ჰქვიან და ვგონებ, უნდა მოგეხსენებოდესთ, რომ დიპლომატიაში პირ-და-პირი ლაპარაკი იშვიათია.

«გარემოებანი იყვნენ ისეთნი, რომ საქართველოს ძალით დაჭერა ჩვენს გავლენას ქვეშ არ შეიძლებოდა; ჩვენნი ხელმწიფენი კარგათ ჰხედავდნენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ სიხარულით მიეშველებოდა საქართველოს სპარსეთი. ამისგამო ჩვენთა მეფეთ ვერაფერი მოახერხეს საქართველოს ლტოლვილების წინააღმდეგი და მიანდეს საქმის დაბოლოვება გარემოებას. ისტორიული გარემოებანი აღმოჩნდნენ საქართველოს სასარგებლონი; საქართველოს აღმოუჩნდნენ ღირსნი მოადგილენი ვახტანგ გორგასლანისანი და მცოდნე მწარმოებელი მისგან დაწყობილი საქმისანი.

«ფარსმან მეხუთემ და მისთა მახლობელთა შემწეთა აღარ იკმარეს მით, რომელ ჩვენში ნაკურთხნი და ჩვენივე სახელმწიფოს შვილნი მათნი კათალიკოსნი მათს მორჩილებაში იყვნენ და ერთგულათ ეპყრობოდნენ მათ. ისინი მაინც ეჭვით უყურებდნენ ბერძენთ კათალიკოზთ, რადგანაც კარგათ ესმოდათ, რომ

უკეთუ გარემოებები შეიცვლებოდნენ და საქმე არჩევანზედ მივიდოდა, ქათალიკოზნი საბერძნეთის სარგებლობას უფრო მაღლა დააყენებდნენ, ვიდრე საქართველოსას, ამ მიზეზით ფარსმან მეხუთემ მოითხოვა საბერძნეთიდგან ნების დართვა, რომ საქართველოში ქათალიკოზად ქართველები ყოფილიყვნენ რასაკვირველია ჩვენთა ხელმწიფეთა ესმოდათ ამ თხოვნის ჰაზრიც და ცდილობდნენ, რამდენსაც შეეძლოთ, დაემცრიათ ამ თხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ სრული უარი არ შეეძლოთ, რადგანაც ეს უარი საქმეს წაახდენდა და არას კი არგებდა. ამ მიზენით მაშინდელმა საბერძნეთის ხელმწიფემ, იუსტინიანე პირველმა, მოახდინა განკარგულება, რათა მიეცეს საქართველოს ნება ქათალიკოზის ამორჩევისა ქართველთაგან; მხოლოდ კურთხევა ქათალიკოსისა უნდა ყოფილიყო ისევ ანტიოქიაში. ესლა დარჩა აქამდის თითქმის ცარიელ ნიშნად საქართველოს ეკლესიის სრული მორჩილებისა ჩვენის ეკლესიისადმი. ბევრჯერ გამოჩნდნენ, ჩვენ სახელმწიფოს მმართველებში, მოსურნენი უწინდელის უფლების აღდგენისა საქართველოს ეკლესიის შესახებ, მაგრამ საქართველოს წარმომადგენელნი იმდენათ განვითარდნენ თვითმმართველობაში, რომ ყოველთვის მძლავრად და ცოდნით სთრგუნავდნენ აქამდის ჩვენს ამ გვარ ლტოლვილებას. მეც და ჩემი ადგილის პირნიც ჩვენის სახელმწიფოსი უყურებდით აქამდის საქართველოს ქათალიკოზის ანტიოქიაში კურთხევას, როგორც უმნიშვნელო ნიშანს საქართველოს ეკლესიის უწინდელის დამოკიდებულებისას; მაინც იმდენს არა ვკარგავდით და შესაძლოთა ვრაცხდით მომხდარიყვნენ იმისთანა გარემოებანი, რომ კიდევ აღგვედგინა უწინდელი ჩვენი გავლენა ჩვენგნით დაფუძნებულს საქართველოს ეკლესიაზედ. წარმოიდგინეთ, რომ დღეს ეს უგანასკნელი იმედიც მოესპო და ყოველმა ჩვენმა ზრუნვამ და

ხარჯმა საქართველოს ეკლესიის დაფუძნებაზედ უნაყოფოთ ჩაია-რა ჩვენთვის; დღეს გვესმის, რომ საქართველოს აღარ უნდო-მნია აღარც ეს უკანასკნელი ნიშანი მისი ეკლესიის ჩვენგან და-მოკიდებულებისა გარდაცვალებულა ჩვენგნით ნაკურთხი ქათალი-კოსი ბართლომე და აღარჩინასეს, ქალაქიდ ლის ხელმწიფეს საქართ-ველოსას, დაუნიშნავს მის ადგილზედ უსამღვდელოესი იოანე; მართალია აქ გამოუგზავნია ის საკურთხებლათ, მაგრამ გამოუ-ცხადებია მთავრობასთან მოწადილობა, რომ ნება მისცენ საქარ-თველოს — ქათალიკოსიც ამას იქით აკურთხონ ხოლმე თვი-თონ საქართველოსავე ეპისკოპოზთა საქართველოშივე ამის ნე-ბაც რომ მიეცეს საქართველოს, ამითი შეიქნება სრულიად თა-ვისუფალი ჩვენგნით მისი ეკლესია.

«ჭაზეთი ახლანდელი გამოგზავნილი თხოვნისა ბართლომე ქათალიკოზის სიკვდილზედ წინა ჭორიდა სახლში საქართველოს და იყო გადაცემული ჩვენს სახელმწიფოთაც მე დავესწარ ერთს ყრილობაზედ ჩვენის საეკლესიოთა მმართველთა, რომელ-თაც ჰქონდათ მსჯელობა მასზედ, თუ რა საბუთებით შეიძლება უარ ჰყოს საბერძნეთმა დამოუკიდებლობა საქართველოს თხოვნისა. სხვა და-სხვა საბუთებში წარმოსთქვეს, რომელთა გამოც საბერძ-ნეთს უნდა ეთქვა უარი საქართველოსათვის მის თხოვნაზედ ეკლესიის განთავისუფლების თაობაზედ. აი ეს საბუთები:

«საქართველოს ეკლესია ჯერ არ არის იმდენათ განვითარე-ბული და გამტკიცებული, რომ დაიჭიროს და დაიცვას თავი თავის ღირსებაში, თვინიერ საბერძნეთის ეკლესიის შემწეობისა.

«საქართველოს ეკლესია ერთი სარწმუნოებისაა საბერძნეთის ეკლესიასთან და ამისგანვეა იგი დაფუძნებული; ამისგამო სა-ბერძნეთმა არ უნდა დაანებოს თავი საქართველოს, მანამ იგი

თვით არ შეიძლებს თავის მართვასა და დაცვას შესაფერ ღირ-სებაში.

«თვით ღირსება საბერძნეთისა და მისი ეკლესიისა ითხოვს, რომ საქართველოს ეკლესია, როგორც საბერძნეთისაგან და-ფუძნებული, იყოს მისივე მმართველობის ქვეშ.»

მათმა უდიდესობამ აი რა აზრი ბრძანა ხსენებული საბუ-თების შესახებ:

«ეს საბუთები საფუძვლიანები არიან, მაგრამ მაინც არა კმარან საქართველოსთვის თხოვნისამებრ უარის სათქმელად; სა-ბუთები იმისთანა უნდა იყვნენ, რომ თითონ საქართველო და-არწმუნონ მისი თხოვნის მავნებლობაში და თითონ იგივე და-გვათანხმოს მის ჩვენს გავლენის ქვეშ დარჩომაში. ჩვენ ვართ იმისთანა გარემოებაში, რომ ძალით ვერ დავიჭერთ საქართვე-ლოს ეკლესიას ხელში და ამისათვის თუ საქართველოდგან მო-ვიდა იმ გვარი თხოვნა, როგორიზედაც არის ხმა დაყრილი, ნე-ბის დართვის მეტი გზა აღარ გვექნება»

«ეს აზრი და შეხედულობა მათის უმაღლესობისა წარმო-მიდგა თვალ წინ გუშინ, როდესაც გავიგონე თქვენგნით ნასხე-ნები ანტიოქიაში გავრცელებული ხმა; ამ შეხედულობის მოგო-ნებამ უფრო დაამძიმა ის შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჩემზედ ხსენებული ხმის გაგონებამ; ამ უსიამოვნო და მძიმე შთაბეჭდილებით შეწუხებულმა, დავიძინე წუხელ და უეჭველად ამისგამო ვნახე განთიადისას ის უსიამოვნო სიზმარი, რომლის შიში და უბედურება თითქმის ჯერაც არ მომშორებია თავიდგან. მე მოგახსენებთ ამ სიზმარს და, იმედი მაქვს, თვითონ მიხვ-დებით მის მნიშვნელობას.

«მე ვიდექი ვრცელსა და მშვენივრათ ამწვანებულს მინდორ-ში; ის კი ვერ შევნიშნე, საიდგან და როგორ, მაგრამ ცხადათ

მახსოვს, რომ მარჯვენა ხელში მეჭირა მშვენიერი ოქროს ხოხობი და სიამოვნებით დავცქეროდი მას; ცოტ-ცოტათ შექნა ამ ხოხობმა ჩემ ხელში მოძრაობა და წევა ჩემი ხელიდგან; მე ვცდილობდი ჯერ ერთი ხელით, რომ არ გამეშვა ხოხობი, და ხელს ვუჭერდი მას; ბოლოს, რომ აღარ მოისვენა და მომეტებით დაიწყო წევა, მარჯვენა ხელს მივაშველე მარცხენაც და ორივე ხელით მაგრა დავბღუჯე ხოხობი; მაინც იმან წევა არ დაიშალა; ბოლოს ერთი ღონივრათ გაიწია, გამისხლტა ხელიდგან და გამიფრინდა.

«გამიფრინდა თუ არა ხოხობი, და გამომეღვიძა კიდეც; გაღვიძების შემდეგ ისე დაღალულათ ვგრძნობდი ჩემ თავს, რომ თითქოს დაუსვენრათ და შეუჩვეველს საქმეზედ მემუშაოს რამდენიმე დღე. განსაკუთრებით მაკვირვებს ის, რათ მომწყვიტა ასე გული იმ ხოხბის გაფრენამ. მართალია ოქროსი იყო, მაგრამ სწორე მოგახსენოთ, ოქროცა და ვერცხლიც საკმარი მაქვს და არც მაქვს სიხარბე რაიმე გვარი აქაური (ქვეყნიური) შესაძენისა. ამისთანა მძიმე შთაბეჭდილებისა და გავლენისაგან ვრწმუნდები, როგორც ჩვენითაცა გსთქვა, რომ ხსენებულს სიზმარსა აქვს რაიმე მოსასწავებელი მნიშვნელობა. დღეს, საღამოს ხუთ საათზე, არის დანიშნული ჩვენი მთელი საპატრიარქო ეპისკოპოზთა კრება საქართველოს დეპუტატთა საქმეზედ და არა მგონია, რომ ჩემს აღმაშფოთებელ სიზმარს არა ჰქონდეს რაიმე კავშირი ამ საქმესთან»...

თანახმად პატრიარქის საუბრისა, ანტიოქიაში, თითონ პატრიარქის ზალაში, საღამოს მეხუთე საათიდგან დაიწყეს კრება ეპისკოპოზთა; ხუთი საათის სამს მეოთხედზედ ყველანი იქ ბრძანდებოდნენ, ვისაც მოელოდნენ. ეპისკოპოზთ გარდა ანტიოქიის პატრიარქისათა კრებაზედ დაესწრნენ ახალ-ნაკურთხი ქა-

თალიკოზში საქართველოსი, იოანე, და რწმუნებულნი პირნი, ამასთან ერთათ წარმოგზავნილნი ხსენებულის საქმეზედ.

სხდომა გაიხსნა სალამოს ექვს საათზედ, პატრიარქი თეოფილაკტეს თავს მჯდომარებით; თავსმჯდომარემ აუწყა კრებას შემდეგი საგანი განსილვისა:

«მმართველი და გამგე საქართველოს ეკლესიისა, ქათალიკოზი, ბართლომე გარდაიცვალა, როგორც, ვგონებ, თქვენც უწყით, ქრისტეს მიერ ძმანო: მათმა უდიდესობამ, საქართველოს მეფემ—ადარნასემ წარმოგზავნა ჩვენთან საკურთხებლათ საქართველოს ეკლესიის ქათალიკოსათ, აქა მყოფი, და უკვე ნაკურთხი ჩემ მიერ—იოანე; ამასთანავე მათი უდიდესობა თხოულობს ჩვენგან ნების დართვას, რათა შემდეგში საქართველოს ეპისკოპოსნი თვითონ აკურთხებდნენ თავიანთ ეკლესიისთვის ქათალიკოზსა; მე მაქვს უწყება, რომელ ამ საქმის შესახებ არაფერს უარს არ ნებულობს მათი უდიდესობა, კეთილ-მორწმუნე ხელმწიფე ჩვენი—ირაკლი. თქვენს ღვთის-სასიამოვნო კრებას მოენდობა უკანასკნელი სიტყვა ამ საგნის შესახებ.

შემდეგ ამასა კრებას მოხსენებულ ექნა საქართველოს დეპუტატთაგან შემდეგი საბუთნი, რომელთა გამო საქართველო თხოულობდა ხსენებულს უფლებას:

1. „რადგან საქართველოს ქათალიკოსის კურთხევა არის განწესებული ანტიოქიის პატრიარქისაგან, ამისათვის საქართველოს ეკლესია, ქათალიკოზის გარდაცვალების შემდეგ, ვიდრე ახალი ეკურთხებოდეს, უპატრონოდ რჩება.

2. ყოველთვის ანტიოქიაში მოსვლა ქათალიკოზსათ დიდ ჯაფასა და ხარჯს ითხოვს.

3. არაბებსა აქვთ დაჭერილი საქართველოსა და ანტიოქიის შუა ქვეყნები, რისგამო გზები შეკრულია და ეპისკოპო-

ზის ანტიოქიაში გამოგზავნა, ქათალიკოზობის ხარისხის მისა-
დებათ საქართველოს არ შეუძლიან.

ამ საბუთების მოსმენის შემდეგ კრებამ ნება მისცა საქართველოს ეკლესიას, შემდეგში თავისთვის ქათალიკოსის ამორჩევისა. ამ გვარ გარდაწყვეტილების შემდეგ პატრიარქი ანტიოქიისა სრულებით დარწმუნდა ნახული სიზმრის მომასწავებელს მნიშვნელობაში...

დავით დათოშვილი.

# ორის საფლავზედ.

(უძღვნი კ. ფ. ს)

ნუ მოსთქვამთ აგრე მწუხარედ, ნუ ჰკვნესით ვალალებითა:
ისინი მკვდარნიც ცოცხალან, ცოცხალან თავის ვნებითა.

როდეს გარშემო ჰკაერი მოცული იყო ბნელითა,
რის გამარჯვებულს ბოროტსა ამკობდნენ ღაღადებითა,
იგი ორი ყრმა მაღლათა კაცთ თვის სიმართლეს შესძახდნენ,
გამკლავებულნი ბოროტზედ, თავსა სიმართლეს სწირავდნენ...
ეწამნენ, განჰქრნენ, წავიდნენ! აღარ არს მათი სახელი!
და არცა რა ვის აღელვებს მათი სიტყვა და საქმენი!...
ჩავიდნენ საფლავს და მათ თავს დასცქეროდა მტერთა გუნდები,
და მათ მოძმეთ კი, ტყვეთ ქმნილთა, ფეხთა ეყარათ ხუნდები...
არ გაჰყვა იმათ კუბოთა ხალხი, ცრემლისა მფრქვეველი,
და მათ საფლავზედ არ ჰქუხდა სიტყვა, ზღევისა მთხეველი! ...
მხოლოდ ისმოდა ქვითინი მწარე, დამწვართა მშობელთა
და განკიცხვა და ნიშნთ გება მტერთა, მათზედან მძლეველთა;
მხოლოდ ისმოდა მღელვარედ ქუსილი წყლისა ჩქარისა,
და ღრიანცელი მშფოთვარე მრისხანე ქარიშხალისა...
ჩავიდნენ საფლავს, მაგრამა... აქ დარჩნენ მათნი სიტყვანი
და კაცთა დაჩაგრულს გულში ჰღვივიან ვით ნაბერწკალნი.
მოვა დრო, ქარი წამოჰკრავს, აღაგზნებს ძლიერსა ცეცხლსა.
და გაანათებს ქვეყანას, აუხელს კაცთა თვალებსა.

მაშინ იცნობენ იმათა და მათ საქვეყნო საქმეთა,
და თაყვანს სცემენ მათ გმირთა, გმირთა მათთვის ნაწამებთა!
იცნობენ, რომ კაცთ შვებისთვის იმათ გასწირეს ცხოვრება,
რომ მათ გვართ გმირთა დაჰბადეს თვის კვნებით თავისუფლება...

ნუ მოსთქვამთ აგრე მწუხარედ, ნუ ჰკვნესით ვალალებითა:
ისინი მკვდარნიც ცოცხალან, ცოცხალან თავის კვნებითა!..

ანდ. ფურცელაძე.

# ძვირფასი მხარე ჩვენი წარსული ცხოვრებისა.

(სამშობლო! დრამა ხუთ მოქმედებად და შვიდ სურათად; ფრანციცულიდგან გადმოკეთებული თ. დ. გ. ერისთავისაგან.)

ჩვენ საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გარდაჰხდია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქედია.

ილია ჭავჭავაძე.

## I

პირველსავე წარმოდგენის უმალ სცენაზედ, მე დავწერე «იმედ'ში» პატარა შენიშვნა ზემოთ ამოწერილ დრამის შესახებ და კიდევაც დავპირდი მკითხველებს, რომ შემდეგ ნომერში უფრო ვრცლათ გავარჩევ ამ საამურ მოვლენას, როგორც ჩვენ მწერლობაში, აგრეთვე ქართული თეატრის ღარიბ რეპერტუარ'შია, მეთქი. დავპირდი და აქამდის კი არ აღმისრულებია. ეს არ იქნებოდა საპატიებელი, რომ ჩემი ბრალი ყოფილიყოს, ე. ი. იმიტომ კი ვერ მოვახერხე აღსრულება, რომ ქართველებმა საზოგადოთ უფრო ბაქიაობა ვიცით, და საქმეზე ქედის მიდება კი ჭირივით გვეჯავრება, — ღმერთს გაძლევთ თავდებად, რომ ამ შემთხვევაში მე უფრო ნემენცურათ მოვიქეცი და სიტყვას ზედ საქმეც მივაყოლე. მხოლოდ ღმერთმა ამოაგდოს

მირიანათ ის გარემოება, რომელმაც ქართველი კაცი აიძულა, რომ შეედგინა ანდაზა: «თევზმა სთქვა — სალაპარაკო ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“... იქნება ესლა მაინც არ ჩამიართოს მექთათ, და ჩემი შეხედულობა ამ საგანზედ წარსდგეს მკითხველის მოწყალე ყურადღების წინა. ამიტომ ნუ ვინაღვლით, რაც იყო, იყო—რაღას გავაწყობთ. ვინატრი კია, რომ ხვალაც და ზეგაც ის აღარ მოხდეს, რაც მოხდა... ლაპარაკი ამისთანა საგანზედ ჩვენში ჯერ დიდ-ხანს არ იქნება უადგილო, მომატებული. მეტადრე დღეს, როდესაც ასეთი ლაზათიანი საბუთი გვაქვს ხელში, რომ დრამა «სამშობლო» ეხლახან ცალკე წიგნათაც გამოვიდა. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და, განა არა, ცოტა ბოდიშსაც ვითხოვ მკითხველისაგან, რომ მოკლეთ არ ვაპირობ სიტყვის მოჭრას. მოკლეთ სიტყვის მოჭრა ჩემის მხრით არც კი შეიძლება, რადგან ეს დრამა ბევრს დაადგა ყელზედ, ბევრს გაუმსჭვალა იმან გული, უფრო მომეტებულთ გულში ჩაუშვა რაღაცა ნუგეშებისა და იმედების სხივები. ისეთი ლიტერატურული ქმნილება, რომელიც ახდენს ამ გვარ მძლავრ შთაბეჭდილებას, რომელსაც შეუძლიან ძლიერი გრძნობის გაღვიძება საზოგადოებაში — მასთან გრძნობები, ერთმანეთის მოწინააღმდეგენი—ასეთი ქმნილება ღირსია ყოველმხრივი გარჩევისა, სინიდისიერი გამოკვლევისა, რომელსაც უეჭველად მწერალი ვერ მოახერხებს მოკლეთ, მცირე სიტყვებით გამოსთქვას.

ვიდრე პირ-და-პირ თითონ საქმეზედ გადავიდოდეთ, მკითხველს მოვაგონებ მოკლეთ იმ თითო-ოროლა გარემოებებს, რომელთაც აქვთ კავშირი ამ დრამის ღირსებასთან და მნიშვნელობასთან. შემდეგ იმისა, როდესაც ქართველი საზოგადოება დასტკბა სიამოვნებით, რადგან მოისმინა თეატრში

«სამშობლო»; როდესაც ყოველ მნახველს ამოედგა ენა და აღტაცებით ელაპარაკებოდა თავის ნაცნობთ ამ დრამის სიკეთეზედ, — ამის შემდეგ უცებ გავარდა ხმა, რომ «სამშობლო» ჩავარდნილა ჯაშუშის გაუმაძღარ ჯიბაში, გავარდა ხმა, რომ «მოსკოვის უწყებანი» საშინლად გაჯავრებულან, როგორ თუ ქართველებს თავის წარსული ცხოვრების სურათები მოსწონებიათო, და ერთხელ კიდევ დაუმტკიცებია თავის მავნებელი და მატყუარა ერთგულობა (რომელიც ორგულობაზედ უარესია) მთავრობისადმიო. ეს ხმა ყველასთვის გამართლდა — ვისაც კი შეეძლო, ყველამ წაიკითხა «მოსკოვის უწყებათა» ჯაშუშობა. აღტაცებული სიამოვნება მოშხამა ამ მწარე სინამდვილემ, რომელიც ზედ აფურთხებდა ყველა იმას, რაც შეადგენს ხალხის სიამაყეს, მაღალს გრძნობას სამშობლოსადმი: დამალეთ თქვენი ბაირახებიო, დაურიგეთ იგი ცირკის კლოუნებსაო და ანამც აღარ გამოაჩინოთ ისინი პატიოსან საზოგადოებაშიო. ადვილი გასაგებია, რომ ამ გვარი უშვერი შეურაცხყოფა მთელი ხალხისა ქართველ საზოგადოებას მოუნელებელ ცეცხლათ გარდაექცა. ბევრმა ქართველმა გააკრაჭუნა კბილები მომატებული და გამოუთქმელი ბრაზებისაგან, ბევრმა დაიკრა გულზედ მუშტი და გამწარებით წარმოსთქვა: ჰაი, გიდი, წამხდარო დროვ! ქვეყანა მაშინ წახდაო, როცა დათვი სამღვდლედ გახდაო. რატომ ღმერთი არ გაიცინებს, რომ ქართველი ერი, «მებრძოლი შავის ბედისა», ერი, რომელიც ან მტერს შეაკვდებოდა, და ან იმას მოიდნობდა, ერი, რომელსაც დღესაც თავი მოაქვს თავის წარსული გმირობით, თაყვანს სცემს მამა-პაპურ ცხოვრებას, თითოსაც ჯერ ისევ წარსულის მოგონებებითა სცხოვრობს, მოწიწებით შეჰყურებს ყოველ ემბლემას წარსული დამოუკიდებლობისას, — ამისთანა ერს, უბედურებაში ჩავარდნილს, დავიწყებას მიცემულს, პატივ აყრილს,

ყურ მოჭრილს ყმას, უშლიან, დანაშაულობათ უთვლიან ერთათ ერთ ნუგეშს ყოველი დატყვევებული არსებისას, ღირსება-აყრილ ქმნილებისას, ართმევენ ნუგეშს, რომელიცა მდგომარეობს ერთ უბრალო და უზნევარ საქციელში: მო, ძმანო, დავსხდეთ და მოვიგონოთ,

«ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ, ქართველნი, ძველსა დროსა».

ვის რას აზნევს ასეთი უვნებელი მოგონება? ვის რა ენაღვლება, რომ კაცმა თავისი აწინდელი დარდი მოინელოს უწინდელი ბედნიერებით? რა დარჩენია კაცს ნუგეშათ, რომელიც ერთხელ ყოფილა მდიდარი და ბოლოს, უბედური შემთხვევის წყალობით, გაკოტრებულა? ყოველ თავის გაჭირებაში, აუტანელ უბედურებაში ცდილობს მოიგონოს ის დრო, როდესაც ის ფულითა კოჭაობდა, აბაზებს ესვრიდა ფრინველთა, ქვების მაგიერ, როცა არც კი იცოდა, უფულობა რას ერქვა. ამისთანა მოგონებაში, გაკოტრებული კაცი აყოლებს გულს, გადადის ოცნებაში, ფანტაზიორობს, ვითომც ისევ ეშოვნოს დაკარგული სარჩო, ისევ უწინდებური სითამამით ეკიდებოდეს ცხოვრებას და სხვანი... ამასობაში მას ავიწყდება თავისი უბედური მდგომარეობა, ცოტა ხნით მაინც ედვენთება გულში მოტყუებული, მაგრამ მაინც სიამე. აიღეთ ქალი, რომელიც ერთ დროში ყოფილა გასაშტერებელი სილამაზის მქონე, მაგრამ აგერ ოცდა-ათ წელს ჩაუღუნავს, «კისერში მაგრა ჩაუკაკუნებია», შეჭმარვია ლოყების სიმჭკნარე, დაღმენჭილი ხაზები, შავ-ყვითლათ აჭრელებულნი, თვალებს დაუკარგავს ანდამანტის მიმზიდველობა, მამა-კაცთ ველარ აგიჟებენ მისი დალალი კავები, აბურთული და გაბადრული მკერდები დამჭკნარან და ჩაცვივნულან, გიშერივით

თმას შეჰპარვია ჭაღარა. ამისთანა მდგომარეობაში ქალს კიდევ ერჩის გული, კიდევ აქვს გამოთოხარივების წადილი, კიდევ უნდა მოიგონოს ის დრო, როდესაც უმაწვილ-კაცობა ბუინასავით დასდევდა მას; მაგრამ წადილი რჩება მხოლოდ მსურვალე წადილად: ის აღარ გაუმაწვილდება, იმას აღარ აქვს მომავალი. იმისი სიტკბოება წარსულშია. ის იყურება გავლილ, მოჭმულ ცხოვრებაში და იმითი სტკბება... თუ კი კერძო პირს ილაჯი წარსულში ეპოვება, თუმცა ამ წარსულის მობრუნება იმას არ შეუძლიან, რატომ ერმა არ უნდა ეძიოს იქ სიამოვნება, თუ კი იგი იყო, მით უფრო, რომ ერს შეუძლიან გაუმაწვილებაცა და გამობრუნებაც, იმის მომავლის წართმევაც თითქმის შეუძლებელია.

მაგრამ, რამდენათაც ხალხის წარმატების მტრებს არ ეჭაშნიკათ «სამშობლო», იმდენათ მის მოკეთეებს მიეცათ საბუთი ეღიარებინათ თავისი გრძნობა და სიყვარული იმ თვისებათა, რომელნიც არიან მკვირდი დამტკიცებანი, რომ ერთს დროში ხალხს უცხოვრია სრული თავისი სიცოცხლით, მის ძარღვს უცემნია მრთელი თავისი ღონიერებით, მის სულსა ჰქონია ვრცელი სავარჯიშო ასპარეზი, მის გულს უფეთქია მაღალი მოვალეობის აღსასრულებლად, თავის დამოუკიდებლობის მოსაპოებლად. დრამა «სამშობლოზედ» ამოიღო ხმა ქართულმა პერიოდულმა ბეჭედმა, სადაც ისმოდა დიდი თანაგრძნობა ამ თხზულებისადმი. იმისი დადგმა სცენაზედ თითქმის მუდამ და ყოველ-ადგილას იყო ერთი უშველებელი ტრიუმფი მის ავტორისადმი. თბილისში, წარმოდგენის შემდეგ, თ. ერისთავს ხელით ატარებდა აღტაცებული პუბლიკა. ქუთაისში უარესი თანაგრძნობა გამოუჩინა იმერეთის საზოგადოებამ, ავტორს სახსოვრის და მადლობის გვირგვინი უძღვნეს იქა. ერთი სიტყვით, ამ

დრამამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ სცენაზედ, და ჯერ კიდევაც ბევრჯერ ექმნება შემთხვევა ასეთი შთაბეჭდილების მოახდენათ, კაცის უკეთესი გრძნობების გასაღვიძებლად.

ბევრჯელ რომელიმე თხზულების დასაფასებლათ ისიცა კმარა, თუ რა თვალით მიიღო ეს თხზულება საზოგადოებამ, როგორ ეპყრობა მას საზოგადო აზრი. თუმცა ხშირად ასეთი ზომა მომატყუებელია, ხშირად ისეთი უბრალო და მახინჯი რამ მოვლენა გახდება ხოლმე საზოგადოების კერპათ, რომ უკეთესი წევრნი იმ საზოგადოებისა სირცხვილით იწვებიან თვის მოძმეების მაგიერ. მაგრამ ამ შემთხვევაში, «სამშობლოს» შესახებ, სრულებით არ მოსტყუვდა ქართველი საზოგადოების ინსტინტი, იგი შიმურამა და გარეგნობამ კი არ მიიზიდა, არამედ იმან თავის გრძნობა ააშენა დრამის შინაარსზედ, მის სამოქალაქო აზრზედ.

## II

ამ უნებური წინასიტყვაობის შემდეგ, გადავიდეთ თვითონ დრამის გარჩევაზედ, ვნახოთ მისი ნამდვილი ღირსებანი, არ დავმალოთ იმისი ნაკლულევანებანი, რადგან ნაკლულევანებათა მიფუჩეჩება, მიმალვა არავისთვის არ არის სასარგებლო, ყველაზედ ნაკლებ მათი ავტორისათვის.

დრამის შინაარსი მკითხველმა კარგათ უნდა იცოდეს, ამიტომ სრულებით საჭიროთ არ მიმაჩნია მისი გარდმოცემა. ჩვენ სტატიაში არ დაიჭერს დიდ ადგილს აგრეთვე გარჩევა ხელოვნური ღირსებისა და ნაკლულევანებისა. ჩვენი ქვეყნის ეხლანდელი მდგომარეობა იქამდის მიყუნწულია და დაშრეტილი,

რომ ძნელბა მაგრე რიგათ იფიქროს კაცმა ნამეტან კეკლუცო-
ბაზედა და ლაზათზედ. დამშეული კაცი მაგრე რიგათ არ შევა
განხილვაში იმ ჭურჭლის ღირსებისა, რომლითაც შენ იმას
მიაშველებ ლუკმა პურს — ოქროს ფოდნოსი იქნება, თუ კრამი-
ტის ნატეხი — ზედ კი საჭმელი იყოს გამზადებული, თორემ
სულ ერთია იმისთვის.

მრთელ ჩვენ წარსულ ცხოვრებაში მსხვილი ასოებით არის
ჩაწერილი ორი უმთავრესი გარემოება: ერთის მხრით გაუთა-
ვებელი ომიანობა მეზობლად მყოფ სახელმწიფოთა საქართვე-
ლოსთან, დაუსრულებელი ტანჯვა, ცარცვა, აყრება, ტყვეობა
ჩვენი ქვეყნისა; მეორეს მხრით — დაუღალავი მხნეობა და მეცა-
დინეობა ქართველებისა უთვალავ მტრების მოსაერეკვინებლად.
მრთელი ისტორია საქართველოსი წარმოადგენს ერთ უშველე-
ბელ დრამას, სადაც ათასი და ორი ათასი მტარვალი რიგ-რიგზედ
გამოდიან ჩვენი სამშობლოს სამოქალაქო ცხოვრებაზედ, გად-
მოაბრუნებენ ძირიანად მის შინაგან თუ გარეგან განწყობილობას,
დაამხობენ მის ძალას, წარმატებას, შეაგინებენ ქართველების სა-
თნოებას, და როდესაც ეს ტანჯული ერი მიახწევს უკანასკნელ
წერტილამდის, ამ დროს გამოიცვლება სურათი: ხალხი, რომელ-
საც აღარ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანი, რომელიც გადახრწნე-
ულა და ჰა, სულის დალევას აპირებს, გარეგანი შეხედულო-
ბით, — ასეთი ხალხი იჩენს იმოტელა ზნეობით და გონე-
ბითს ძალას, იმოტელა ენერგიას, რომ შეიბლერტება უშველე-
ბელის მხნეობით, გამწარებული, თითქო უკანასკნელი კონვულ-
სიით, და მოიერეკვინებს ურიცხვ მტერთა კისრიდგან, თავზედ
მსხდომი მტარვალნი უცებ ქართველების ფეხ-ქვეშ ჩაცვივდებიან,
ტანჯული სალხი იყრის ჯავრს თავის დაუნდობელ მჩაგვრელე-
ბისას, ამოსწყვეტს მათ, განაძევებს თავის სამზღვრებიდგან და

იხსნას თავის დამოუკიდებლობას მათი შეუბრალებლობისაგან. აგერა, სამშობლო გახთავისუფლდა, ამოიდო მტერი ქვეშა, ამოისუნთქა უღმერთო ტყვეობისგან; აგერ ქართველების ტუჩებს გადაუკრა სიამოვნების და კმაყოფილების ღიმილი, ადრინდელი გაბოროტების ნაცვლად, მომაკვდავი ერი აჩენს მრავალ ელემენტების სიცოცხლისას. ხალხმა მოისვა თავზედ ხელი, მიიხედ-მოიხედა გარშემო, გადაავლო თვალი თავის საშინელს ზარალსა, დანგრეულ დარბაზებს, აოხრებულ ქალაქებსა და სოფლებს, გაცარცულ ეკლესიებს, დავიწყებულ განათლებას, ზნეობითი ღირსებების წარყვნას, ამოიოხრა საშინელის სევდითა და მწუხარებით, დაიწერა სასოებით პირ-ჯვარი, ახსენა ღმერთი და შეუდგა თავის წარმატების ხელ-ახლად აღდგენას, უნდა ისევ იმავ დონეზედა და სიმაღლეზედ დააყენოს თავისი ეკონომიური, მორალური და გონებითი ცხოვრება, რა სიმაღლემდისაც მიაღწია ტყვეობამდის, ისევ იმ გვარათ უნდა შეიჭურვოს ყოველგვარი ძალებითა, რომ იქიდგან შეეძლოს მტრის მოგერებაც და უმაღლესი წარმატების მოპოვებაც. აი, გადადგა ამ გზაზედ რამდენიმე ნაბიჯი და მტერმაც ამოუყო თავი, მოდის დასამხობლად... კიდევ და კიდევ....

ერთის მხრით დაუძინებელი გარეშე მტერნი, მეორეს მხრით თავ-დადადებული ბრძოლა დამოუკიდებლობის მისაღწევლად, ბრძოლა გამომეტებული, რომ ან მეუნდა ვიყო ცოცხალი და მეხუროს ვაჟ-კაცის ქუდი, ან არა და შევაკლა თავი მტერსა, რადგან არ შემიძლიან ვიცხოვრო, როდესაც მე მამცირებენ, კაცის ულვაში მე ებას არ შამლევს დაუთმო ვისმეს ჩემი თავისუფლებაო.

დრამა «სამშობლო» არის აშენებული ამ უმთავრეს ისტორიულ ჭეშმარიტებაზედ, რომელიც ნაკვანძ-ნაკვანძი ქსელივით

გაჭიმულია მრთელ ჩვენ წარსულ ცხოვრებაში. მხოლოდ ავტორს აუღია ერთი იმ მრავალ-დრამატიულ მომენტთაგანი, როდესაც საქართველოს შვილნი შემზადებულან, რომ თავს დაეცნენ ძლევით გამძღარს, დამტკბარს მტერსა; ყველაფერი განუსაზღვრიათ, მოუკრებიათ და რამდენიმე წამალი ამორჩეულთ მათ, რომ საქვეყნოდ აღამაღლონ თავიანთ დამოუკიდებლობის დროშა, მთელი თავისი ენერგიით და ძალით მიაწვნენ მტერსა და აიცდინონ თავიდგან მისი აუტანელი უღელი; მოთავეები შეყრილან უკანასკნელი განკარგულების მოსახდენათ, აგერ საქმეც გაინაწილეს, პირობა შეჰკრეს. აგერ, მეტეხის ციხეში კიდეც გაშალეს საქართველოს დროშა, სასოებით დაიჩოქეს მის წინ, მოიხადეს ქუდები; აგერ მათმა უფროსმა ახსენა ღმერთი, წარმოსთქვა კიდევ გამოტანჯული და ქვის დამალბობელი ლოცვა, რომელსაც მოწიწებით გავიმეორებთ ამ სტატიაში:

„ღმერთო მაღალო! ეს ქვეყანა შენი სვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა!
სამღვთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო! ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

*
* *

„ღმერთო ძლიერო! შენთვის ბრძოდნენ ქართლისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა.
იცმარე სამღვთოთ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, შეისყიდეს ტანჯვით შენდობა!

*
* *

„სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვათ ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა, კვლავ აღდგომისა“!...

ამისთანა ამაღლებულ დროს, საქართველოს შვილთა უცებ ჩაეშლებათ საქმე-საქმეზედ მოსული გმირული გარდაწყვეტილება. შეთქმულთ მოთავეებს გასცემენ. მათ დასჯიან საშინელი სასჯელით: საქვეყნოდ, მოედანზედ დასწვავენ ცეცხლში. მამულის ტაძარზედ დაინთხევა სული საუკეთესო შვილთა, მათი სიცოცხლე მსხვერპლად მიუვა სამშობლოს დღეგრძელობისა და თავისუფლების ძიებას.

## III

როგორც ჰხედავს მკითხველი ეს ისეთი მწარე წუთია ყოველი ხალხის ცხოვრებაში, ისეთი შსამიანი, მომხიბლავი გარემოებაა, რომ იგიც საკმარისია სიუჟეტად არამც თუ ერთი დრამისთვის, არამედ ასი და ათ-ასისათვის, სხვა-და-სხვა ვარიაციებით. ამიტომ, ვიდრე ქვევით წავიდოდეთ, ბარემ აქვე ვსთქვათ ორიოდე შენიშვნა «სამშობლოზე». ჰო და, ვიმეორებ, აღნიშნული უბედური შემთხვევა, დიდებული დაწყობილობის გაცუდება, საუკეთესო შვილთა დაღუპვა სრულებით საკმარისი იყო დრამის ასაშენებლად. მაინც ეხლაც უმთავრესი ყურადღება მაყურებლისა თუ მკითხველისა შეპყრობილია ამ ნაწილით. ავტორს კი ჰგონებია, რომ ეს უბედურება კიდევ საჭიროებს სხვა დრამატიულ ელემენტებშიაო, აუღია და ჩაურთავს მრავალი გარეშე უბედურებანი, რომელნიც იოტის ტოლას არა შველიან და, ჩემის აზრით, ძალიანაც უშლიან თავი-და-თავი სიუჟეტის გამოკრებას, განძლიერებას. უმთავრესი დრამატიული მოვლენისათვის, სრულებით უადგილოთ, მიუკერებია მთელი ცალკე-ცალკე დრამების სამყოფი მასალა—ეს ცოლის ღალატიო, ეს სა-

ყვარელი მეგობრის უნებური სიმტყუნე, ეს გაცემა შეთქმულ-თაო, იასიხოშის სამაგალითო გულჩვილობა და სიკვდილი, და სხვანი. ყოველივე ესენი სრულებით უადგილონი არიან «სა-მშობლოში» და გაცილებითაც ჩამოუვარდებიან დრამის მთავარ აზრს, ავტორის უმთავრეს წადილს და, თავის უადგილობით, როგორც ზევითაცა ვსთქვი, საშინლად უშლიან პირ-და-პირ საქმეს. მართლადაც, ჩვენთვის უფრო საინტერესო იყო გაგვე-გო არა იასიხოშის გულკეთილობა და ნერვების სისუსტე, ანუ ისა, რომ ლევან ხიმშიაშვილი, პატიოსანი ახალ-გაზდა, უპა-ტიოსნოთ ექცევა თავის საყვარელ მამასავით მიჩნეულს სვი-მონ ლეონიძეს; არამედ ისა, თუ როგორ მოახდინეს შეთქმუ-ლობა, რა ნაირი საშუალება იხმარეს, რომ იმოტელა მტარვა-ლის თვალ-წინ, ოთხმა ხუთმა კაცმა რვა ათასი მეომარი ქართ-ველი შეიპირა შიგ ქალაქში, როდესაც ის გარშემორტყმული იყო მტრების ჯარებითა, როდესაც ყოველი ნაბიჯი ყველა ქარ-თველისა ცნობაში ჰქონდათ მოყვანილი. აგრეთვე დრამას სი-სრულეს ძალიან შეეწყობოდა, რომ შეგვეტყო, თუ როგორ მოა-ხერხა ლეონიძემ ქალაქიდგან გაპარვა იმისთანა საძნელო და შე-მავიწროებელ მდგომარეობაში. უფრო კარგი იქნებოდა, გვენახა თითონ ბატონის შვილიცა, მისი მხედრულობა თავის მწარე ყოფაზედ, მისი ზედ-მოქმედება ქართველებზედ. ამ დროს ჩვენ ნათლად დავინახავდით, თუ რამდენათ საუკეთესო წარმომადგე-ნელნი იყვნენ ქართველებისა დრამაში გამოყვანილი გმირები. აქა ვნახავდით იმათ თვით საქმეში, მოქმედებაში. აქ ნელ-ნელა, თანდის-თან დაიწყებდნენ ჩვენ თვალში ამაღლებას გმირები და თავის მოქმე-დებით მოაჯერებდნენ მაყურებელს, რომ ისინი მართლა გმი-რები არიან, შეუძლიანთ საქმის დაწყობაცა და ზედ თავის დადე-ბაცა. როცა ამ გვარს აზრს დაიმსახურებდნენ გმირები ჩვენ

თვალ წინ. მაშინ იმათი უდროვოდ წახდენა ათასჯერ მომეტებულ შთაბეჭდილებას მოახდენდა მკითხველზედ თუ მაყურებელზედ. ეხლა კი? ეხლა, რადგან ავტორის ყურადღება, ტყუილ-უბრალოდ და შეცდომილებით, გაფანტულა სხვა და-სხვა მასალის ძიებაში და მათ გამოხატვაში, უმთავრესი ტემა მეტათ მევიწროებულა, და საცოდავი გმირები მხოლოდ რეზონერობენ, ფრაზიორობენ, საქმის მაგივრად იმათ გააქვთ ტკბილი ლაპარაკით, თბილ-თბილი სიტყვებით: „ახ, სიტავი კი სამშობლოსთვის მოვიკლავ ჩქარა თავიო“, გაიძახის ხიმშიაშვილი; „საყვარელო სამშობლო, შენი საქმე ჩემ საქმეზედ წინ მიმყავსო“, აყვედრის წახალისებული თბილი გრძნობით და ცოლისაგან ნალალატევი ლიონიძე, და სხვანი.

განა არა, რომ ავტორის სიჩქარით დავიწყებია სულ როგორი უანგაროა თავის-დადება სამშობლოსათვის ყოველი საუკეთესო პატრიოტების მიერ. თ. ერისთავს წარსულის ნამდვილი გმირების გულში გადაუტანია ეხლანდელი სულ გმირების წვრილი და მახინჯი გრძნობანი. ვის არ გაუგონია ამ ოთხ გროშიანი გმირების ტრაბახობა: „ჰეი, ძვილოსა, ყველანი რომ ჩემისთანანი იყვნეთ, ჩვენ ქვეყანას, ჩვენ საყვარელ სამშობლოს რაღა გაუჭირდებოდა! აგერა, ჩემო ძმაო, ერთი წიგნი შევადგინე ქართველებისათვის, სხვა რაღა გინდათ! მეტს რაღას მომთხოვს საყვარელი სამშობლო!“ ანუ კიდევ სხვისაგან: „მე და ჩემმა ჯანმა და მე და ჩემმა სულმა, რო მუდამ წელიწადს ჩემი ტურფა ქვეყნისათვის შემაქვს ვადაზედ ექვსი მანეთი ნაღდი ფული „წერა კითხვის საზოგადოებაში“. ჩემი მამულის საქმეს მე ვემსახურები ამ გვარათ წლითი-წლობამდე და მეტიც არა მომეთხოვება რა. ვენაცვალე ჩემ საყვარელ ქვეყანასაო“. ნამდვილი გმირი მოშორებულია ამისთანა — თუ უკაცრავად არ ვიქნებით — უბედობას.

ის მუდამა ჰგრძნობს, რომ სამშობლოს არ მოსჭარბდება არა-ვისი კეთილი მოქმედება; იცის, რომ იმას არ შეუძლიან დააკმაყოფილოს ყოველი მოთხოვნილება თავის ქვეყნისა, რომ მისი მოქმედება არის საზოგადო ეკონომიაში მხოლოდ ერთი პატარა წვეთი; ის არ დაკმაყოფილდება თავისი ღვაწლით, ეც-დება მას უარესად გაძლიერებას და, რაც უნდა შედარებით თვალ-საჩინო იყოს მისი შრომა, მაინც უფრო მომატებულს მოსთხოვს თავის-თავსა. რაც შეეხება საყვედურს, ამ ხნას, ეს დიდი ჭორია ნამდვილი გმირის პიროვნებაზედ.

ამ შემთხვევაში პატივ-ცემულ ავტორს დავიწყებია საზო-გადოთ გმირთა მაღალი თვისება და კერძოთ ჩვენი წარსული ცხოვრების საუკეთესო წარმომადგენელთა. ან იქნება თ. ერის-თავმა არ მიაქცია ყურადღება ამ თვისებათა, რადგან ეხლანდელ ჩვენ ცხოვრებაში აღარ არიან ნამდვილი გმირები და არ შეიძ-ლება ჩვენში მათი სულის და გულის პირ-და-პირ შესწავლა და გამოკვლევა.

ეს არის, ჩემის აზრით, უმთავრესი ნაკლულევანებანი დრამისა, ანუ, სწორედ რომა ვსთქვათ, დრამებისა, რადგან აქ არამც თუ ყოველი ცალკე მოქმედება, არამედ სურათებიც კი თითო თითო — ცალკე დრამაა, ძალიან შეკვიწროებულნი, დამო-კლებულნი და ამიტომ სუსტნი. ასე რომ ეს ერთი დრამა კი არ არის, ეს გახლავსთ შვიდი დრამა, ერთათ აკინძულნი. მაშინ, როდესაც ჩვენთვის სანატრელი და საჭირო იყო, რომ ბოლომ-დის გამართლებულიყო მხოლოდ სახელი «სამშობლო!», ე. ი. ერთი დრამა მთელი თავისი დასაწყისით, შუა წელით და მე-რე დაბოლოვებით.

რასაკვირველია, ეს ისეთი შეცდომილებანი და ნაკლულე-ვანებანი არიან, რომ არ ამკვენ ამ დრამას საზოგადოთ კა-

ლიტერატურული ქმნილების ღირსებას. მაგრამ ქართული მწერლობის სიღარიბეში ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს „სამშობლოსა“, როგორიცა ჰქონდა ჩვენი გამოჩენილი პოეტის, დავით გურამიშვილის, ცხოვრებაში ბაღსა „ატმისას და ვაშლისასა,“ რომელსაც მიადგა იგი, შემდეგ დიდი შიმშილისა, როცა ის ტყვეობიდგან გამოიქცა და ესევე მნიშვნელობა შერჩება ამ დრამასაც იქნება, მანამ ან თითონ პატივცემული ავტორი არ გაგვაბედნიერებს სხვა, უფრო მოფიქრებული და უფრო სრული თხზულებით, ან ვიდრე სხვა ვინმე არ გაამდიდრებს. ჩვენ საცოდავ მწერლობას უკეთესი ნაწერით. რა თქმა უნდა, ძრიელ მოხარულნი ვართ, რომ ეს საქმე მოხდეს ჩქარა, თუმცა ამით ბევრი ეწყინება «სამშობლოს», მანამდისინ კი ვინატრებთ, რომ ეს დრამა წაკითხულ იქმნას ყოველი ქართველისაგან, წარმოდგენილ იქმნას ყოველ ჩვენ ქალაქებში და შეძლებულ სოფლებში, რადგან იგი ააღელვებს ყველაში მაღალ გრძნობას, ყველას იმედებით აუტოკებს დაჩაგრულსა, მიძინებულს და დაღონებულს გულს.

მაგრამ იქნება ეს ნაკლულევანებანი შეადგენდნენ ერთიანად დედნის კუთვნილებას, თ. ერისთავს არა ჰქონდეს შიგ წილი. ფრანცუზულის უცოდინარობის გამო ჩვენ არ წაგვიკითხავს სარდუს თხზულება ორიგინალში.

IV

მაგრამ ამ ნაკლულევანებასთან «სამშობლოსა» აქვს იმდენი ძვირფასი ღირსებანი, რომ პირველი შეხედვით არც კი მოგივა ეჭვადა, რომ ეს დრამა უნაკლულო სისრულე არ იყოს, დიდ ხანს თვით შენ მოსაზრებასაც არ უჯერებ, შენ თვალებს არ

გრწმუნები, რომ იმასა ჰქონდეს რამე ხანში იქამდის ძლიერის დრამის სასარგებლო შთაბეჭდილება, რომ ისა ჰბადებს ჩვენში რაღაცა ბრმა სიყვარულს თავისადმი. და ეს სიყვარულიც აშენებულია იმ გარემოებაზედ, რომ დრამაში ითქვა ეხლანდელი საჭიროებისა და მოთხოვნილების სიტყვა. იმან მიუგო ჩვენი სულის დღევანდელ ვითარებას, იქ არის პასუხი დღიური ვარამის შესახებ. იმაშია დასტური ჩვენი სულისა და გულის მოძრაობის, ჩვენი ეხლანდელი სამოქალაქო [illegible] მომენტის საზრდო.

დღეს თითქმის ყოველი ქართველი და ნამეტნავათ ინტელიგენცია ისეთ წერტილზედ დგას, რომ ის ვეღარ მოთავსებულა თავის ვიწრო ქერქში. დიდი დაკვირვება არავის დასჭირდება, რომ შენიშნოს ჩვენში ერთი ფრიად საინტერესო და მრავალმნიშვნელოვანი წამი ჩვენი ცხოვრებისა. მიიხედ მოიხედეთ და თქვენ დაინახავთ, რომ ქართული აპატია საზოგადო მოვლენათადმი ძირიანათ ამოვარდნილა ჩვენი დაჩაგრული და დაშინებული გულიდგან. ჩვენა ვცხოვრობთ იმ საამურ დროს, რომელსაც ხალხის ცხოვრებაში ეძახიან გამოფხიზლების ეპოქას. ამ ოთხმოცი წლის გაყუჩებამ და სამოქალაქო მოძრაობიდგან ხელის აღებამ ვერ მოახერხა ჩვენი ხალხის სამუდამოდ გაფუჭება. ჩვენ ვიყავით გართულნი «სალათას ძილში», გარინდებულნი, უძრავნი. ჩვენ საშინლად შეგვბოჭა ძრიელმა გარემოებამ, ჩვენი წყეული ბედის მძიმე უღელმა უცებ ჩაგვაღუნა თავი და ისე შეგვკრა, რომ ზევით ახედვას ვეღარ ვახერხებდით. დაჩაგრდა მგრძნობიარე გული, გატყდა წელი, მოიშხამა და მიეცა განსვენებას ენერგია. ჩვენი შემპყრობი ვეშაპი, ჩვენი სულთა-მხუთავი მდგომარეობა, ისეთი უზომო იყო, ისეთი ძლიერი და დაუსრულებელი, რომ ერთიან დაგვისპო ყოველი იმედი

ჩვენი თავისა, ყოველი ნუგეში ხსნისა. ჩვენი უცოდინარობა, სასოების უქონლობა, წართმეული ხალისი და ამასთან განუსაზღვრელი აპატია ჩვენი საკუთარი თავისადმი, სამშობლოს მდგომარეობისადმი ნებას არ გვაძლევდნენ, რომ მიგვექცა ჩვენთვის ანგარიშა, თუ სადა ვართ, სიზმარია ჩვენ თავსა, თუ ცხადივ გვემართება ეს საქმე. ამისთანა სასო-წარკვეთილებაში ჩვენ მივანდეთ ჩვენი თავი დაუნდობარი გარემოებების ტრიალთა, ცხოვრების ტალღების ქანაობას და აღარა ვფიქრობდით იმაზედ, თუ სადა და როგორ მივალთ, რა მოგველის წინა და რა დაგვრჩა უკან. ეს იყო მეტად საშინელი მდგომარეობა ჩვენი ერისა. ამ ყოფაში ძალიან ადვილი შესაძლო იყო ჩვენი ძირიანად ამოფხვრა. ყოველი წევრი ჩვენი ხალხისა მიდიოდა იმ გზაზედ, რომელიც მას არგუნა ბედმა. ქართველობა გატყდა, დაირღვა. საზოგადო ინტერესები ჩაიმარხნენ ერთად ჩვენი დამოუკიდებლობის დასაფლავებასთან. ყველანი გაცალკევდნენ, დაწვრილმანდნენ, საქვეყნო ცხოვრება ამოვარდა, განადგურდა. დარჩა მხოლოდ ერთი ინტერესი ყოველი ქართველისა — როგორმე კი გადავატაროთ დღე და, ჯანი და სული ყველაფერს გავარდნიათ. დღის გადატარება იხატებოდა მარტო სტომაქის ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, შამშილისა და წუწურკილის მოკვლაში, ფაშვის დამშვიდებაში, ძილში და მოსვენებაში. საზოგადო და სამოქალაქო ცხოვრებიდგან ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ განუთავებელი მწუხარება, ტანჯვა, ოხვრა, რადგან, ბარათაშვილისა არ იყოს,

„ოხვრა არის შვება უბედურისა“,

ჩვენ მხოლოდ დავტიროდით ჩვენ თავსა, მეორე პოეტის, ილ. ჭავჭავაძისა არ იყოს:

„ჩვენს ერთობას დაკარგულს,
და მამულს აოხრებულს“.

ამიტომ არც საკვირველია, რომ ამისთანა უნუგეშო, ულხინო და უსაგნო ცხოვრების თრევაში ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ თავი ვერაფრით, ამდენი ხნის განმავლობაში. არ არის საკვირველი, რომ ჩვენ მოგვიკვდა ნაკსი. ძალიან გასაგებია, რომ ჩვენი სამშობლოს სიყვარული ვერაში ვერ გამოვაჩინეთ. არა, იგი დარჩა ჩვენი გულის სიღრმეში ნაკვერჩხლად, რომელსაც დაუნდობელმა ცხოვრების ტალღამ მიაყარა სქლად ნაცარი, თითქო სავსებით შეახვია, ეგებ ერთხელ გამოდგეს როდესმე. აგრეთვე გასაგებია ის მოვლენაცა, რომ ქართველი ხალხი აღარ დასდევდა არც თავის მდგომარეობას, არცა ცდილობდა მომავლის გამოკეთებას. ძალიან ადვილი წარმოსადგენია, რომ ის აღარ აფასებდა მეტებურად არც თავის ხასიათს, არც ჩვეულებას, არც სარწმუნოებას, არც პოლიტიკურ და არც სამოქალაქო იდეალებს. არ არის გასაკვირველი, რომ ის ადვილად სთმობდა თავის მამა-პაპის ადგილ მამულს, მიწა-წყალს, სახლკარს, თავის მაცხოვარ საქმეს, და ყველა ამებს ანაცვალებდა უგემურ დროების უგემურად გატარებასა. არ არის ძნელი გასაგები, რომ ქართველი ხალხი და ნამეტნავად თავად აზნაურობა მოუძლურდა, დაჰკარგა მხნეობა და ცხოვრების ნიჭი, რომ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაუპიროვნებასთან დაჰკარგა აგრეთვე მატერიალური, ეკონომიური თავისუფლება, ჩაუვარდა ხელში ათას ბნელ პირებს, დაისვა კისერზედ მიღდის-ოჭახეზები და გახდა მათი საცოდავი და უბედური მსხვერპლი, დაჩაგრული მონა, ყურ-მოჭრილი ყმა და თითქმის ტაბარუკიცა.

დღეს ვინც უყურებს ჩვენ ცხოვრებას, ქართველი კაცია თუ

უცხო ქვეყნელი, ყველას უკვირსთ, რომ მრთელი ჩვენი სამშობლოს შინაგანი თუ გარეგანი არსებობის აკტი სდება სხვა ქვეყნელების ხელით — ვაჭრობა გინდა — სხვის ხელშია, გამგეობა ჩვენი ბედისა სულაც არ გვეკითხება ჩვენს. მისვლა მოსვლაში სხვას შევყურებთ, ერთი სიტყვით, დაგვწოლია კისერზედ ცხრა თავიანი დევი და ყოველ ჩვენ საქმეს იგი ასრულებს, რასაკვირველია, ჩვენდა საზარალებლად, იგი სუნთქავს ჩვენსმაგივრად, იგი ფიქრობს ჩვენი ტვინის საფიქრობელზედა, და სხვანი, ეს დევი გასლავთ ჩვენი დაწყევლილი ბედი, ჩვენი ცხოვრების გარემოებანი. ამისთანა უნუგეშო სურათის მნახველნი, ზოგი რასა ჰფიქრობს და ზოგი რას. ერთი იძახის, რომ ქართველები დაუდევრელნი ყოფილან, უზრუნველნი, ზარმაცნი და უგუნურნიო. მეორე ნიშნს გვიგებს, ან გვამხნევებს სომხების მაგალითით და გვირჩევს მათი გზა კვალის მიდევნას — აგერა ისინი როგორი ჭკვიანები, მუყაითები, საქმიანნი და მხნენი ყოფილან, რამოდენა სიმდიდრე მოუპოვნიათ, როგორ მოხერხებულად დაუსვამთ თქვენი თავი ცარიელზედ, ჩამოურთმევიათ თქვენი ქონებაო, ენა ჰქონიათ, გამოყენება სცოდნიათ, შრომა ჰყვარებიათ და უჯობნებიათ თქვენთვისაო. აგერა, რამოდენა სკოლები გაუმართავთ და როგორი ენერგიით შესდგომიან განათლებასაო... ვინ იცის, რას არ ამბობენ! მაგრამ ამათი ლაპარაკი ცოტა აჩქარებულია. ამათთანა გამომძიებლებსა და ექიმებსა ჰგონიათ, რომ შემთხვევით მიღებული ავათ-მყოფობა დედის მუცლიდგან დაჰყოლია კაცსაო; თითი რომ გაიჭრა და აჩვენო ასეთს ექიმს, ის გეტყვის, რომ ეგ ავადმყოფობა დაბადებიდგანვე მოგდევსო და მაგის მორჩენა მრთელი შენი აგებულობის დაშლას თუ მოჰყვება, თორემ სხვა არა გეშველებარაო. ამისთანა ფილოსოფიით დაჩაგრულ ექიმებს არცარა მალამოს

დადება შეუძლიათ ჩვენი ხალხის დაჭრილ ადგილებზედ. იმათ თავში ორი აზრი, რომელნიც ერთი მეორეზედ დამოკიდებულნი არიან, ისე თავსდებიან, თითქო მათ არავითარი კავშირი არ მოეპოვებათ ურთიერთთა შორისათ. ამიტომაც არის, რომ ისავე ექიმები და ფილოსოფოსები მოგითხრობენ ქართველების მხნეობაზე დაც, ვაჟკაცობაზედაც რამდენიმე ათის წლის წინ, გაშტერებით შეჰყურებენ ქართველი ხალხის ახლო ხანების წარსულს. იმათ არ იციან, რომ ათი წლობით და არც ასი წლობით ხალხას შინაგანი არსება, მისი სულისა და გულის თვისება არ დამახინჯდება ისე, რომ აღარ ჰქონდეს იმას თავის უწინდელი ნასახი. და აქედგან უბრალო აზრი ველარ მიუთვისებიათ, რომ თუ კი ქართველი ხალხის ბუნებით სენს შეადგენენ უჭკუობა, სიზარმაცე, დაუდევნელობა და თუ მისი უბედურება არ არის მხოლოდ დროებისაგან მობერილი ავადმყოფობა, მაშ როგორ იყო, რომ ქართველი ხალხი ცალი ხელით იგერებდა ათ-ას მტერს მთელი თავისი სიცოცხლე და მეორე ხელით განაგებდა შინაურ მდგომარეობას, მხნეობდა თავის სარწმუნოების მოსაპოვებლადა და კიდევაც ირჩენდა თავს იქამდის მამაცად, რომ რამდენიმე ათი საუკუნე შეინახა თავისი სახელოსნობა, საკუთარი პიროვნება და არ ამოვარდა დედამიწის ზურგიდგან? განა ამ ერთი მუჭა ხალხს პატარა ენერგია, პატარა მხნეობა, ცოტა ჭკუა დასჭირდებოდა, რომ თავისი თავი დაეხსნა უთვალავი მტრების ხელიდგან? სომხები ქართველებზედ მეტნი იყვნენ, მაგრამ იმათ ვერ უძლეს გარემოებათა ძალას, დაეცნენ და გაიფანტნენ სხვა ქვეყნებში, გაჰქრნენ თავის სამშობლოს. ამისთანა დაწოლებაში იმათ ბევრი ვაი-ვაგლახი დაემართათ, და ამ წანწალში, საუბედუროთ, ურიებისა არ იყოს, ფულები გახადეს თავის სამშობლოდ და საზარლადაც ემსახურებიან ამ ფულებსა. განა აქ შეიძლება რომ ან კი შეადაროს

ჭკუიანმა კაცმა ეს ორი ხალხი? განა დიდი ცოდო არ იქნება, რომ ფულების უქონლობით ქართველი ხალხი დაბლა დააყენონ დამასინჯებულ ფულიანებზედ? განა ჭკვაში მოსასვლელია, რომ ქართველ კაცს ურჩიოს ვინმე — შენი სამშობლო ფულიაო, მიჰბაძე სომხებსაო? განა ისიც კი უმეცრების ნიშანი არ არის, რომ სომხებს უწოდებენ ჩვენში მხნე და გამრჯესა და აქაც ქართველებზე მაღლა აყენებენ, როდესაც ყოველი ფიზიკური საქმე კეთდება ჩვენში მარტო ქართველების ხელით? მრთელი მატერიალური სიმდიდრე, რომლითაც ასე თავი მოაქვთ სომხებს, განა ქართველების ხელით არ არის მოპოვებული?

ამისთანა უთავბოლო და ყმაწვილური მოსაზრება იმისბრალია, რომ კაცი არ არის განვითარებული სამოქალაქო, საპოლიტიკო და ეტნოგრაფიულ მოვლენათა გამოძიებაში. მთელი ხალხის ცხოვრებაზედ ისე ადვილად გადაგიჭრიან სიტყვას, როგორც ჩიხირთმის გაკეთებაზედ. ამიტომაც ვხედავთ ჩვენში იმისთანა ღრმა ფილოსოფოსებს, რომლებიც ჩვენ ხსნას ხედავენ ან მარტო სკოლების გავრცელებაში, ანუ ქართული ენის აღდგენაში და სხვა ამ გვარ წვრილმან და კერძო მოვლენათ აყენებენ მთელი ხალხის ცხოვრების შინაარსის ადგილზედ. იმათ ის არ იციან, რომ სკოლაცა და ენაც და ბევრიც სხვა რამ არიან მხოლოდ საშუალებანი ხალხის ცხოვრების ტრიალში და არა თვითონ ცხოვრების გამომხატველნი და ამიტომ მიზანნი. რომ მათი ძიება მხოლოდ პოლიტიკაა და არა ისეთი იარაღი, რომელსაც შეეძლოს ქართველთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება. პოლიტიკაზედ მე მოგიყვანთ ერთ მაგალითს: ამ ათის წლის წინად თბილისის სემინარიაში ჩამოვიდა ინსპექტორად გამოჩენილი კუკშინსკი. საძაგლათ გვინახავდნენ მაშინ ბურსელებს: თითქმის შიმშილით გვხოცავდნენ და ძალიან უსუფთაოდაც

გვინახავდნენ. ერთი საცოდავი ფრანცი მქონდა, რომელიც, ყამთა ვითარების წყალობით, სულ წყალივით მიდიოდა, რამდენიც გავინძრეოდი ხოლმე. ბევრჯელ შევჩივლე კუშინსკის, რომ გამოეცვალა ჩემთვის ფრანცი, მოეცა ახალი, რადგან ძველმა დიდი ხანია მოიჭამა თავისი კაი დრო. ვერ დავაჯერე კაცი — არაო, მაგის დაკერება კიდ კაც შეიძლებაო. ხუთი თვის განმავლობაში ვკონკე ეს ფრანცი — ხან სად მივაკერე ბრასმი და ხან სად. მაგრამ ეს არა შველოდა, იმას მარტო განსვენება ეჭირვებოდა. ერთგან დავაკერებდი, მეორე ადგილს გამოჭყოიდა თავს ანუ მკლავი, ანუ გული, ანუ რომელიმე სხვა ნაწილი წელზევითი ტანისა. მთელი ხუთი თვე კაი დერციგივით ხელიდგან ხემსი და ძაფი არ გამშორებია — იმდენი ვაკონკე, იმდენი ნაკერები და ძონძები ჩავაკერე, რომ ხუთი თვის შემდეგ ის ფრანცს კი აღარ ჰგავანდა, ის იყო კარგი კურტანი, რომელშიაც არც ძალი შეიძლებოდა და არც მოსვენება. ვაჩვენე კუშინსკის და იმას საშინლად მოეწონა, რადგან იმისთანა ფრანცს არამც თუ ბურსელი ბიჭი, კაი ანცი მოშიდილი დათვიც ვერას დააკლებდა და ამით სემინარიის ეკონომია მეტად ისარგებლებდა. მე ეს ძალიან ვიწყინე, კუშინსკიმ ელმაცრივ შემომხედა და აიღო ეჭვი ჩემზედა. ალბათ ეს არ უნდა იყოს სახელმწიფოს ერთგულიო. დამიწყო ჩხრეკა, მომაჩხრა სემინარიის გამოჩენილი ჯამუშები, რუსის უმაწვილები, საქოთ-დასაქოთეს ჩემი გული და ბოლოს პოლიტიკურ დამნაშავედაც გამომიყვანეს. რა მოხდა შემდეგ, არავისთვის არ უნდა იყოს საინტერესო. მხოლოდ ეს ფაქტი მე იმიტომ მოვიყვანე, რომ სადა ნაწილი ჩვენი ქართველობისა არ უნდა მისდევდეს პოლიტიკას, რომელთაც ის თვისება აქვთ, რომ აგვიანებენ ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას; უშლიან ნამდვილ გზაზედ გამოსვლას; აკონკ-დაკონკებაში მიდის

დრო და ვინ არ იცის, რა ძვირფასია ცხოვრებაში დროება. კაცი უნდა ესწრაფვებოდეს, შეძლებისადაგვარად, რადგან დრო-ებას ბევრჯერ უკუღმა დაუბრუნებია ჭახრაკი და სასარგებლო გა-რემოებანი შეუცვლია უფრო მძიმე და აუტანელი გარემოებები-თა. ერთხელ და ორჯერ არ მითქვამს ქართული ენის ძიებაზე ასეთი აზრი, მაგრამ ეს აზრი ჩვენ კიდა ფილოსოფოსებს ჩა-მოურთმევიათ ჩვენთვის მამულის მოღალატეობაში. ღმერთმა ხე-ლი მოუმართოსთ ამ ფრიად მოსაწონ ქცევაში, მაგრამ მე კი იმას ვამბობ და ჩემთან გაიმეორებს ყოველი მიხვედრილი და გონზე მყოფი ადამიანი, რომ ეხლა სხვა დრო აქვს ჩვენისთანა ხალხთა ცხოვრებას, რომ ეხლა ჩვენ პოლიტიკები, აგონე და-გონება ვერას გვიშველის, რომ ჩვენ ეხლა გვეჭირება ახალი და დამოუკიდებელი ცხოვრება, რომელსაც ეს მიუდგება ისე, როგორც 1: 1000.

V

აი ამაშია ვხედავთ ჩვენ დრამა «სამშობლოს» ძვირფას ღირ-სებას. ითქვა სიტყვა, რომელიც მოხვდა ყველა ქართველის გულს, აატოკა და შეათამაშა ქართველების ძარღვი. ცეცხლი, რომელსაც შემოჰხვეოდა ნაცარი და აღარა ჩანდა, ეხლა გამოი-ყურება ისე, რომ შორს მანძილიდგანაც კი ჩანს, ღვივის თან-დისთან. ამით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, ვითომ «სამშობ-ლოს» ჩაენერგოს ჩვენ გულში მამულის სიყვარული. ღმერთმა დამიფაროს! ამას ჩვენი სუტ-გმირები თუ მიაწერენ თავიანთ ნა-წერებს. მე მხოლოდ იმას ვამბობ და ყველანი დამემოწმებიან, რომ «სამშობლომ» მოგვცა მშვენიერი საბუთი ჩვენი ჩაკეტილი

გრძნობების გამოსაჩენად. ხანდისხან ამისთანა საბუთსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ცხოვრებაში. დრამამ მოგვცა შემთხვევა, რომ ქართველებმა რამდენიმე ხანი ერთად ვიფიქრეთ, ერთად გამოვიგრძნეთ, არა რომელიმე კერძო კითხვა, არამედ საზოგადო, საყოველთაო საგანი. მოგვცა შემთხვევა, რომ გაცალკევებული ხალხი, გან-განზე მოსიარულე, ერთმანეთის მიუნდობელი, შეიკრიბა ერთ ადგილს და მისმა წევრებმა გადაბეს ერთმანეთზე თავიანთი გულის მოძრაობა, სულის ვითარება, მიენდნენ ერთმანეთს და გამაგრეს გული იმ იმედით, რომ ერთსა და ორს კი არ შესტკივებია სამშობლოსთვის გული, არამედ სუ ყველასი იმის ყურმოჭრილი და ერთგული ყმები ყოფილან, რაგვარამ გარემოებას ჯერ არ გამოუწვევია ისინი ასპარეზზედაო.

ერთის სიტყვით, ეხლა დადგა ისეთი დრო, როდესაც ჩვენმა ხალხმა დაიწყო ლიტერატურული ძილიდგან გამოფხიზლება, და «სამშობლოსთანა» ნაწერებს ის თვისება აქვსთ, რომ ამ სიფხიზლეს აძლევენ საზრდოს, აცხოველებენ და აძლიერებენ. ეხლა ის დროა, როდესაც უნდა ჩვენმა ხალხმა გამოიკვლიოს თავის გზა-მაჩვენებელი ვარსკვლავი, ლიტერატურაში, ახალ-გაზდობაში და საზოგადოებაში გამოარკვიოს თავისი მიმართულება, რომელსაც უნდა ერთგულად ემსახურონ.

ძვირფასი მხარე ჩვენი წარსული ცხოვრებისა იმაში მდგომარეობდა, რომ ხალხმა იცოდა თავისი მდგომარეობა, თავისი ძალა, აგრეთვე მტრის მდგომარეობა და მისი ძალაც. მაშინ მტერიც მტრად მოდიოდა და არა მოკეთედ, არცა რა ვისმე სწამდა, რომ მტერი სასიკეთოთ დასხმიათ თავზედაო. ამისი შედეგი იყო, რომ ყოველი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნისა ჰგრძნობდა თავის-თავს მტრის ხელში, რომელიც არ დაინდობდა არც იმის სიცოცხლეს, არც მის შვილსა და დედას, არც

ცოლსა და ქალსა, არც სარჩოს და სახლ-კარს, რომ ყველა ამავეს ანაცვალებდა თავის გაუმაძღარ მოსისხლეობას. ამიტომაც ყოველი ქართველი სთვლიდა თავის მოვალეობად ედევნებინა თვალყური მტრის მოძრაობისათვის, მისი მიხვრა მოხვრისათვის, შეეტყო მისი კარგი და ავი და თავის მოძმეთათვის გარდაეცა, შეეტყობინებინა თვისი დაკვირვებანი. აგეთ გადამცემებზე თვალდაჯერას ის შედეგი ჰქონდა, რომ მთელი ხალხის ჭკუა და გონება, მოხერხება და გამოცდილება ერთად, ერთის დროს ჰფიქრობდა ერთსა და იმავე საგანზედ—ქვეყნის თავისა განთავისუფლების სახსარი. ამისთანა სახსრის პოვნა კიდევ იმისთანა ძვირფასი და სანატრელი მოვლენა იყო მთელი ხალხისათვის, რომ ვინც უკეთ სახსარს იპოვნიდა და უკეთ ემსახურებოდა მას, ის გახდებოდა ხალხის საყვარელი წინამძღომელი; ის გარდაიქცეოდა ქართველების თვალში გმირად, რომლისადმი სიყვარული და პატივის-ცემა ყველასთვის მოვალეობას შეადგენდა. მთელი ხალხის აზრი მუშაობს ერთ საგანზედ. ამ მუშაობის შედეგი გადადის ყოველ ქართველზე და, ყველანი აილეკენ, დაილეკენ და ბოლოს იმათში ისეთი ვინმე გამოჩნდება, რომ ამ სახსარს, გამოკვლეულს და გამოძიებულ მასალას მისცემს ისეთ მიმართულებას, რომელზედაც შესაძლო იქნება სამშობლოს განთავისუფლების აშენება. ასეთი კაცი, როგორც ზევითაც ვსთქვით, გახდება წინამძღომელად თავის ხალხისა, და ხალხიც უმენს მას. როდესაც ამ გვარი ზნეობითი კავშირი იბადება ხალხსა და მის წარმომადგენელთა შორის, მაშინ ერთად ათად იქცევა თითონ წინამძღომელთა ენერგია, მათ ემატებათ ძალისა, თავის გამომეტება, სამშობლოს სიყვარული, და ზნეობითი ძალღონე უკანასკნელისაგან ჰბერავს უფრო ძლიერს სულს. მართლაც ამ გვარი ცხოვრება ჰბადავს გმირებსა, სხვა ხაირი წრე, სადაც ხალხი გაქსაქსულია, გამარტო-

გავებული, — ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ მოძრაობას და არ აძლევს ქვეყანას გმირულ მოსარჩლეობას და თავ-დადებულობას.

«სამშობლოს» გმირები: სვიმონ ლეონიძე, ლევან ხიმშიაშვილი და სხვანი მოქმედობდნენ არა თითონ-თითონ, არამედ, როგორც წარმომადგენელნი თავის ხალხისა, რომელმაც იცნო ისინი წინამძღოლობის ღირსად. მათი გული გადამდნარია ხალხის გულთან, ქართველების ცხოვრების მარცვი, მოკიდებული პატარაებიდგან, წვრილმანი კაცებიდგან, ვიდრე თითონ გმირებამდის, ერთნაირათ სცემს და მისი ცემაც გასაგებია ყველასათვის. აქ იბადება მინდობილობა ერთმანეთისა. გმირები დარწმუნებულნი არიან, რომ საქმეში ისინი არ დარჩებიან მარტონი, მათ ხმალთან აწკრიალდება შიგ ქალაქში რვა ათ-ასი სხვა ხმალი და მათ ბანს მოსცემენ აგრეთვე სმლეში ბატონიშვილის ჯარებისა. აგრეთვე თითონ ხალხი, რომელმაც წინამძღვრათ იცნო ის პირნი, დარწმუნებულია, რომ იგინი ტყუილად უბრალოდ არ დაანთხევენ მოძმეთა სისხლს, რომ ისათვის მკერდსასია ყოველი ქართველის სიცოცხლე და ეცდებიან მათ მომხრეობას ისე, რომ ნაკლებში მსხვერპლით დაინარჩუნონ ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ შემთხვევაში მთელი ხალხი მოქმედობს ისე, როგორც ერთი არსება, ერთი კაცი, რომელსაც ესმის თავისი ინტერესები. ასეთი ერთობა ყოვლად შემძლებელია. ისა ჰბადებს ნამდვილს ცხოვრებას.

მაგრამ როდესაც არ არის ამ ნაირი ზნეობითი კავშირი, როდესაც ერთი იწევს ალთასაკენ, და მეორე ბალთასაკენ, როდესაც ერთი ფიქრით არ ფიქრობენ და ერთ საგანს არ ემსახურებიან, მაშინ გინდა ყოველი წარმომადგენელი ხალხისა, ცალკე აღებული, გმირის ღირსებებითაც რომ იყოს აყვავებული, მაინც საქვეყნო საქმეს ფეხი არ ეცვლება, რადგან ერთ კაცს არა-

შეუძლიან რა საქვეყნო ეკონომიაში, თუ უდიდესი უმრავლესობა მის მხარეზედ არ დგას.

წარსული ცხოვრების მოგონებაც ეხლა იმდენათ არის სასურველი, რამდენათაც იგი ემსახურება დღევანდელ ვარამს, რამდენათაც იქ იპოვნის მკითხველი კაცი იმ თვისებათა, რომელნიც დღეს არიან ჩვენში სასურველნი, სანატრელნი და საჭირონი. დღეს გრძნობს ჩვენი ხალხი, რომ მის ჭირთან ბრძოლა განცალკევებულ პირებს არ შეუძლიათ, რომ ყოველი ქართველი, რომელსაც თავი შესწირავს ქვეყნისთვის და გული ეწვის მის კეთილ დღეობის მოსაპოვებლად, უნდა გადაებას დაურღვეველი კავშირით ყოველ ოპოზიციურ ელემენტებთან და ამით შეადგინოს ერთი მთლიანი და მაგარი ძალა, რომელიც თავის მსვლელობაში მიაწევს ისეთ წერტილს, სადაც შესაძლო იქნება მართლა პირდაპირი გამოლაშქრება. ერთობას, კავშირს შეუძლიათ დაჰბადონ ძლიერი საზოგადო აზრი, რომ ვისაც კი აქვს სათქმელი ჭკვიანი სიტყვა, სასარგებლო პლანი, გამოთქვას ეს სიტყვა და თანაც არ დარჩეს «ხმად მღაღადებელად უდაბნოსა შინა», არამედ იმ სიტყვამ გაიაროს მთელი ხალხის ჯანსა და რბილში, იგი ამოწვოს ხალხის ტვინში და, გასუფთავებული, უფრო გამაგრებული და გაძლიერებული, გარდაიქცეს საქვეყნო აზრათ, რომელსაც მხოლოდ შეუძლიან საქვეყნო საქმეების წარმოება, აზრის მიცემა ჩვენ უკეთურ ცხოვრებისათვის.

ამ უკანასკნელს დროს თქვენა ნახავდით, რომ ქართველობამ იგრძნო მნიშვნელობა კოლექტიური ძალისა. აგერ ცოტ-ცოტა შეგროვილი ფულებით ვეება ბანკები გამართეს და იმის მოგებას სამუდამოთ შესწირეს სკოლებს. აგერა, თავადაზნაურობა აპირებს მამაკვდინებელ გარყვნილებაზედ ხელის აღებას, თავს ანებებს გამარტოვებას და თავის შემდეგიდგან აგროვებს საზო-

გადო ფონდს მევალეების აღსასრულებლად. აგერ ადგება საზო-გადოებანი, რომელნიც შეერთებულის ძალით ებრძვიან ვაჭრე-ბის დაუნდობელ და შეუბრალებელ მოქმედებას, რომელიც ატ-ყავებს ჩვენს ნახევარ-მშიერ და გზა დაბნეულ ხალხს. ვი-ნატრით ამ გვარი შეერთებული ძალის განძლიერება, რადგან მარტო იმათ შეუძლიანთ დაიფარონ ჩვენი ხალხი მცარცვლები-საგან, მგლეჯელებისაგან; რადგან მარტო ის დაჭიადებს, განა-მძლიერებს და აღორძინებს იმ საზოგადო აზრს, რომელიც ყოველ ქართველს მისცემს ხელში შესაფერ საქმეს, სამოქალა-ქო მოღვაწეობას, სამშობლო ინტერესების გაგებას და ერთგულ სამსახურს. მარტო მრიელ საზოგადო აზრს, გალაზათიანებულ და ჭკუიანს, შეუძლიან ჩვენი დახსნა პოლიტიკური და სამოქა-ლაქო სიკვდილიდგან, როგორც გვიხსნიდა იგი ჩვენს სისხლით შეღებულ წარსულში...

სტ. ჭრელაშვილი.

# ამაო ხმები.

დასცხრი, ჩემო კალამო, თავს რათ იტკივებ მრთელსა!
დასცხრი, ნუ მიმღვრევ გულსა, გულს შხამით ნაწამებსა.
შენი მახვილით ცოდვილთა ვერ დასჭრი ბოროტების გველსა:
ვიდრემ არს ოქროს ტომარი — იმისის მლოცველებისა.
შეხედე ამ ჩათქვ. სანს, დაბლა რომ იხრის ქედსა:
ღოლცულდობს ჭლადალს, მესხლს ჟურის თავის გულსანდეულ მტრებსა!
გუშინ ის შენზედ მაღლდათ შეხმახიდა შენსა ხმებსა
და მრისხანებით ბოროტის მოსთხოვდა მეჯარებსა.
მაგრამ მა იგი ზეცამა გონში ჩაავდო დღესა:
ზღვარდმო თვალნი აქვს ნა და... გვერდს ასხლა მტერისა!
ახლა მისვლდა, რომ ის გუშინ სწყევლდა თავის ქუდით ერთსა,
და დღეს ის ზიზღით აფურთხებს გუშინდელს საქმეებსა.
შეხედე ამ იუდას, თვალი რომ უჭრავს გველსა!
მან გასცა თავის მოძღვარი და ხელში მისცა მტრებსა,
თვით ბედნიერად ვეზირად მარჯვენით უზის ზევსსა
და იმის გულისათვისა ქვეყანას ართხევს გულსა.
შეხე იმ ქსა-როსვიბსა, ვის მოსდგომია გვერდსა!
გუშინ ის იმას თვის კალმით ჩაამწარებდა დღესა.
ახლა ზღვარდმო ნათელი მასცა უნათებს ბნელსა
და ძაღლისავით თვის მტერსა უსლანქავს ფეხის კვალებსა!
შეხედე ამ ჩოტლავს, ჭკუა-თხელს ენა-გრძელსა!

რა გმირულადათ შესძახდა, «ხმალი აიღეთ ხელსა,
შევმუსროთ იგი ცოდვილნი, ვინ ბოროტს უდგმენ ფერხსა
შევმუსროთ ძირით ბოროტი, ბოლო მოუღოთ ბნელისა!»
მაგრამ მაინც ადგილი აართვა მტრის გაჭყლეტულის გზებსაო,
და ახლა სიკეთის ნაყოფში ხარბათ მოუყრეს ხელსაო.
ახლა ის მიხვდა კარგათა, რომ ცრემლი კაცს სწვავს ბედსაო
და გუშინდელს სალოცავს ქვრივის წახლს და ტანჯებსაო!
შეხედე აბა აიმ გირს, რა რიგ ჩქეფს ტალახებსაო!
რა რიგ ერთგულათ სწევა თვის მტარვალის საპალნესაო!...
ის იმას ემსახურება, ვინც ცემით სწყვეტავს წელსაო!...
გუშინ შენს საპალნეს სწევდა, სხვის საპალნეს სწევს დღესაო!...
შეხედე!... მაგრამ ვინ გითხრა... ვინა მღერის შენსა ხმებსაო!
ყველა დაცინვით გიყურებს: „შეხედე იმ ხეპრესაო!
აქამდის თავსაც ატყუებს, ატყუებს კიდევ სხვებსაო!
აქამდის იყვა ხეპრულათ ადგია ხეპრე გზებსაო!»
დაიცხერე, ჩემო კალამო, თავს რათ იტკივებ მრთელსაო!
შენის ღაღადით რაზათა ვერ აქცევ სახედრებსაო.
ადექ და ქება დაუწყე, ვის ძალა ეპყრას ხელსაო,
მაამე ოქროს ქურუმნი — გაჰშველენ ოქროს ქურსაო.
ოქროს ტახტზედან დაგისვამენ, მოგცემენ ოქროს გვირგვინსაო!
ოქროს ჩანგს ხელში მოგცემენ, გამღერებენ ოქროს ხმებსაო.
მოგცემენ ოქროს მკლავნსა და ოქროს ქალამნებსაო,
და თვითონ ტვინის ადგილას ჩაგისხმენ ოქროებსაო!

ანტ. ფურცელაძე.

# საფუძვლები სახალხო განათლებისა.

(გაგრძელება*)

## XII

წარსულმა საუკუნემ მეცხრამეტე საუკუნეს ანდერძათ დაუტოვა ცხოვრებაში განხორციელება იმ პრინციპების და ბრძოლებისა, რომელნიც ეხლა ცოტად თუ ბევრად ცხოვრების ასპარეზზე მოქმედებენ. თითქმის ყველაფერი, რაც კი რამ კარგია ჩვენ საუკუნეში და რასაც კი თანაუგრძნობს უკეთესი ნაწილი კაცობრიობისა, მეთვრამეტე საუკუნის საქმე იყო, ამ საუკუნის ფილოსოფიის ნაყოფი. ამ ფილოსოფიამ კიდევ იმოდენი პრობლემები შობა, ისეთი მძიმე და ძნელად შესასრულებელი ანდერძი დაუწერა მომავალს და შემდეგ საუკუნეებს, რომ დიდ ხანს კიდევ ანდერძი ანდერძათ დარჩება და არა შესრულებულ ფაქტად. ჩვენ დროს, უმეტეს ნაწილად, ფილოსოფია იმეორებს ისევ იმ პრინციპებს, რომელნიც წარსულ საუკუნეში გამოითქვნენ. რა იყო ამ პრინციპების უპირველესი შინაარსი? რა იდეალებს ელტოდა, ემსახურებოდა წარსული საუკუნე სოციალური ცხოვრების წარმატებისათვის, გაუმჯობესობისათვის? ამ კითხვებზედ პასუხის მიცემა მოკლეთ, რომელიმე ფორმულით, ერ-

*) დასაწყისი იხილე „იმედის" მეხუთე ნომერში 1882 წლისა.

თი-ერთი სიტყვით არავის არ დააკმაყოფილებს. აქ ვრცლად და დაწვრილებით უნდა სჯა, უნდობა, მაგრამ ეს ჩვენი საგნის აცვაცი-ლებს. ვინც კი დააკვირდება, დააფიქრდება მეთვრამეტე საუკუნის ფილოსოფიას, ის ნამდვილად დაინახავს იმის ღაღადების უპირველეს შინაარს. ეს შინაარსი ამ ფორმულით იხატება: კაცის პიროვნების თავისუფლება და კაცობრიობის წარმატება (ИНДИВИДУАЛИЗМЪ И КОСМОПОЛИТИЗМЪ). ბუნებითი უფლებანი ცალკე კაცისა, საზოგადო პროგრესი კაცობრიობისა — აი ის უმაღლესი და მეტად კეთილ-შობილური პრობლემა, რომლის ცხოვრებაში განხორციელებას გულ-მხურვალედ და აღტაცებით ღაღადებდა და ჰქადაგებდა წარსული საუკუნე. ზოგიერთა სწავლულებს ჰგონიათ, რომ წარსულ საუკუნეში არ იცოდა «ხალხოსნობა», ამ ხალხოსნობის პრინციპი. ეს დიდი შეცდომილებაა, ჩვენის აზრით. საგანს რომ არ ავცილდეთ, ჩვენ აქ მარტო იმას ვიტყვით, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელიც ღვიძლი შვილი და მემკვიდრე იყო წარსული საუკუნის ფილოსოფიისა, არა ნაკლებ კაცის პიროვნების განთავისუფლების და კაცობრიობის წარმატებისა მისდევდა ხალხოსნობის პრინციპის განხორციელებას, ამ პრინციპის ცხოვრების სინამდვილეთ გადაქცევას. ზოგიერთა სწავლულების აზრით, ხალხოსნობა შემდეგში იშვა, როგორც რევოლუციის სწავლის რეაქცია, მაგრამ სინამდვილე, ისტორია ამ აზრს ამტყუნებს. მაშასადამე, ზემოდ გამოსატულს ფორმულას მესამე სიტყვაც, ცნებაც უნდა დაუმატოთ — ხალხოსნობა.

თუ რა ღრმად დაჩაგრული იყო ხალხი პოლიტიკურად, ეს ჩვენმა მკითხველმა გარკვევით იცის იმ ფაქტიდგან, რომ წარსულ საუკუნეში პოლიტიკური სახელმწიფო დაგვირგვინდა, მირონ-ცხებული, ნათელ-ღებული შეიქნა, მიაღწია თავის უპირველეს

დიდებამდის. სხვა ზღუდეში, სფეროში რომ გადავიხედოთ, იქაც პირველად თვალ-წინ პიროვნების და ხალხის დამცირება წარმოგვიდგება, არა რაიმე სხვა. აიღეთ თუნდა ეკონომიური წყობილება, მდგომარეობა. აქაც უსამართლობა—და საკვირველი ის არის—უსამართლობა დამყარებული კანონზე, სამართალზე, კანონიერი უსამართლობა და არაფერი სხვა—აი შინაარსი მაშინდელი ეკონომიისა. საშინელი სიღარიბე დაბალი ხალხისა, ცხოვრება ისეთი, რომელიც უფრო ჰგავდა საქონლის და არა ისეთ მაღალ ზნეობით არსებას, როგორიც კაცია, სიმდიდრე და გარყვნილება მაღალი საზოგადოებისა—აი თავს ზარ-დამცემელი სურათი მაშინდელი ეკონომიური სინამდვილისა. კაცის გრძნობა შფოთდება, ღელავს, როდესაც ამას თვალ-წინ წარმოიდგენს მაშინდელი ეკონომიური ურთიერთობა. ფიზიოკრატებმა აშკარად აჩვენეს ერთის მხრით, ეს უსამართლო ურთიერთობა, მეორეს—თუ რა მოვალეობა აწევს სახელმწიფოს, მართებლობას. ეკონომიურ ზღუდეს რომ თავი დავანებოთ და ხალხის განათლებას შევხედოთ, აქაც მარტო ხალხის დამცირებას დავინახავთ და სხვას არაფერს, აქაც „უსამართლო სამართალი" წარმოგვიდგება. პოლიტიური სახელმწიფოსათვის, «განათლებული დესპოტისათვის» პირველად და უკანასკნელად საჭირო იყო უმაღლესი განათლება და არა სახალხო განათლება. ამისათვის «განათლებული დესპოტი» ხელს უწყობდა, ეხმარებოდა მარტო უნივერსიტეტებს და აკადემიებს და ეს უკანასკნელნი კიდევ ამშვენებდნენ სახელმწიფო ტახტს, გუნდრუკს უკმევდნენ დესპოტს. უმაღლესი განათლების მეცენატობა, მეტადრე საფრანგეთში, დესპოტის იდეალად შეიქნა, კერპათ გადაიქცა თვითონ დესპოტები ფილოსოფოსობდნენ, ლიტერატორობდნენ. წარჩინებულნი მწერალნიც მომხრენი გახდნენ დესპოტისა. ვოლტერი,

რომ ლმაც ასეთი დიდი ღვაწლი დასდო სახალხო განათლებას იმითი, რომ შემუსრა სასულიერო წოდების გავლენა და მნიშვნელობა სახელმწიფო ცხოვრებაში, თითონ ვოლტერიც კი არა ჰკრძალობდა დაბალი ხალხის განათლების საჭიროებას და აი რასა სწერდა: «ხალხი ემსგავსება ხარებს, რომელნიც საჭიროებენ ჯოხში, უღელში და თივაში», «ხალხს წინამძღოლობა უნდა და არა სწავლა; ის ამის ღირსი არ არის». სწორედ მაშინ დაარსდა ის კავშირი, გულითადი და წრფელი მეგობრობა, რომელსაც ეხლაც ხშირად ვხედავთ სახელმწიფოს და მეცნიერების შორის. მეცნიერებამ, უმაღლესმა სწავლამ მაშინ ჩაიცვა მუნდირი, თავზე დაიხურა აკადემიური პარიკი, ამ მუნდირით, პარიკით ეხლაც ამაყობს, ყოყოჩობს აკადემიური სწავლა, მეცნიერება და ამპარტავნულად, ქედმაღლურად დასცქერის ოლიმპის წვერიდგან სახალხო განათლებას, ცხოვრების სინამდვილეს. აი მაგალითი. უ. რენანი, ამაყი და სახელოვანი მეცნიერი, ეხლაც მაიმუნებს უწოდებს ყველა იმ პირებს, რომელთაც უმაღლესი განათლება არ მიუღიათ დაბალ ხალხს ბარი და თოხი, მეტი რა უნდათ.

განათლებულმა დესპოტმა ადრე და მალე შეიტყო, რომ იმის კეთილ-დღეობისათვის საჭიროა უმაღლესი განათლების დაქომაგება, იმასთან დაძმობილება; თავისი წადილის შესრულებას შეუდგა, ადრე და ადვილადაც შეასრულა. მუნდირ-ნაცმული განათლება და მეცნიერება თითქმის ყოველთვის და ყოველგან მომხრე იყო თავის მეცენატისა, ამ მეცენატის კეთილ-დღეობა გაიხადა სახელმძღვანელო მოქმედებათ. ამისთვისაც უმაღლეს განათლების და ცხოვრებას სინამდვილეს შორის დამოკიდებულება და ურთიერთობა გაწყდა. სწავლა მოშორდა ცხოვრებას და ტაძრის ოთხ კედელ შუა დაიბუდა. ასე გაშინჯეთ, მეტაფიზიკაც კი, სადაც მეფობს ცხოვრებას მოშორებული ლოღიკური აბსტ-

რაკვია, პოლიტიკური სახელმწიფოს სამსახურში შევიდა, მუნდი-რი ჩაიცვა. ამის მაგალითებს ჩვენაც კი ვხედავთ თითონ იმ მხარეში, რომელიც მეტაფიზიკის სამშობლოდ ითვლება. დიდი ხანი არის, რაც ამ მეტაფიზიკის კერპი, მათი აღმატებულება გეგელი, პრუსიის ჩინოვნიკი ბრძანდებოდა, პრუსიის სამხედ-რო ბანაკს და ყაზარმას მოწონებით, ღმთაბრივად თავს უკრავდა, საკმელს უკმევდა. ამ გვარმა დამოკიდებულებამ, დაკავშირებამ დიდი ვნება მოუტანა ცხოვრების გაუმჯობესობას, სახალხო განათლე-ბის გავრცელებას. დღეს აშკარად ჩანს ის ცალმხრივი შეხედუ-ლება, რომელიც ამტკიცებს, ვითომც კაცობრიობას და მამასა-დამე ცალკე ხალხის წარმატების, პროგრესის მოედანზედ, ველ-ზე იბრძვიან და მოქმედობენ მარტოდ მარტო განათლების აზ-რები, მარტოდ-მარტო ეს აზრები აძლევენ მოძრაობის ძალას პროგრესს და ზრდიან მას. განათლების წარმომადგენელნი გა-დაიქცნენ რაინდებათ, ღმერთებათ. გასწყდა კავშირი დაბალ და მაღალ განათლების შორის, აკადემიური განათლება მოშორდა ცხოვრებას, უმაღლესი განათლება—სოფლის სკოლას. ისევ რუსსომ იკისრა ამ მიმართულების შემოქცევა, დამხობა. რუს-სომ პირველად უარ ჰყო აკადემიური განათლება და აჩვენა სა-ზოგადოებას, რომ ამ განათლების გავრცელებას უკან მოსდევს ზნეობითი გარყვნილება და კიდევ ამ გარყვნილების მიზეზი იყო სწავლა-განათლება. მართალია, რუსსო წრეს იქით გავიდა და ამ გასაოცარ პარადოქსს მიადგა: „ფიქრი არის ბუნების წი-ნააღმდეგი მდგომარეობა და მოაზრე კაცი წამხდარი ცხოველია.“ მართალია, რომ ჟენევის მოქალაქეს შეცდომა არ ასცდებოდა, მაგრამ აკადემიური განათლების განკიცხვამ სახალხო განათლე-ბის საქმეს დიდი სარგებლობა მოუტანა. შემდეგში, როდესაც დიდი რევოლუციის ასპარეზზე მოქმედ პირებათ შეიქმნენ

რუსსოს მოწაფეები, მაშინ ამ უკანასკნელებმა ჯვაროვანი ადგილი მისცეს სახალხო სკოლას, სახალხო განათლებას სახელმწიფოს პირველ მოვალეობად აღიარეს. მაშინ განათლება დასდგა დემოკრატიულ გზაზე, დემოკრატიული ხასიათი; მიმართულება მიეცა. თუ რუსსომ ისე შეავიწროვა ცნება ხალხისა, რომ მარტო სოფლელებს უწოდა ხალხი, იმის მოწაფეებმაც ამ ხალხის განათლება პირველ საჭიროდ დაინახეს. ამან კიდევ შეამცირა «მეცნიერთა არეოპაგის» უწინდელი მნიშვნელობა, ამ არეოპაგს აჩვენა — თუ არა დამოკიდებულება და ურთიერთობა უნდა იყოს ეკლესიის და სახალხო განათლების შორის. რევოლუციის პედაგოგიური პრინციპები შეიქმნენ ქვაკუთხედ ახალი პედაგოგიისა და თითონ გერმანიის ყაზარმულ—პოლიციურ პედაგოგიამაც თუ რამე კარგი მოიპოვება, მარტო ის, რაც რუსსოს ნაწერებიდგან და დიდი რევოლუციის პრინციპებიდგან არის გადმოღებული. მართალია რევოლუციამ, სხვა-და სხვა მიზეზების გამო, არა-სრულიად აღსრულებაში მოიყვანა ის მაღალი აზრები, რომლებსაც ის ქადაგებდა, მაგრამ მაშინ ამ აზრების საქვეყნოდ წარმოთქმა და იმათი ცხოვრებაში განხორციელების სურვილის აღიარებაც საკმაო იყო...

## XIII

საფრანგეთის სახალხო განათლების ისტორია, სხვათა შორის, შესანიშნავია იმით, რომ არც ერთ სახელმწიფოში სასულიერო წოდებას არა ჰქონია ისეთი დიდი გავლენა სახალხო

განათლებაზე, როგორც საფრანგეთში. მარტო ამ უკანასკნელის დროის უფრო ფართოს განათლებამ მოუტანა ბედი ამ წოდების გავლენას, სრულებით განდევნა ეს წოდება სახალხო სკოლიდგან. საკვირველია საფრანგეთი თითქმის ყოველთვის მოწინავე სახელმწიფოა იყო პოლიტიკური თუ რელიგიური თავისუფლებისა, ამ სახელმწიფოში მოქმედებდა სასტიკი მტერი კლერუსისა—ვოლტერი და ამ კლერუსისას მაინც დიდი გავლენა ჰქონდა სახალხო განათლებაზე. საყურადღებო კიდევ ის არის, რომ სასულიერო წოდება ყოველთვის მომხრე იყო თავისუფლების განათლების საქმეში და ამ თავისუფლების საჭიროებას პირველ ადგილზე აყენებდა, თუმცა კი სხვა გვარი თავისუფლება იმავე სასულიერო წოდებას პირველ ბოროტებათ მიაჩნდა. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთის კლერუსი ყოველთვის მეტად მდიდარი იყო და ამ სიმდიდრის შემწეობით ის სცდილობდა ხალხის გონების დამორჩილებას რომის პაპისადმი; ეს დამორჩილება კიდევ ხომ ძრიელ ადვილად მოსხერხდებოდა სკოლის წყალობით. პაპის-ტახტის გაძლიერება, ვიწრო რელიგიური, კლერიკალური მიზანი და ლტოლვა—აი რით აიხსნება საფრანგეთის სასულიერო წოდების ლიბერალობა. ამ-ნაირი გვერდამუარება კლერუსისა ნამდვილ და გულ წრფელ ლიბერალებს ბევრჯერ ხელიდგან თავისუფლების დროშას აცლეინებდა, ამ დროშას ხელში აძლევდა თავისუფლების დაუძინარს მტერს კლერუსსას. მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავისუფლება თუმცა ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ თავისუფლებას ჭკვიანათ და სასარგებლო საქმეზედ ხმარობენ, როდესაც ყველა წოდება, ყოველი წევრი წოდებისა, მოქალაქე სახელმწიფოისა თანასწორად სარგებლობს თავისუფლებით თუ არა და—ბევრჯერ თავისუფლება სახსარია, საშუალებაა ერთის წოდების მეორისადმი დამონავებისა, დათრგუნვი-

სა; ბევრჯერ თავისუფლების ძალით ისეთი უსამართლობა მოხდება, რომ წარმოსადგენათაც კი ძნელია. ავიღოთ თუნდა ეკონომიური ცხოვრება. აქ ბურჟუაზიული ეკონომია ყოველთვის თავისუფლებას ქადაგებდა, საკუთრივ ხელ-ფასს უკრავდა — ეკონომიურ საქმეებში ნუ გაერევით, თავისუფლებას ნუ შეეხებით, თავისუფლების პრინციპი «ყველა წმინდათა» მახსნდა და ამ თავისუფლების ძალით და შემწეობით მუშა ხალხს ტყავი გააძრო, დემოკრატია ჯვარს აცვა. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ეკონომიისა, არის წოდებული სოციალიზმი, რომლის შინაარსი შეიცავს, ეკონომიური სწავლის გარდა, ზნეობრივ პრინციპებსაც, ქადაგებდა რეგლამენტაციას ეკონომიურ ზღუდეში, თავისუფლების შემცირებას, საკუთრივ ურჩევდა (და აწცა ურჩევს) ეკონომიურ საქმეებში გარევას. თუ მკითხველი მაგალითებს მოითხოვს, შორს წასვლა არ მოგვიხდება. ჩვენ ლუი ბლანს და პრუდონს დავუსახელებთ.. სახალხო განათლების საქმეშიაც ასე გახლავსთ. აქ ეკლესია ყოველთვის თავისუფლების მტერი იყო, ლიბერალები კი უარჰყოფდნენ თავისუფლებას. რისთვის? იმისთვის რომ ეკლესიას თავისუფლება ხალხის გონების დამახინჯებისათვის უნდოდა და ეს კარგათ იცოდა ლიბერალურ პარტიამ. მეორე საყურადღებო მოვლენა კიდევ ის არის, რომ სასულიერო წოდება მეტად ხელს უწყობდა ქალების განათლებას. თითონ ესლაც საშინლად დიდი გავლენა აქვს ამ წოდებას ქალებზედ და ქალების შემწეობით მოქმედობს სახელმწიფო კაცებზედ. პაპა გრიგორი მეშვიდისგან დაკანონებულმა სასულიერო წოდებას მოაშორა ქალებს, იმათ განათლებას, ზნეობით ამაღლებას შეუდგა. თუ რა ფასისა და ღირსებისა იყო ეს ზნეობითი ამაღლება მკითხველსაც კარგად ეცოდინება იმ საყოველთაო ფაქტიდგან, რომ მრუშობა, სიძვა ისე არც ერთს წოდე-

ბაში არა ყოფილა გაწმარებული, გავრცელებული, როგორც სასულიერო წოდებაში. აი მაგალითებიც. მილლერი ამბობს, რომ მეთოთხმეტე საუკუნეში ქ. ავინიონს, რომელიც მაშინ პაპების სატახტო ქალაქი იყო, პაპის სასახლის გვერდით თერთმეტი მრუშების სახლი იყო (ბოზათ ხანა) და ზოგნი ამ სახლებთაგანი დედათ მონასტრის წინამძღვრების გამგეობაში იყვნენ. კონსტანციის კრებაზე მოგროვდნენ 1400 ბოზი ქალები და ბევრმა იმათგანმა იშოვნა არა ნაკლებ 800 გულდენისა. 1472 წელს ნიურნბერგის მაგისტრატი იძულებული იყო აეკრძალვა სასულიერო წოდებისათვის ღამით სიარული მრუშების სახლეში. 1542 წ. ქ. რომში პაპის ხაზინამ 4500 ბოზებიდგან მოაგროვა ხარჯი. მეცამეტე საუკუნეში ბაზელის რჩევა იძულებული იყო შემდეგი სასტიკი განკარგულება მოეხდინა: ერთს გარყვნილს მღვდელს მოსჭრეს უსახელო ასო, ცოცხალი საწილი ცოცხალი სხეულისა და სათვალსაჩინო ადგილას დასდვეს — გამვლელ-გამომვლელმა კარგათ დაინახოსო.*) ამ ფაქტებს ახსნა აღარ უნდა. მკითხველი თითონაც დაინახავს, თუ რა ზნეობრივ სისუსტეს გაავრცელებდა ეს წოდება ოჯახებში.

როდესაც კოროლის ძალამ ნელ-ნელა ფეხი გაიმაგრა, შეისხა ფრთები, მაშინ ამ ძალამ ეკლესიას გამოუცხადა დავა. სახელმწიფოს სურდა სახალხო განათლების საქმე დაენარჩუნებინა და მიმართა უნივერსიტეტებს, მისცა მათ სხვა-და სხვა უფლებანი — დამეხმარეთ, ჩემი მხარე დაიჭირეთ დავაშიო. უნივერსიტეტებმა კიდევ ლეგისტების პირით გამართეს ქადაგება — რომაელთა უფლება, კანონი ასწავლის — სახალხო განათლების საქმე

*) Ф. В. Миллеръ, Проститунція, Соціально-медицинскій этюдъ, стр. 15—17.

სახელმწიფოს უნდა ჩაბარდესო. სახელმწიფოც, რასაკვირველია, უმაღლეს განათლებას დიდის პატივის-ცემით ეკიდებოდა, და სწორედ მაშინ ჩაიცვა ამ სწავლამ მუნდირი. თუმცა იურიდიკულად სახელმწიფომ მოიგო დავა, მაგრამ სასულიერო წოდებას სახალხო განათლებაზედ გავლენა არ მოუსპობია. თუ რა ძლიერი იყო ეს გავლენა, ცხადათ სჩანს იმ ფაქტიდგან, რომ სახელმწიფოს კიდევ ეშინოდა ეკლესიისა. რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის სხვა-და-სხვა პროვინციებში პარლამენტებმა გამოიჩინეს ლიბერალური მიმართულება *), სცდილობდნენ სახალხო განათლების გავრცელებას, «საწყალი ახალ-გაზდობის» სწავლას, აღზრდას, დააწესეს ყველა სოფელში თითო მასწავლებელი ყოფილიყო, ამ მასწავლებლებს ჯამაგირი მიეღო სასულიერო წოდების შემოსავლიდგან; მასწავლებლების ამორჩევაში, ეკლესიის გარდა, ქალაქის მმართველობასაც უნდა ჰქონოდა ხმა. ეს უმნიშვნელო დაწესება სასულიერო წოდებას არ მოეწონა, ამ წოდებას სურდა მასწავლებლების ამორჩევა მარტო იმის ხელში ყოფილიყო და ამისათვის მმართველობას უკანვე წაალებინა თავის დაწესება. ასე ვრცელი და მკვიდრი იყო სასულიერო წოდების გავლენა. მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს ჟან-ბაპტის დე-ლა-სალმა დააარსა საზოგადოება ქრისტიანული სწავლის გასავრცელებლად ვაჟებისათვის და ქალებისათვის. ეს საზოგადოება, რომელიც ეხლა არსებობს, როგორც საფრანგეთში, ისე სხვა სახელმწიფოებში და დიდი გავლენა აქვს სახალხო განათლებაზე, ეკლესიური მიმართულებისა იყო და სასულიერო წოდების ინტერესებს ემსახურებოდა. ხალხის სარგებლობა ამ საზოგადოებამ მსხვერპლად შესწირა ვიწრო წოდებრივ მიზანს

---

*) Кн. Васильчиковъ, О самоуправленіи, т. 2, стр. 110

და თუმცა დიდი რევოლიუციის დაწყების დროს (1789 წ.) ის ასწავლიდა და ზრდიდა არა ნაკლებ 30,000 ბავშვისა, მაგრამ მაინც არა კარგი რამ გამოვიდოდა ეკლესიური სწავლიდგან. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში სახელმწიფოს სახალხო სკოლისათვის აღარ ეცალა. საფრანგეთის პოლიტიკა დაემორჩილა დინასტიურ ინტრიგებს. ომიანობა შეიქნა პირველ საზრუნველ საქმეთ. ხალხი ომიანობამ ისეთ საშინელ სიღატაკეში ჩააგდო, რომ ძნელია წარმოსადგენათ. გლეხი შიმშილისაგან კვდებოდა. განათლებისა და სწავლის დარდი ვისღა ჰქონდა. ენციკლოპედიამ (მეტადრე კეთილ-შობილ მარქიზმა და ინჟინერმა ვობანმა) საშინელი სურათებით დახატეს დაბალი ხალხის ეკონომიური მდგომარეობა და აშკარად აჩვენეს საზოგადოებას — თუ რა უფსკრულის ნაპირს მიჰყვებოდა და ტირანობას უფსკრულში დასაღუპველად მოსარხეული ტახტი. დაიწყო რევოლიუცია... რევოლიუციამ სახალხო განათლება, როგორც ზემოთ ვსთქვით, სახელმწიფოს პირველ საზრუნო საქმეთ ჩასთვალა. აღზრდა განათლება ააშენა ასრეთ წოდებული — „რესპუბლიკური მორალის", ზნეობის სამირკველზედ. თუ რა ძალას და სწავლას შეადგენს ეს რესპუბლიკური მორალი ჩანს იმადგან, რომ იმის შინაარსი შემდეგი დიდი ასოებით არის დაწერილი — თავისუფლება, ძმობა, ერთობა. შემდეგში ეს ზნეობრივი პრინციპი აღზრდა-განათლებისა განდევნა კორსიკელმა დესპოტმა და ამ ბოლო დროს მესამე რესპუბლიკამ ისევ აღადგინა და სახალხო განათლების შენობის ქვა-კუთხედ აღიარა. რევოლიუციას აღარ დააცალეს შინაურმა თუ გარეულმა მტრებმა სახალხო განათლების პრაქტიკულად დაარსება; საქმით თითქმის ბევრი არა გაკეთებულა რა, რადგანაც ხაზინის შემოსავალი სულ ომიანობაზე იხარჯებოდა. რევოლიუციამ აღიარა მხოლოდ ნაღდი აზრე-

ბი *) სამი კანონი განიხილა რევოლიუციამ სახალხო განათლების შესახებ. ეს კანონები თავ თავის დროს წარუდგინეს მმართებლობას ტალეირანმა, კონდორსემ და დონუმ. სხვათა-შორის, აი რა აზრი წარმოსთქვეს იმ კანონებმა: სწავლა საყოველთაო, ვაჟებისათვის და ქალებისათვის, ეს სწავლა სასულიერო წოდების საქმე არ არის, სახელმწიფოს ხელში უნდა იყოს, სწავლა მუქთი, ათას სულზე ერთი სკოლა მაინც უნდა იყოს გამართული, ვინც შვილებს არ ასწავლის, დაისჯება და სხ.. როგორც მკითხველსაც ეცოდინება, რევოლიუციას ძლიერ მალე წამოაჯდა კისერზე საკუთარი ღვიძლი შვილი, მაგრამ მშობლის მოღალატე, ნაპოლეონ ბონაპარტე. რევოლიუციის იუდა ისკარიოტელი, თვითმპყრობელი იმპერატორი ფრანცუზების სახალხო განათლებას სრულებით ყურს არ უგდებდა. ჯარები და სალდათები — აი რა არის საჭირო სახელმწიფოს გამგეობისათვისო, ამბობდა ეს ფრანცუზების მარსი. პირველადვე ამ პატრონმა განდევნა რესპუბლიკური მორალი; იმის აზრით, რესპუბლიკა და იდეალოგია ერთი და იგივე იყო. და ან რა საჭირო იყო ეს იდეოლოგია იმისთანა გმირისათვის, რომელმაც მთელი ევროპის ველები ერთ დიდ სამხედრო ბანაკად გახადა და ეს ველები კიდევ მორწყო კაცის სისხლით? სასულიერო წოდებას უფრო ესარჩლებოდა ეს გმირი და ზევით ხსენებულ საზოგადოებას დე-ლა-სალისას მცირედ რაიმე მოწყალებას აძლევდა ყოველ წელიწადს — 4250 ფრანკს; აი ეს იყო პირველი ნაპოლეონის ღვაწლი! საერო სკოლას სრულიად არავითარიმე შემწეობა არ ეძლეოდა. შესანიშნავია კანონი, რომელიც გამოიცა 17 მარტს 1808 წ ამ კანონმა ააშენა განათ-

---

*) Васильчиковъ, стр. 111.

ლებს, უმაღლესი თუ სახალხო, ცენტრალიზაციაზე, მთავრობა ალიარა გამგეობელად და სულმძღვანელათ ხალხის ჭკუა-გონებისა; ამ კანონის ძალით განქრა საზოგადოებრივი ელემენტი. თვითმმართველობის ადგილი დაიჭირა იერარქიულ ბიუროკრატიამ *). ბურბონებმა მიმართეს ძველ მეგობარს — სასულიერო წოდებას. მთელი სახალხო განათლება პირების და იეზუიტების დაუთმეს, სკოლები მონასტრებით შეიცვალა, სადაც ნორჩი ტვინი იკვებებოდა ისეთი მავნებელი საზრდოთი, როგორიც არის იეზუიტების მორალი. ეპისკოპოზებს, როგორც ნაპოლეონის დროს პრეფექტებს, დარჩათ სახალხო განათლების ასპარეზზე კერძო პირს რომ სკოლის გამართვა სდომოდა, ეპისკოპოზისაგან უნდა მიეღო ნებართვა. მაგრამ ესეც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბურბონებმა რევოლუციის ერთი პრინციპი მოგონებით მაინც მოიგონეს. კანონმა რომელიც გამოიცა 29 თებერვალს 1816 წ., დააწესა — თვითეული საზოგადოება (Община) ვალდებულია ყველა ბავშვებისათვის სკოლა დაარსოსო; სწავლა ღარიბებისათვის მუქთი უნდა ყოფილიყო. ამ კანონმა საქმეს ვერ უშველა. სკოლა სამწუხარო მდგომარეობაში იყო. აი რას სწერდა რევოლუციის რამდენიმე თვის წინათ განათლების მინისტრი: „სკოლები თითქმის არ არის, ისინიც კი იფუშებიან, რომლებიც მოიპოვებიან; საწყალი შენობები ამათ თხოულობენ წიგნები მოკვეცილი; მასწავლებელნი სიღატაკეში არიან ჩაცვივნულნი, ყველაფერს მოკლებულნი. ასეთია სამწუხარო სურათი სახალხო განათლებისა, სურათი, რომელიც მეტად დიდი ხანია რაც არსებობს**). შემდეგში, როდესაც ლუი ფილიპეს მმართებლობამ

*) Штейнъ, стр 136.

**) Лавлей, стр. 280.

რევიზია მოახდინა — გაეგო რა მდგომარეობაში იყო სახალხო განათლება, მაშინ ნახა, რომ საშუალო სწავლა აღმოჩნდა. სულ სკოლებმა მასწავლებლებით იყვნენ სიღარიბეში. გარეტოთულიებში, ბავშვები სწავლობდნენ სარდაფებში, თავლებში, მარნებში; მასწავლებლებს არა გაეგებოდათ რა გრამმატიკისა, ბევრმა იმათ-განმა არც წერა იცოდა არც კითხვა*) ასე კი შეეძლოთ ბრო-ნებს სასულიერო წოდებისათვის მორჩილობამ და სიყვარულმა. რომელნამე თვის წინათ, გენერლის რიჩელიეუცია ტაკტიდამ გადმოსაბმარებელად განმანათლებლური გარეშე მეათეს, განათლებას მასინისტრმა ხელი მოჰკიდა სახალხო სკოლის გაუმჯობესებას, მაგრამ დრო აღარ იყო, რევოლუციამ დაიქუხა და ხალხმა ბარრიკადების დაუწყო შენება ქუჩებში.

ტახტზე აიყვანეს მეფე-ბურჟუა ლუი ფილიპე. ბურჟუა-ზიას ძლევამოსილი გათენდა. მღვდლის წინაშე დაბალი ხალხიც მოიგონეს. განთქმული დოქტრინიორი გიზო შეუდგა სა-ხალხო სკოლის საქმეს. ამ სკოლის ზემოთ მოყვანილი სურა-თი მკითხველმა იცის. საჭირო იყო ამ სურათის მოსპობა. გუ-ზენი, ფილოსოფიაში და მწერლობაში შესანიშნავი მხოლოდ თავისი უბიწო ეკლეკტიზმით, განთქმული იქმნა გერმანიაში, სადაც იმან სულ სხვა სურათები ნახა სახალხო განათლებისა. ამ ეკლეკტიკი ისე როგორ დასტურებდა გერმანიულ სკოლის წესებს, რომ ცოტაოდენი მათგანიც არა გადმოეღო რა. 28 ივ-ლისს 1833 წ. გამოიცა კანონი, რომელსაც გიზოს სახელი ეწოდება. ეს კანონი, რომელიც სხვათა-შორის, შესანიშნავია იმით, რომ სახალხო განათლებაში თვითმმართველობას მისცა ცოტად თუ ბევრად ადგილი, ჰბაძავს გერმანიულ წესებს. ამ კა-

*) Окольскій, стр. 154—155.

წონმა დაწესა სკოლის სასარგებლოდ ხარჯი და ბევრი სასარგებლო ცვლილებანი მოახდინა. თუ რა ნაყოფიერი გამოდგა ეს კანონი ჩანს იმ ფაქტიდგან, რომ ერთი-ორად გამრავლდნენ სკოლები ამ კანონის შემწეობით. კერძო მეათემ დასტოვა 30,000 სკოლა და ლუი ფილიპემ მეორე რესპუბლიკას უანდერძა 63,000 სკოლა. ივლისის ტაქტს თან მოჰყვა თებერვლის რევოლიუცია. ამ უკანასკნელმა საქმით კი ვერა გააკეთა რა, სიტყვით კი კარნოს პირით მაღალი აზრები უხვად წარმოსთქვა. ან საქმით რა გაკეთდებოდა. თებერვლის რევოლიუციას დიდი დღესი არა ჰქონია. მალე, მეტად მალე დაიწყო რეაქცია. ბურჟუას ძლიერ შეეშინდა რევოლიუციის სოციალური მიმართულებისა, მას დაუწყო ორმოს ამოთხრა. თითონ სოციალისტების პარტიამ ვერ გამოიჩინა სახელმწიფო გამოცდილება, პოლიტიკური ტაქტი. ბურჟუამ და რეაქციამ მოახდინეს ისე, რომ მაშინ მიელ გავლენიან ლუიბლანს სიღარიბეზე და შრომაზე ლექციების კითხვა დააწყებინეს მუშა ხალხისათვის და დემოკრატია კიდევ მიწის ზიდვას მიაჩვიეს პარიჟის ტრასებზე. შემდეგში თითო მუშას ოც-და-ათი ფრანკი მისცეს, მას უკან უსარგებლო მუშაობაც ჩამოართვეს, დაითხოვეს დემოკრატია. ოც-და-ათი ფრანკი, სწერდა პრუდონი, ეგ ხომ იმას მოგვაგონებს, რომ იუდამ ქრისტე ოც-და-ათ ვერცხლად გაყიდა! დიახ, მართალია, მაგრამ რისთვის გაყიდვინეთ იუდას ქრისტე ოც-და-ათ ვერცხლად?—ნაპოლეონი თავისას ცდილობდა. ეს გამ-ვერა და ფლიდი გმირი არ იყო ისეთი მოუხერხებელი კაცი, როგორც ჰგონიათ. ასე გასინჯეთ ის თავის დროზედ კიდეც სოციალისტობდა მარტო სიტყვით კიარა, საქმითაც, ისე მარჯვეთ სოციალისტობდა, რომ პრუდონმა, თითონ პრუდონმაც კი ვიზიტი გაუკეთა დროებით სოციალისტს. ვინ მოიფიქრებ-

და მაშინ, რომ ეს ცრუ სოციალისტი ბოლო დროს სოციალიზმსაც და დემოკრატიასაც პასუხს ამოჰკრავდა და დააწესებდა საფრანგეთში ერთ პოლიტიკურ სისულელეს, როგორც ცეზარიზმი იყო, მაგრამ ასე კი მოხდა. დიდ უბედურებაში იყო ნაპოლეონის მესამის დროს ჭკუა-გონების საქმე, დიდ განსაცდელში ჩავარდა თითონ სახალხო სკოლაც. ეს ცეზარიზმა ისე მაგრათ მოუჭირა საფრანგეთის თავს რკინის სალტა, რომ არსად გაგონილა. სკოლა ისევ სასულიერო წოდებას ჩაუვარდა ხელში, მასწავლებელი შეიქნა ყურ მოჭრილი ყმა მათი აღმატებულების, პრეფექტისა. მასწავლებელს ეუბნებოდნენ — ამა-და-ამ აზრს ემსახურე, ამ პოლიტიკური სისტემას მიემხრე იყავი და ნებას მოგცემთ სკოლაში ასწავლოთ. არც ერთი ნიჭიერი და პატიოსანი მასწავლებელი სკოლაში აღარ დადგა. სკოლების რიცხვი შემცირდა. მთავრობა ამ მოვლენას ვითომ ყურ სდებდა, ნიშნავდა, მაგრამ გულში კი უხაროდა.

## XIV

ნაპოლეონ პირველმა, როგორც საზოგადოთ მთელი სახელმწიფო მაშინ, ისე სახალხო და სასულიერო განათლება ააშენა ჯარმოსხიულათ გაწყობილ ცენტრალიზაციაზე. ვიმეორებთ, რომ პოლიტიკური ცენტრალიზაცია იყო ჩაყოფი საფრანგეთის ისტორიული ცხოვრებისა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველმა სახელმწიფომ არ იცოდა ის ადმინისტრაციის, მმართებლობის ორგანოები, რომლებიც ნაპოლეონმა დაარსა. ორგანოები შეიცვალნენ, სახელმწიფოს ადმინისტრატიული ფორმა, გაწყობილება ძველებური დარჩა. როგორც წინათ, ისრე მერე, რევოლიუციის შემდეგ, სატახტო ქალაქი, სადაც არსე-

მოხდა სახელმწიფო მაშინა, შეიქმნა ბატონათ მთელი მხარესი, სამეფოსი. სახელმწიფო ძალა დაემკვიდრა ერთ ადგილას, სატახტო ქალაქში და ამ ძალამ მოიგროვა ხელში მთელი ხალხის თავისუფლება. ეს ძალა ადგენდა განკარგულებას და განკარგულება კიდევ პროვინციებში, მაზრებში მიეშურებოდა და იქ უმალვე სრულდებოდა. მოძრაობა, მოქმედობა იყო ერთს ადგილას, სხვა ადგილებში მოთმინება, უმაღლესი განკარგულების შესრულება. მეორე განსხვავება კიდევ ის იყო, რომ რევოლიუციის შემდეგ სახელმწიფო მაშინა, აშენებული სასტიკ ცენტრალიზაციაზე, მოძრაობაში მოჰყავდათ ახალ პრინციპებს. მაგრამ როგორც წინათ, ისე რევოლიუციის შემდეგ, სახელმწიფო ზევიდგან დასცქეროდა ხალხს და არა ქვევიდგან იცქირებოდა ზევით. ხალხის თვით-მოქმედება, თვით-მმართველობა, ე. ი. ის პოლიტიკური ძალა, რომელიც საზოგადოების თაოსნობის, თავისუფლების, ნაყოფია, საზოგადოებისაგან წარმოსდგება და იმისავე მიიმართება, ეს ძალა აღმოიფხვრა, გაქრა. ამ ძალის ადგილი დაიჭირა სახელმწიფო ხელმძღვანელობამ და ეს ხელმძღვანელობა კიდევ დაარსდა ერთ ადგილს, სატახტო ქალაქში. რასაკვირველია, რომ ნაპოლეონი ხელს უწყობდა ცენტრალიზაციას, რადგან პოლიტიკური დესპოტიზმი მეტად ლაზათიანად თავსდება სახელმწიფოში ცენტრალიზაციის შემწეობით. სახალხო განათლებასაც მთელი სახელმწიფოს წყობილების ფორმა მიეცა. ადმინისტრაციის ხელში იყო ეს განათლება და ადმინისტრაცია კიდევ წარმოადგენდა ერთს ჰარმონიულად განწყობილ შენობას, რომლის ერთი ნაწილი მეორეზედ იყო დამყარებული, მეორე მესამეზე და სხ... ეს ნაწილები ერთი და იგივე ძალით იყვნენ შეკავშირებულნი და თითონ მთელი შენობაც მოძრაობაში მოდიოდა ერთი და იგივე ძალით. ამ შენობას ზევიდგან

დაჰყურებდა უპირველესი ხელმძღვანელი, იმპერატორი. სახალხო განათლების სისტემა ადმინისტრატიულად გაჰყვეს. ამ სისტემის ერთი ორგანო მეორეს მორჩილი იყო, მეორე მესამესი და სხ., თითონ სისტემა თავის ორგანოებით იმპერატორს ეჭირა ხელში. სახალხო სკოლა სამ ნაწილათ, კატეგორიათ გაანაწილეს. მაღლიდან რომ დავიწყოთ, აი რა ორგანოები განაგებდნენ სკოლის საქმეს: პირველი ორგანოს შეადგენდა მერი, ადმინისტრაციის ჩინოვნიკი. ეს ემორჩილებოდა პრეფექტს, რომლის ხელშიაც იყო სკოლის ბედის წერა, პრეფექტი ემორჩილებოდა მინისტრს, მინისტრი იმპერატორს. იმპერატორს კიდევ ხალხის განათლების საქმე მაგრად ეჭირა ხელში, როგორც სურდა, ხალხის გონების ჩარხს ისე ატრიალებდა, —თუნდა სწორედ, თუნდა ბრუნდედ, თუნდა მარცხნივ, თუნდა მარჯვნივ, მოწინააღმდეგე ვინა ჰყავდა. ამ გვარი შენობა სახალხო განათლებისა სასარგებლო იყო პირველი ნაპოლეონისათვის, რომელმაც უმაღლესი განათლებაც კი ცენტრალიზაციაზე ააშენა. ნაპოლეონ მესამე დაადგა თავის სახელოვანი ბიძის გზას, თუმცა ის ბიძასთან შედარებით ლილიპუტი იყო, ქონდრის კაცი. იმან განათლების საქმე ასე განაწყო: 1., განათლების მინისტრი და იმასთან ერთად წოდებული უმაღლესი რჩევა, რომელიც მთავრობისაგან დანიშნულ ჩინოვნიკებისაგან შესდგებოდა. 2.) რექტორი და აკადემიური რჩევა. აქაც ჩინოვნიკები. ამათ ეპყრათ სასწავლო მაზრა, მაზრაში დიდი გავლენა ჰქონდა სახალხო განათლებაზედ პრეფექტს, ადმინისტრაციის ჩინოვნიკს, რომელსაც ემორჩილებოდა დეპარტამენტის რჩევა... გარდა ამისა პრეფექტს გარშემო ეხვია მთელი ხროვა ინსპექტორებისა და კანტონის წარმომადგენელნი. 3.) სახალხო სკოლასთან ყველაზე უფრო ახლო იდგა კომიტეტი, რომელიც შესდგებოდა მერისა-

გან, მღვდლისაგან და 2—3 ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. კომიტეტს ებარა საზოგადოება (კომუნა), მასწავლებლის ამორჩევის ნებას მოკლებული იყო; ეს ნება ჩააბარეს პრეფექტს. საზოგადოებას შეეძლო მარტო სურვილი გამოეცხადებინა — ისიც სურვილი! — სასულიერო პირი უნდოდა თუ საერო მასწავლებლათ*). ამ ბიუროკრატიულ შენობაში ირეოდა საშინელი ხროვა მთავრობისაგან დანიშნული ინსპექტორებისა, რომელნიც თავ-პირს იმტვრევდნენ აქეთ იქით სირბილით — განათლების საქმე არ დაიმხოს, არ დავიღუპოთო, ე. ი. ცუდმა აზრებმა, მიმართულებამ გზა არ გაიკვლიონ სასწავლებელშიო. ასრე და ამგვარად სახალხო განათლება მსხვერპლად შესწირეს დინასტიას, სკოლა ჩააბარეს პრეფექტს, რომელმაც საწყალი მასწავლებელი დაქიათ გაიხადა და ეს ყურ-მოჭრილი მონა მათი ადმასტებულებისა კიდევ სცდილობდა ხალხისათვის ჩვენებისა — თუ რა ბედნიერია ფრანცუზების სამშობლო ნაპოლეონ მესამის ხელში. თვით-მმართველობა, რომელიც გიზოს კანონმა დაარსა სკოლაში, ნაპოლეონ მესამის სისტემამ სრულიად განდევნა. თვით-მოქმედების ადგილი დაიჭირა ადმინისტრატიულ რეგლამენტაციამ და ამ უკანასკნელმა კიდევ სრულებით შემუსრა ხალხის თავისუფლება. სწორედ რომ ნაპოლეონმა შეასრულა თავისი აღთქმა — სახელმწიფო შენობის დაგვირგვინება!.. სასულიერო წოდებას შეესხა ფრთები. იმას თავისუფლება მიანიჭეს ეკლესიურ სწავლამ მეტად გაიდგა ფეხი. იეზუიტებს დღესასწაული დაუდგათ. გარყვნეს ხალხის გონება. სკოლების რაოდენობა, მცირე რიცხვი კი არა (როგორც ჩვენშიაც ბევრნი ჰფიქრობენ),

---

*) Васильчиковъ, стр. 116—119. დაწვრილებით არის სკოლის გაწყობილება ნაჩვენები.

სკოლების მიმართულება. ხალხის გონების დამახინჯება იყო, სხვათა შორის, იმის მიზეზი, რომ ნაპოლეონი დიდ-ხანს გამარჯვებული რჩებოდა და არც მარტო სკოლების რიცხვით განისაზღვრება ხალხის კეთილ-დღეობა, იმისი პროგრესიული ძალა, როგორც კერძო პირის ღირსებანი მარტო უმაღლესი განათლებით არ შეიძლება გაიზომოს. უფროთვე ხალხზე უნდა ითქვას, შეიძლება კერძო პირი წყარო იყოს მეცნიერებისა, ჭიპი განათლებისა და ამასთან კიდევ უმეცართაგან უბედური. საქმე იმაშია — რა სული, მიმართულება ტრიალებს სკოლაში, რა გვარი ზნეობის დედა აზრები, პრინციპები ასულდგმულებენ სკოლას. ეს არათუ მარტო სახალხო სკოლაზე, უმაღლეს სასწავლებელზედაც ითქმის. არც ერთ ხალხს არა ჰყავს იმოდენა ნასწავლი კაცები, როგორც გერმანიას და განსაკუთრებით პრუსიას. ამ სახელმწიფოს უნივერსიტეტები განთქმულნი არიან მთელ ევროპაში, სახალხო სკოლების რიცხვით პრუსია მაღლა სდგა ყველა სახელმწიფოებზედ, მაგრამ რა? აქ ასეთი სწავლაა «ფილისტერებისა, რომ ერის ჰყვანს კი არა, ათს იმისთანას ეყოფიან საზრდოთ... აქ უნივერსიტეტები «გონების ციხეები» არიან, სახალხო სკოლები კიდევ წარმოადგენდნენ ერთს უშველებელს ყაზარმას, სადაც ხალხის გონება სამხედრო საზრდოთი იკვებება. ასე გასინჯეთ ესტეტიკა, მუზიკაც კი მოლტკეს შტაბს ემორჩილება,—სახალხო სკოლაში უფრო სამხედრო სიმღერებს ასწავლიან და პრუსიის კანონის ძალით სამსტატო სემინარიაში შეგირდათ არავის მიიღებენ, თუ მუზიკის ნიჭი არა აქვს...

მესამე რესპუბლიკა გულმხურვალედ შეუდგა სახალხო განათლების საქმეს. საფრანგეთში გარკვევით იციან, თუ რა დიდს პროგრესიულს ძალას შეადგენს სახალხო განათლება, ისიც იციან, რომ მარტო სკოლის გამრავლება არ შობავს ხალხის

კეთილ-დღეობას — ამასთან უპირველესად საჭიროა, რომ სახალხო განათლების შენობა ამოყვანილი იყოს ზნეობითი პრინციპების საძირკველზე, ეს პრინციპები უნდა იყვნენ სული და გული სახალხო სკოლისა. ამისთვისაც ფრანცუზების სისტემამ დააძმობილა სწავლა და ზნეობა, განათლება და აღზრდა, მეცნიერება და მორალური პრინციპები. ამ კავშირს, ძმობილობას, რევოლიუციის შემდეგ, ყოველთვის, ცოტად თუ ბევრად, ვხედავთ საფრანგეთში. ეს მოვლენა ნაყოფია წარსული საუკუნის გონებითი მოძრაობისა. აქ, ე. ი. ამ ძმობილობაში უნდა მოვძებნოთ უმთავრესი მიზეზი იმ საყურადღებო და საყოველთაოდ მიღებული ჭეშმარიტებისა, რომ აქამომდე საფრანგეთია ბელადი ევროპიის სოციალური პროგრესისა. მესამე რესპუბლიკამ კავშირი სწავლის და ზნეობის შორის კანონათ გახადა, ამ კავშირს სახელმწიფო ბეჭედი დაასვა. სახალხო სკოლა საფრანგეთში შეიქნა წმინდა ტაძრათ, სადაც გონება და კეთილ-შობილური გრძნობანი შეკავშირდნენ; ამ წმინდა ტაძარში გონებითი და ზნეობითი თვისება კაცისა ჰარმონიულად ვარჯიშდება, იზრდება. სახალხო სკოლის შენობის დედა-ბოძს შეადგენს «რესპუბლიკური მორალი — ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ ლაზათიან შენობაში საფრანგეთის შვილი, შვიდ-რვა წლისადის, სწავლობს ბუნების მეცნიერებას, სამღვთო წერილის მაგივრად პოლიტიკურ ეკონომიას, ზნეობრივ და სამოქალაქო კატეხიზმოს, ე. ი. იმ წმინდა სწავლას, რომელსაც ღაღადებდა დაუვიწყარი მოქადაგე კაცობრიობისა — დიდი რევოლიუცია. დედა-ბოძის გარდა სამი საკუთხე ბოძი უდგია სკოლის ტაძარს — სწავლა საერო, ვალდებითი, უფასო. სასულიერო წოდება სრულებით განდევნილ არის ამ წმინდა ტაძრისაგან, სადაც ღვივის გუნდრუკი სინიდისის თავისუფლებისა. ხატები (რელიგიური

კულტის ნიშანი, ემბლემა) სკოლიდგან ეკლესიაში გადაიტანეს, თქვენი ადგილი აქ არისო...

მესამე რესპუბლიკამ სახალხო სკოლის შენობა ააგო ცენტრალიზაციის სისტემაზე, ეს რესპუბლიკა დაადგა იმავე გზას, რომელ გზაზედ იდგნენ პირველი და მესამე ნაპოლეონი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სისტემის გამაცხოველებელი სული სხვაა, შესაფერი სახელმწიფოს რესპუბლიკური ორგანიზაციისა, წყობილობისა. თუ წინათ ცენტრალიზაცია ემსახურებოდა დინასტიას, ეხლა რესპუბლიკას ემსახურება. მიზანი, შინაარსი გამოიცვალა, ფორმა, გარეგანი წყობილობა სახელმწიფო მაშინისა უცვლელი დარჩა. ეს მაშინა ეხლა სხვა ძალას მოჰყავს მოძრაობაში, უწინ სხვა ძალას მოჰყავდა, თუმცა მაშინა რაც ეხლაა, ის წინათ იყო. ეხლაც სახელმწიფოს თაოსნობას უჭირავს პირველი ადგილი, ეხლაც თითონ რესპუბლიკაა სახალხო განათლების ხელმძღვანელი და არა ხალხის თვითმმართველობა, თვით-მოქმედება, ეხლაც ჰარმონიულად გაწყობილ ცენტრალიზაციის შენობას წარმოადგენს განათლების საქმე საფრანგეთში. ამ შენობას გუმბათივით ზევიდგან ადგია «უმაღლესი რჩევა», რომელიც შესდგება ოც-და-ცხრამეტი წევრიდგან. ეს წევრები ირჩევიან ექვსი წლის ვადით. რაც კი საუკეთესო და შესანიშნავი გვამი მოიპოვება საფრანგეთში, ამ «უმაღლესი რჩევის» წევრია. უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებს, სწავლულთა აკადემიას, სენატს, დეპუტატთა პალატას და სხ., ყველას ჰყავს თავის წარმომადგენელი «რჩევაში», რომელიც არის უპირველესი დაწესება ხალხის განათლების წარმატებისა. თითონ განათლების მინისტრი ამ «რჩევას» ემორჩილება. «უმაღლეს რჩევის» ქვემოდ სდგა ესრეთ წოდებული დეპარტამენტის რჩევა, ამას კიდევ ემორჩილება კანტონის კამიტეტი. იერარ-

ხალხი უკანასკნელ კიბის საფეხურს შეადგენს «სასკოლო კომისია», რომელიც ყველა საზოგადოებაში იმყოფება. კომისიას ყოველ-წლიწადს არჩევს საზოგადოების რჩევა. ამ კომისიას ნება აქვს სკოლის მარტო საოჯახო საქმეებში გაერიოს, იზრუნოს მარტოოდ-მარტო სკოლის ნივთიერ გაუმჯობესობაზე. ადმინისტრაციის უმაღლეს პირს შეადგენს განათლების მინისტრი თავის «სამცნებელი კომიტეტით» (Совѣщательный комитетъ), რომლის წევრები ამორჩეულნი არიან სწავლა-განათლების საქმეში დახელოვნებულთა პირთაგან. მინისტრს ემორჩილება მთელი დასი ჩინოვნიკებისა.—

რესპუბლიკამ მოინდომა ხალხის გონების და ზნეობის აღზრდა ისე, როგორც ამ სახელმწიფო წყობილობის სარგებლობა ითხოვს და კიდეც შეასრულა თავის წადილი. სახალხო განათლება ისეა მოწყობილი, როგორც რესპუბლიკა ითხოვს. მეტად კარგი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ცენტრალიზაცია უნდა მოსპობილიყო და თვითონ ხალხი გამხდარიყო მოთაოსნო სახალხო სკოლისა. ეხლაც, როგორც წინათ, სახალხო სკოლა სახსარია პოლიტიკური სისტემის დამყარებისა, სკოლა მსხვერპლია პოლიტიკისა...

ნიკო ხიზანოვი.

(დასასრული შემდეგში).

# წუნია ქალი.

საქმრო მიჩნდება მე ბევრი,
მათში ბევრი კარგებია,
მაგრამ ერთიც კიარ მომწონს:
ყველა ჩემზედ ნაკლებია.

ერთია მათში თავადი,
მშვენიერი სახის კაცი,
მამულს უქებენ ყველანი,
ჰყავს ნადელში ბევრი კაცი.

მაგრამ ტანად დაბალია
და არ მომწონს მე იმისთვის,
ტანდაბალსა არ წავყვები
არავითარ სიკეთისთვის.

მეორეა აზნაური,
კარგი ოჯახის პატრონი.
ამბობენ ვაჟიც კარგია,
ტანად, პირად მოსაწონი;

მაგრამ თურმე ხნიერია:
ჩემზედ მეტი ხუთი წლითა.
ხნიერ კაცსა არ წავყვები,
არ ვიკვნესო სიცოცხლითა.

მესამე არის ნასწავლი,
უმაწვილი კარგი, ჭკვიანი,
შემაქცევი და გამრთობი,
ყველასთან ალერსიანი;

—

მაგრამ არ მსურს იმას წავყვე,
რადგან გლეხის შვილი არი;
ის რომ იყოს აზნაური,
აღარ ეთქმის მაშინ ვარი.

—

მეოთხე ჩინოვნიკია,
მშვიდი, წყნარი და მორჩილი:
ის უფროსებს ისე უყვარსთ,
როგორც მამას თვისი შვილი;

—

მაგრამ ეგა ხათაბალა,
არ იკარებს იგი ჩინებს,
მე იმას არ მივეთხოვი,
თუ ტრემლაკებს არ მაჩვენებს.

—

სხვები კიდევ ბლომათ არის,
მათში ბევრი კარგებია,
მაგრამ ერთიც კი არ მომწონს:
ყველა ჩემზედ ნაკლებია.

ნესტ. ყუბ—შვილი.

1881 წ. ოკტომბერის 16.

# რამდენიმე სიტყვა.

,,ივერიის'' მაისის ,,შინაურს მიმოხილვაზედ.''

დამამხობელი მოქმედება აქვს კაცზედ მონებას, სხვის ხელთ-ქვევითობას, სხვის თვალსა და პირში შეცქერას, სხვის სიტყვით და ბრძანებით საქმეზედ დგომას, სხვის გამგებლობაში ყოფნას. აქ კაცი ჰკარგავს ზომეტებულ ნაწილს იმ ღირსებათა, რომელნიც უნდა შეადგენდნენ კაცის ნამდვილ კაცურ კუთვნილებათა. კაცს უძლურდება აქ გონება, ცნობა, სჯა, მოსაზრება, გამბედაობა, თაოსნობა, მაღალი აზრით გატაცება, კაცური ამპარტავნება და თავისი კაცური ღირსების დაფასება და სიყვარული. ხდება ზნით დაცემული, სულით მდაბალი, მხდალი, მუხანათი, გამცემი, ძლიერის სიამოვნების მეცადინე, უძლურის მჩაგვრელი, გულდახურული და გულღრძო. სიტყვით ეთვისება ყველა ის თვისებანი, რომელნიც შეადგენენ კაცის დამამცირებელ თვისებათა. ამას გვიმტკიცებენ ყველა ხალხები, რომელნიც არიან მონობას გამოვლილნი. ეს არის აუცილებელი ბუნების კანონი. რასაც ნიჭს, რასაც ძალას, რასაც სხეულს არა აქვს ზომიერი ვარჯიში, — ეს ნიჭი, ძალა, სხეული თან და-თან მოუძლურდება, და, თუ საკმაო ხანმა გასტანა, კიდეც მოისპობა. რადგან იმ გვარს გარემოებაში, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, კაცი მო-

კლებულის ღონეს, რომ ამოძრაოს და ავარჯიშოს თავისი ნამდვილი მაღალი კაცური თვისებანი, და იძულებულია ამუშაოს და ავარჯიშოს კაცის ღირსების დამცემი თვისებანი: სიცრუე, ორპირობა, მლიქნობა, თავის დამცრობა, პირფერობა, მსახურება, თაყვანება, მონება, მორჩილება და ათასი ამ გვარი საზიზღრებანი, რადგან მარტო ამებით შეუძლიანთ თავის დარჩენა, ქვეყანაზედ თავის შენახვა. ამის გამო ეს ვარჯიში აცხოველებს და ამძლავრებს ამ გვარს ხალხში ამ ჩვევთა და თვისებათა. ამის გამო, ყველა ვინც კი გრძნობს ამ საძაგელი გარემოებების მოქმედებას კაცზედ და ვისაც კი უცემს ნამდვილი კაცური გული, ცდილობს, რომ იხსნას კაცი ამ მდგომარეობიდგან. ამის გულისთვის იყვნენ ისე თავგამოდებულები ფრანკლინები, ვაშინგტონები, გარიბალდები, მაძინები, კოსციუშკები, კარბონარები, გეტეროსები და სხვა ათასი კაცობრიობის დამამშვენებელნი პირნი და საზოგადოებანი.

«ივერიის» მაისის წიგნის შინაურ მიმოხილვაში არის აღძრული ლაპარაკი იმაზედ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს კაცმა და რა გზაზედ უნდა დადგეს, რომ იხსნას თავი ზემოთ ხსენებული გარემოებებიდგან და დაადგეს თავის აწმყოსა და მომავლის წარმატების გზას.

ჩემი აზრით, ამ კითხვას, რა სახითაც ეს არის გამოხატული ხსენებულს მიმოხილვაში, უნდა რამოდენიმე შევსება და განმარტება.

არიან ხალხნი, რომელთაც თითქმის თავის-თავათ იმისთანა აწეწილს გარემოებაში ჩააგდეს თავისი თავი, რომ იმის გამოხვლანჯვა და დახსნა არ არის ადვილი. ავიღოთ შეხედულობა და ძალა იმ მუხრუჭისა, რომელშიაც ამ ხალხთ გაჭყვეს თავი; ავიღოთ ევროპის პოლიტიკა, იმისი აწეწილი და ნიადაგ

დაუდეგარი მოქმედება: დღეს ერთი სახელმწიფო უმართავს მეორეს ერთ საქმეში ხელს, და ხვალ, სხვა გარემოებაში ჩავარდნილი, უცრის და იარაღითაც ხელში ცდილობს ამ გზაზედ იმის დამხობას; ავიღოთ ისა, რომ დაწინაურებულს ხალხებში დაწინაურებულს საზოგადოებას და ხალხის აზრს აქვს ძალა და გავლენა არამც თუ თავის მმართებლობაზედ, და თვითონ უცხო ქვეყნების მმართებლობაზედაც; ავიღოთ ისა, რომ ამ დაწინაურებულს ხალხებში თან-და-თან ვრცელდება აზრი, რომ ყველას თავისი სიმართლე უნდა მიენიჭოს, ყველა თავისი თავის ბატონი თითონ უნდა იყვეს; რომ ყველგან და ყოველ ხალხთა შორის უნდო იყოს ძმობა და თანასწორობა, და სხვა ამ გვარები. აი ამ სცილასა და ხარიბდას შუა არიან გასავლელნი ის ხალხნი, რომელზედაც ჩვენცა და მიმოხილვის დამწერსაც გვაქვს ლაპარაკი. და ჩემი ფიქრით, მარტო ის პროგრამმა, რომელსაც გვაძლევს «ივერია», ვერ შეასრულებს იმასა, რაც არის საჭირო ამ ხალხთა საბოლოვოსათვის.

მიმოხილვის დამწერი გვიხატავს ამ პროგრამმას შემდეგი სიტყვებით:

„თავის ვინაობის და ქვეყნის აღსადგენელათ და ქვეყნის დასანახავად (სლოვიანებმა), თავისი წარსული ხელახლად ააყენეს სათვალავადაშ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს, ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ერთვნებას, მათს ვინაობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველი გმირებისა, ქვეყნისთვის თავ დადებულებისა, ძველი ქველობისა, ძველი კაცური კაცობისა; მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანი დღენი წარსულისა, აღადგინეს,

განწმინდეს, გაამძლიეროს დედა ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული.»

ჯერ მოკლედ გადავავლოთ თვალი, რამდენათ შეუძლიან ხალხის გაახლება და წარმატების გზაზედ დაყენება «წარსულის ხელ-ახლად აყენებას საფლავიდამ».

ჩემი ფიქრით, წარსული ძნელათ თუ ვისმე აღადგენს ან მისცემს იმგვარს მაგალითს, რომლის მიღებაც მისცემდეს კაცს მომავლის დარდგენას. წარსულის ბაძი ჩვენ ვერ წაგვიყვანს წინა, რადგან ყველა ხალხის წარსულში უფრო ცუდია, ვიდრემ კარგი, რომლისგამოც ვერ გამოიტანს იქიდგან ხალხი თავის მომავლის წარმატების აზრსა. ამის გამო ხალხს კი არ უნდა უღრეცდეს კაცი კისერს საფლავისაკენ, უნდა ახედებდეს იმას წინ; კი არ უნდა აჩვენებდეს იმას აკლდამის ძვლის ჩონჩხებს, — უნდა აჩვენებდეს ცოცხალს მომავალს, შემოსილს ნორჩი ხორცით და ცნობა გონებით. და უკეთუ ხალხს უჩვენებთ პოეზიაში ან ისტორიაში ვისმე მხნე პირთა, ქვეყნისა და თავის ხალხის სიმართლისთვის მომქმედთ და თავ განწირულთ, — იმისთვის კი არა, რომ წარსული გაუხადოთ ხალხს სანატრელად, მხოლოდ იმისთვის, რომ ამ პირების მაგალითი აღვიძებდეს ხალხში მხნეობას და აძლევდეს ძალას, რომ გასწიოს ბრძოლა წარსულზედ უკეთესი მომავლის დასამყარებლად. კაცობრიობის წარმატება მდგომარეობს იმაში, რომ ძველი ძველდება, ჰქრება, იკარგება და იმის ნაშთზე ამოდის ახალი. და თუ რიტმი (განმეორება) წარსულისა ხდება, — ხდება ყოველთვის უფრო სუსტათა, ვიდრემ წინათა ყოფილა, და ყოველს განმეორებაზედ კლებულობს, და ბოლოს სრულიად ჰკარგავს განმეორების ძალას... ხალხის წარმატება არის დამყარებული მეცნიერებაზედ, ცოდნაზედ, გამოცდილებაზედ, თანასწორობის აზრის მისვედრასა და დამკვიდ-

რებაზედ, — ერთის სიტყვით გონებაზედ, რომელიც უნდა იყვეს დამყარებული გამოცდილს ცოდნაზედ, აწონილს მეცნიერებაზედ. ახლა ვიკითხოთ: რომელს ხალხს ვნახავთ, რომ წარსულში ჰქონოდეს ისა, რაც დღეს არის დაწინაურებულს ხალხებში. მაშასადამე რას ბაძა და გადვიძება სჯობია ხალხის გონებასა და გულში წარსულისა, რომელიც ვერასოდეს ამ გვარს ვერ გვიჩვენებს და ვერ მოგვიტანს, თუ იმ ხალხებისა, რომელნიც დღეს თვალ-წინ გვიდგანან და რომელთაგანაც ყოველ-დღე შეგვიძლიან გადვიღოთ კიდეც ეს მაგალითნი, ვნახოთ კიდეც ჩვენი თვალით და შევეხოთ კიდეც ჩვენი ხელით?! ამისგამო, მე ისე ვუყურებ, რომ წარსული უნდა უჩვენოს ხალხს მარტო იმისთვის კი არა, რომ წარსულში ყველა კარგი უჩვენოს და ყველა წარსული ოქროთი დაჰფეროს, იმიტომ, რომ ამ წარსულში უჩვენოს ყველა ავი და კარგი, რომ ავი თავიდამ აიცილოს, კარგს მიჰბაძოს. და რადგან უფრო ცუდია ამ წარსულში, ეცადოს ამ ცუდის ცხადათ დანახვებას, უჩვენოს თავისი შეცდომილებანი და ნაციონალური (ხალხური) ნაკლულებანი, რომ ამით ეცადოს ხალხი გასწორებას.

რაც შეეხება ხალხის ისტორიული გამოჩენილი პირების ჩვენებას, ამას, თქმა არ უნდა დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, გასამხნევებლად, გამბედაობის მისაცემათ, და არა წინანდელი ცხოვრების აღსადგენათ. მაგრამ ჩემი ფიქრით, აქაც კიდევ ჩვენი დიდი ყურადღება უნდა იყვეს მიქცეული ახალი ცხოვრების გმირებზედ. დღევანდელი გმირები იბრძვიან იმ საქმისთვის, რომელნიც ძველათ თითქმის სიზმრათაც არა სჩვენებიათ. ესენი იბრძვიან უფრო აზრ-გამორკვევით, უფრო ცხადის მიზანით, უფრო საზოგადო ინტერესებით გატაცებულნი, უფრო ვრცელი პროგრამმით, უფრო მკვიდრი

მეცნიერული სწავლითა და გონებით შეჭურვილნი, უფრო დიდი სახალხო საქმის და საზოგადოებისთვის. რაც შეეხება გმირულ გამბედაობას, ამაშიაც ქართველნი არ დაუვარდებიან ძველთა. ავიღოთ თუნდა ზოგიერთა ევროპის ხალხების დაწინაურებული საზოგადოების გმირები. ვიცოდე, რომ დღეს უნდა გათავდეს ჯალათის ხელით ჩემი სიცოცხლე და მინამ ჯალათი გამოუყვან-დეს საპატიმროდამ სიცოცხლის მოსასპობლად, მქონდეს გონება ჩაკვირვებული ახალი სამეცნიერო საგნის მოპოებაზედ — ეს მაგალითი არის უმაგალითო მთელს მსოფლიო ისტორიაში. და ამ მაგალითს გვიჩვენებენ დღევანდელი გმირები ამ ხალხისა. თვით ამათი ქალების გმირობა არის უმაგალითო მთელს ისტორიაში. მართალია, იყვნენ ძველათაც გმირი ქალნი, მაგრამ იმათს გმი-რობას ამოძრავდა რამე პირადი სარგებლობა: ისინი სწირავდნენ თავს ან საკუთარი სულისა ან ხორცის მოსაგებლად. ავიღოთ უკეთესი მაგალითი — იუდითა. იმას რომ ოლოფერნე არ მოეკლა, ოლოფერნი მოსწყვეტდა მთელს მის სამშობლოს, იმის? მშობლებს და თვით იმასაც. ამან აიძულა, რომ იმას თა-ვი გაეწირა და ოლოფერნო მოეკლა. მაგრამ, რა ამოძრავებს ამ დღევანდელთ ქალთა? — არავითარი პიროვნული სარგებლობა არ გამოსჭვივის იმათ საქმეში. მრავალნი იმათგანნი სტოვებენ თავის, შეძლებულს სახლს, საყვარელ მშობლებს, ნებიერს ცხოვრებას, და ფეხშიშველანი, უბრალო მდაბიო ტანსაცმლით, უმაწვილი ნორჩი ქალნი დადიოდნენ დაბიდგან დაბაში, ქალა-ქიდგან ქალაქში, სოფლიდგან სოფელს, ერეოდნენ უბრალო მდაბიო ხალხში, ეწეოდნენ იმათთან ღვაწლს, შრომობდნენ იმათთან დღე და ღამე, სწავლობდნენ იმათს ენათა და ჩვეულე-ბათა, რომ ამითი თავისი აზრი გაეყვანათ იმათში, ჩაეგდოთ გონს, მოეცათ იმათთვის გამბედაობა და უძახოდნენ ამ ხალხს,

რომ გაჰყოლიყო ის იმათ იმ საშინელ გზაზედ, სადაც ამ ქალთ ელოდათ წამება და სატანჯველიანი აღსასრული. და ხშირათ ეს ქალნი, იარაღით ხელში ხვდებოდნენ თავისთ მტერთ, ჰკვდებოდნენ წარბ-შეუხრელად, ფერშეუცვლელათ, და თვით სიკვდილის წამს გაიძახოდნენ-თვის საქმის გამარჯვებას. მოვიგონოთ ერთი ამ ქალთაგანის სიტყვა თავის მტერთა სამსჯავროთა წინაშე:

„მე ყველა ამ საქმის ჩამდენი ვარ. მე ვიყავი ერთი უმთავრესი მოთავეთაგანი. ამის გამო ჩემი სათხოვარი ის არის, რომ მეც ისე დამსაჯოთ, როგორც ჩემი თანამოზიარე ვაჟები, თუნდა ეს სასჯელი იყოს თვით სიკვდილი!“

ამას ჩადიოდნენ ესენი და ამათი გვარი ქალი თუ კაცი, პირადი სარგებლობისთვის კი არა, სხვათათვის: დაჩაგრულთა და დავრდომილთათვის.

ავიღოთ ახლა უფრო ცნობილი გმირები: გარიბალდი, რომლისაც ბადალს ვერსად წარმოგვიდგენს ძველი ისტორია; ავიღოთ დელეკლუზი, ვერმორელი, დომბროვსკი, მილიერი და სხვა მრავალნი გმირნი, ამ ბოლონდელის ინსურექციის მოძრაობის დროს თავ დადებულნი კაცობრიობის სიბოლოოვოსთვის. გმირობა ყველა ამათი თუ არ მეტი, არ არის ნაკლები ძველთა გმირობაზედ, და სახელი და აზრი ამათი არის უფრო აწონილი, მაღალი და განძრახვა წმინდა და წრფელი. მაშასადამე უკეთესიც იქნება, რომ ხალხს დაანახვონ და გააცნონ ამათი გმირობა, ამათი საქმეები, და აცნობონ და ასწავლონ ის საქმენი და მიზანნი, რომლისთვისაც, ისინი ასრე მხნედ იბრძვიან და სწირავენ თავებს. მართალია ხალხი უფრო აფასებს და ადევნებს ყურს თავის წარსულთა გმირთა, რომლითაც ამართლებს ანდაზას: მოკვდი—გამიკეთდი; მაგრამ თვით ამ დაფასებაში იხატება ერთი რამ ისეთი ნაკლულევანება კაცობრიობისა, რომელიც

არის ღირსი ყურადღებისა: ეს ისა, რომ ხალხს ისე წინ ყურება არ უყვარს, როგორც უკან ცქერა, რომელიც, ჩემი აზრით, უშლის ხალხს მკვრათ და მკვიდრათ წარმატების გზას შედგომას. ამის გამო, ჩემი აზრით, როდესაც პოეზია ცდილობს გამოსახოს ძველნი გმირნი, ის უნდა ცდილობდეს იპოვოს და აჩვენოს იმათში ის მხარენი, რომელნიც დღესაც საჭირონი იყვნენ კაცის წარმატებისა და ბედნიერებისათვის.

ამ გვარად, ჩემი აზრით, ჩვენ მომავლის წარმატებისა და ღირსებისთვის უნდა ვბაძავდეთ ახალთ დაწინაურებულთ ხალხთა დაწინაურებულს აზრებსა. მართალია, უძლურმა გონებამ ათქმევინა ჩვენს ზოგიერთებს, რომ, მაძღრად ცხოვრებულებო, რა გვედარებიან ბოკლებიო, როდესაც სიმშილით კუჭი გვეწვისო. მაგრამ, გარწმუნებთ, რომ ცეცხლი და მახვილი ყლაპავს უფრო ვერ გავიძლებნ კუჭსა: თუ გვაწუხებენ ჩვენ სხვა დარგის — ბოკლები და ამ გვარნი კაცობრიობის მოძღვარნი: ჩვენ უნდა შევისწავლოთ ისინი, ჩვენ უნდა გავიხადოთ მოძღვრად ევროპის წინა აზრების მოთავენი, და არა მამა-პაპათ საფლავნი.

ახლა გადავიდეთ იმაზედ თუ რა გზას უნდა ადგნენ ჩვენი მოწამართე პირნი.

ზემოთ განვიხილე მოვიყვანეთ დახლართულნი გარემოებანი, რომლებშიაც ისტორიულმა გარემოებამ, მეგობართა ცბიერებამ, თვისმა უმეცრებამ ჩააგდო ზოგიერთნი ხალხნი; განვიხილე ვიჩვენე დაწყნილის პოლიტიკურ გარემოებაზედ და განვუზე მოვიყვანე აზრი, რომ დღეს დაწინაურებული ქვეყნებში, დაწინაურებული საზოგადოებას და თვით ხალხს აქვთ მოთქმის კანონები მმართებლობაზედ და ხმარათ იმათი აზრი ამოქმედებს მმართებლობასას, მეთქი, ხალხს, რომელსაც უნდა ეპატრონებოდეს ხსნა და მომავალი ბედნიერების დაბადება, არის საჭირო, რომ უკვე ეს გარე-

მოებანი იქონიოს საკეში, და ჩემი აზრით, მარტო იმ პროგრამმით, რომელსაც «ივერია» აჩვენებს, ძნელათ მისწვდება ვინმე ხალხთაგანი ამ საქმეს. ესე იგი, «ივერიის» პროგრამმა არა არის სრული: ეს პროგრამმა ბევრში საჭიროა, მაგრამ ამას უნდა შეესებოს. ჩემი აზრით ამ პროგრამმასთან არის საჭირო, რომ საზოგადო საქმეთა მოღვაწენი ადგნენ შემდეგ გზას:

1., უნდა შეისწავლიდნენ პოლიტიკის ყოველი ძარღვის მოძრაობას, ადევნებდნენ ამის ცვლას ყურადღებასა; შეისწავლიდნენ იმისი მოძრაობის კანონებს; ჰქონდეს დაახლოვება ამის მოთავეთა და ამათზე განმვლე პირებთან და იქონიონ თვით იმათზე გავლენა: აგონებდნენ ამათ ნიადაგ სამშობლო ხალხს, და ეძებდნენ მარჯვე დროს, როდესაც შესაძლებელი იქნება მძლავრის მკლავზედ დაბჯენა და იმათი შემწეობით სურვილის შესრულება.

2., უნდა ამ დღისთვის სახალხო საქმეების მოღვაწენი ამზადებდნენ შინაურთ, რომ ისინი მოუმზადებელნი არ შეხვდნენ ამ დროს.

3., უნდა ეს მოღვაწე პირნი აცნობებდნენ მთელი დაწინაურებული ხალხების დაწინაურებულს საზოგადოებას თავსა, შესძახოდნენ ნიადაგ თავის მწუხარებას, უსამართლობას, რომ ამითი აღვიძებდნენ ამათში თანაგრძნობას, და ამით აიძულონ ისინი თავის სასარგებლოთ ხმის ამოღებას და მოქმედებას.

4., უნდა ამ გვარნი პირნი და თვით ხალხიცა, შეძლების დაგვარად, მიიღებდნენ დაწინაურებული ხალხების დაწინაურებულს მოძრაობაში მონაწილეობას, რომ ამით დაანახონ იმათა, რომ არც ჩვენა ვართ უცხონი პროგრესისა, რომ ჩვენც თანაუგრძნობთ ცოცხალს მოვლენათა და სწავლათა.

5., უნდა მიიღონ მონაწილეობა იმ ხალხის უკეთეს მოძრაობაში, რომელთანაც ისინი არიან შეუღლებულები. გამარჯ-

ვება ამ ხალხის უკეთესი აზრისა, იქნება ამათიც გამარჯვება, რადგან ჭეშმარიტს აზრს არ შეუძლიან არ მოსცეს ყველას თავისი სიმართლე, და იმათაც ეს უნდა უნდოდეთ.

ამ გვარად, ჩემი აზრით, არ ივარგებს „ივერიის" პროგრამმაზედ გაჩერება: მრავალი გვარი სხვა მოგვარება. მართებს სვეგრულს ხალხს მომავალი ბედისთვის. იმას ბევრს მხარეს უნდა ეჭიროს თვალი და საითაც საშველობინო დაინახოს, იქით მიჰმართოს თავისი ძალა, რომ ისარგებლოს ყოველი შემთხვევით. მართალია, თითქმის პირველი ალაგი უნდა ეჭიროს «ივერიის» პროგრამმის ზოგიერთა აზრებს, რადგან ულიტერატუროთ, უენოთ, უსწავლებლოთ თავის ენაზედ, თავის უცნობლათ ხალხი ვერ ისალხოსნებს და არც უწყრის წინ წასვლა. მაგრამ მაინც არც ესენი ივარგებენ უამათოთ, რაც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ. ამასთან არ იქნება, რომ ყველასაგან ერთსა და იმავე საქმეს მოვითხოვდეთ, რადგან ყველა ერთ გზაზედ არ არის მომზადებული და ყველას ერთი საქმის ხალისი არა აქვს: ზოგს აქვს ნიჭი და ხალისი ლიტერატურული, ზოგს პედაგოგიური, ზოგს იარაღის ხმარებისა, ზოგს აგიტატორული, და სხვა. ყველა ეს ნიჭნი თითქმის ერთგვარი საჭიროონი და ერთ გვარი სახმარნი არიან, უკეთუ მოიხმარებიან საქმეზედ. და ბევრი ამ ნიჭთაგანთათვის ჯერ არ არის შინ ასპარეზი, და გარეთაც არის, რომ მოიხმარონ ბუნების ძალა, რაც სასარგებლო, არა საზიანო არა იქნება არა თავისავე საკუთარი ხალხისთვის. ზოგიერთა ჩვენთაგანი ვხედავთ, რომელნიც ეხმარებოდნენ ზოგიერთა ხალხის დაწინაურებულ მოძრაობასა, და დღეს შინ დაბრუნდნენ და ჰსურდათ შეჰსდგომოდნენ იმ გზას, რასაც «ივერია» გვიჩვენებს ხსენებულს პროგრამმაში. მაგრამ ამათში ბევრნი არ გამოდგნენ ამ საქმეზედ და გაწრიოკდნენ, და ზოგნი ამათგანნი

გიდეც გაჰყვენ ცხოვრების ჩქარ ტალღებს, ნუთუ უკეთესი არ იქნებოდა, რომ ისინი ისევ წინანდელს გზაზედ მდგარიყვნენ და იქ მაინც გაეწიათ ჩვენი საზოგადოებისათვის სამსახური?

უეჭველად, ეს და ბევრი რამ ამ გვარი არის მასალები სახეში «ივერიის» პროგრამმასთან.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცუდია ის სახლი და იმას არავინ არ შეიყვარებს, რომელიც არ თანაუგრძნობს და არ იღებს მონაწილეობას ქვეყნის სასარგებლო საქმეთათვის ბრძოლაში და არ გასწირავს სხვებთან თავსა. ამ გვარს სახლს არ უწერია კეთილი ბოლო.

ამავე მიმოხილვაში არის აღძრული ლაპარაკი უარმყოფელს მიმართულებაზედ (отриц. направленіе), რომელიც ჩემი აზრით არ შეიძლება დარჩეს უპასუხოთ, რადგან ამ კითხვას დღეს ყველგან და მეტადრე ჩვენთვის აქვს დიდი მნიშვნელობა.

მიმოხილვის დამწერი ამბობს:

«ქერეიმა მამების წყალ-გაღმა გაბიჯებამ იქამდის მიიყვანა შვილების საქმე, რომ უარ-ყოფინა არამც თუ მარტო ის რაც ღირსი იყო უარ-ყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარ-ყოფისთვის წამოწითლდებოდა სირცხვილმორეული ყოველან-დელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა. შემდეგ შვილების ხანაც მარტო უარ-ყოფაზედ, და მესვეურობა ახლის უკან კუთხეში მიაგდო. უკანასკნელი ფაქტები ამ თითქმის ყოველად უარ-მყოფელი მიმართულებისა იყო მეტად სხარტი და ნიჭიერი მწერალი პისარევი, რომლის მეთაურობითამ გადაჭარბებულმა უარ-ყოფამ იქამდის მიუშვა საქმე, რომ უარ-ყო თვით პუშ-კინის მოღვაწეობაც და მთელს შექსპირს ამჯობინა ერ-თი კარგი სიგარა».

ახლა ჩავაკვირდეთ ყველას ამას კარგათ და გავსინჯოთ ჯერ

უარ-ყოფა („отрицаніе“) ამ ახალი თაობისა და იმათი ფალავ-ნის პისარევისა. ძვირათ თუ მწერალს დასდგომოდეს ეს უსამართლო ყვედრება და წუწკა თავისთა და სხვათაგან, როგორც დაემართა ქვეყნად ახალ-გაზრდა ძლიერი ნიჭის პატრონს მწერალს, რომელიც შემდგომ 1862 წ. კატასტროფისა, წაუძღვა მთელს დაწინაურებულს რუსეთს წინა, ამართა მაღლა ახალი სწავლის და აზრების დროშა და თავისი საპყრობილედგან უნა-თებდა მთელს სიცოცხლის მსურველს რუსეთს გზასა და შეუპოვარათ ებრძოდა გამარჯვებულთ რეტროგრადთა დასთა, და სცემდა იმათ ზარსა, ამხნევებდა ზარდაცემულ მოწინავე ხალხსა და აცხოველებდა იმ ლამპარს, რომელიც აღანთეს „Современ-никъ“-ის უკვე დაღუპვილთ მოღვაწეთა და სამძღვარ-გარეთულთ მოქმედთ მოწინავე პირთ.

მაშ რა იყო მიზეზი, რომ თვით მოყვარენიც კი აესივ-ნენ ამ საოცარი ნიჭის პატრონს ახალ-გაზრდა მწერალს?

პირველი იყო ისა, რომ პისარევი არა დგებოდა იმ შუა გზაზედ, რომელზედაც დგებიან საშუალო გონებისა და გამბე-დაობის ხალხნი, და ამ გვარნი პირნი ყოველთვის გამხდარან სამტროდ თვითონ მოყვარეთაგან, რისაც მაგალითს ვხედავთ თვით იმის წინა-მომქმედ პირებზედ: ჩერნიშევსკისა და დობრო-ლიუბოვზედ.

მეორე მიზეზი იყო შური. პისარევის დასის ბანაკიდგან გახდნენ პირველი პისარევის მტერნი „სოვრემენნიკის“ თანა-მშრომელნი ანტონოვიჩი და ჟუკოვსკი. პირველი ამათ შეუშა-ლეს ზოგიერთა ახალ გაზრდობასაც ნახტომი პისარევის შესა-ხებ. ამათ ერწმუნა ეს ახალ-გაზრდობაც, რადგან ესენი იყვნენ თანა მოღვაწენი პატივ-ცემულთ და სადიდებელთ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვისა. რათ გადუდგნენ ესენი პისარევს? ვერ

ერთი იმიტომ, რომ ამათ ეგონათ, შემდეგომ თავის ამხანაგე-ბის დაღუპვისა, თავი რუსეთის მოწინავე საზოგადოებისა, და ის კი არა თუ გამოვიდა ახალ-გაზრდა მწერალი, რომელმაც შთანთქა მთლათ ყურადღება მთელი რუსის საზოგადოებისა და გაიტაცა წინა თაობის პატრონები და ამათ აღარ უგდე-ნენ ავრე რიგათ ყურს. მეორე იმიტომ, რომ პისარევმა პირ-ველმა შეამჩნია ამათ და უჩვენა, რომ ესენი მტერობენ ჩერ-ნიშევსკისა და დობროლიუბოვის აზრებს და გზას; რომ მტერო-ნობენ თვით თავის წინანდელ აზრთაცა და პირი-ქვეყნის მამა პა-პათა სალოცავისაგან, ანუ უკეთა გსთქვათ, უღალატეს არჩეულს წინამავალის გზას. ამ გვარი ცრუ-განათლებისა და მოწინავეთა-თვის ესენი საკმაო იყო, რომ შურით და მტრობით გაესხი-ლიყვნენ. იმათ ამართეს დროშა პისარევზედ. პირველი ადგილი ამაში დაიჭირა ანტონოვიჩმა, რომელმაც პისარევის დასამტ-რობლათ არ დაზოგა არც ცილი, არც ტყუილი; სცდილობდა მთელს სიტყვებს და სტრიქონებს პისარევის თხზულებებიდგან იმის აზრების დასამახინჯებლად და შეითხველების შეცდომილებაში შესაყვანათ. აქედგან იწყობა ის ცილიც, რომელიც იტყვის, ვი-თომც პისარევს ეთქვას, რომ მთელს შექსპირს ერთი კარგი სიგარა სჯობიანო,— თუმცა პისარევს შექსპირიც და გეტეც ისე ჰყავს ნაქები, რომ სხვა გარემოებაში ის ამ ქებამდის არ მიაღწევდა. და რომ სწორედ ეს გარემოებანი ამოქმედებდნენ ანტონოვიჩსაც და ჟუკოვსკისაც, ამას გვიმტკიცებს ანტონოვი-ჩის სტატიები, „კოსმოსში“ სხვათა-შორის «Физическій и нравственный Космосъ» შრომურა ამისი «Литературныя объ-ясненія» „ტიფლისსკი ვესტნიკში“ სტატიები ამისი გამოჩენილს რუსულს ახალ-გაზრდა მწერალს მიხაილოვსკიზე, და სხვანი, სადაც ეს არც ცილს, არც ტყუილებს არა ჰზოგავდა

თავის წინააღმდეგზედ; და მეტადრე ვერ მოუნელებინა ნეკრასოვი, რომელმაც ეს დაითხოვა „სოვრემენნიკიდგან" და მიხაილოვსკი, რომელმაც უჩვენა მკითხველებს ამისი უძლურება. და რომ აზრებით იყო უკან რჩენა, ამას გვიმტკიცებს ისა, რომ ის დაეცა პისარევს, როგორც ჩერნიშევსკის Ест. Отн. Иск. къ Дѣйств.-სა, სადაც თითქმის აღიარებდა ხელოვნებას ხელოვნებისათვის ჰკიცხავდა პისარევს მეტი რადიკალური შეხედულობისათვის და განდევნისათვის უსარგებლო ხელოვნებათა და შემქცევათა. სიტყვით, ანტონოვიჩს უნდოდა სულიც სამოთხეში, ხორციც განცხრომაში. რაც შეეხება ჟუკოვსკის, იმან ხომ ისეთი ტლინკები მიაყარა „სოვრემენნიკის" სწავლასაც და თვით თავის წინანდელ აზრებსაც, რომ „Вѣст. Европ."-ში თავის ფინანსიურს და ეკონომიურს სტატიებში მუშა ხალხი დააყენა ერთს ხარისხზედ მანქანებსა და მუშა საქონელთან და კაპიტალის პატრონები უდარა ოლიმპის მცხოვრებლებს. თქმა აღარ უნდა, რომ ამ გვარი პირთათვის პისარევი იყო თვალში ეკალი. ამათგან იწყობა დევნა პისარევისა თავისავე მობანაკეთაგან და იმის სიკვდილის შემდეგ აღძრეს თავის უძლური ენა თვით იმ გვარი პირთ, როგორც სკაბიჩევსკი, ორესტ მილლერი და სხვანი, რომელნიც პისარევის სიცოცხლის დროს იმის წინააღმდეგ კრინტსაც ვერა სძრავდნენ. განა თუ უწყეს გულგრილად რჩევა იმის ნაწერთა და იჩვენებოდნენ იმის ნამდვილ შეცდომილებაზედ, რომელნიც იმასაც, როგორც ყველა ახალი აზრების შემომტანს და შემმუშავებელს ბლომათ ჰქონდა, — არა! იწყეს ცილების წამება, იწყეს ძრახვა თვით იმაზედვე, რასაც თითონაც ხშირად ჰქადაგებდნენ. ჰკიცხავდნენ მაგალითად, როგორც დღეს მიმოხილვის დამწერი, მოჭარბებული უარ-ყოფისთვის.

აი მიზეზი მოპანაკეთაგან პისარევის გადადგომისა. ამათ მიჰყვა სხვა მრავალი ახალ-გაზრდობაცა, რომელიც ვერ ამოძრავებს კრიტიკულად თვით თავის გონებასა და გასდევს რომელიმე ავტორიტეტის სიტყვას, და დასცეს ყიჟინა, რომ პისარევი მოჭარბებით არის უარ-მყოფელიო.

ესევე გვესმის ახლა, სამწუხაროდ, კიცხვითვე „ივერიის" მიმოხილვის დამწერისაგან.

ვსთქვათ, რომ კიდეგაც ასე იყო, რომ პისარევი და იმისი მიმდევარნი იყვნენ თითქმის ყოვლად უარ-მყოფელნი,—ნუთუ ეს იყო გასაკვირი და არ საქებური? რომ ჩავაკვირდეთ კაცთა ცხოვრებას და მეტადრე ჩვენსა და იმ ხალხისას, რომელსაც პისარევი ეკუთვნოდა, ნუთუ ბევრს რასმე ვიპოვნით, რომელიც არ იყოს უარ საყოფელი და ბოლოს მოსასპობი? რა არ იყო უარ-საყოფელი: საზოგადო წყობილება? სარწმუნოება? სასულიერო წყობილება? კანონები? ეკონომიური წყობილება? წესები? ჩვეულებანი? ოჯახობა? ქორწინება? სწავლა? ხელოვნება? გაწვრთნილება?—სიტყვით რას გვიჩვენებთ ისეთსა, რომელიც არ იყოს უარ საყოფელი და შესაცვლელი? თუ ასრე არ იყოს, რათ არის კაცი უბედური? რათ სტირიან თვით ხელმწიფენიც თავის ბედსა? რათ სტირის ბაირონის მონაქროლი თვისსა და მთელი კაცობრიობის სიცოცხლეს,—მანფრედი, რომელშიაც ბაირონის გენი ჰხატავს მაღალი და უღრმესი კაცის სულისა და გულის გრძნობასა და წამებას საზიზღარი და გონიერი კაცისთვის სათაკილო გარემოებებთან? რათ სტირიან თვით უმდიდრესნი თავის სვეს და არა ჰხედავენ თავს ბედნიერათ? თუ ეს მდიდარნი და ძალის მქონენი კაცნი არიან უბედურნი გარემოებათაგან და კაცთა ცხოვრება ვერ აკმაყოფილებს ამათ გულსა და გონებას, მაშინ რა უნდა ვსთქვათ სხვებზედ, რომელნიც არიან სათამაშონი, უბრალო მაშინანი ამ გვართა

შემძლეთა და ძალის მქონებელთა კაცთა ხელში და მონანი მათის გაუმაძღარის სურვილისა და წყურვილისა?... ვინ არის ქვეყანაზედ ბედნიერი, გარდა უგუნურთა და გულის-ყურ და გრძნობა გონება დახშულთა? მაშასადამე, რათ არის ამ უარ-ყოფის გამო პისარევი ტალახ-სასროლი, და არა სათაყვანო?

რაც შეეხება იმასა, რომ იმანა და იმის მომხრეთ მეცხვეურობა (?) ასილისა უკან კუთხეში მიაგდეს, — ჩემი ფიქრით ვერც არც ეს არის მართალი. პისარევი სულ იმასა ჰქადაგებდა, რომ მომავალი ახლისთვის არის საჭირო მრავალი, და სხვათა შორის ამბობდა, რომ უნდა გავრცელდეს ცოდნა ბუნების საგნიერო საგანთა და საზოგადო სოციალურთა კანონთა: კაცობრიობის ბედნიერება მომეტებული ამაზედ არის დამოკიდებულიო. და ამაებს მარტო სიტყვით კი არ გაიძახოდა, ამტკიცებდა საქმითაც, და მომეტებული ნაწილი ამისი ნაწერებისა არის მდაბიოთ ახსნანი ამგვართა საგანთა. მაგრამ, ვთქვათ სწორედ ისეც იყო, რომ მარტო უარ-ჰყოფდა, — ნუთუ ეს უარყოფა არ იყო მეცხვეურება ასლისა? ნუთუ შეიძლება დანგრევა რისამე, მინამ არ ასწონენ არ დაინახამენ, რომ ეს ძველი აღარ ვარგა და აღარ არის შესანახი? ნუთუ საზოგადოება ჰკრავს წიხლს თავის წარსულს და აწმყოს, მინამ კარგათ არ დარწმუნდება, რომ ესენი არიან ამისთვის საგნებელნი? ნუთუ შესაძლებელია ძველს შენობაზედ ახალი მკვიდრის დადგმა, თუ ჯერ ეს ძველი არ დაინგრა და არ დაიცალა ამისი ნაალაგევი? თვით ეს ახალნიც, რომელნიც დღეს ასე გაბედვით მოქმედებენ რუსეთში, მოქმედებენ იმიტომ, რომ ამ უარ-მყოფელთა შეუმზადეს იმათ წინათვე ამ მოქმედების გზა და საბუთები, ესე იგი, ამ თავის უარ-ყოფით, დაანახვეს, ვისაც თვალები არა ჰქონდა დახუჭული და გონება დახშული, რომ ძველი კერპები არიან საგნონი, რომ

წინანდელი წყობილება არის დამამხობელი კაცთა საბოლოვოსი; რომ აწმყო არის ბურჯი უშვერებისა და კაცთა უმეცრებისა, არის სავსე შეცდომილებით და უსამართლობით. ეს ცხადათ, აწონილი საბუთებით, მძლავრი კალმით და ცხოველი სიტყვებით დაანახვეს მოზარდთა. და რაკი ესენი გამოკვლეულ, გამოაშკარავებულ იქმნა, მაშინ ისინი, ვისაც ჰქონდა გული კაცისა და არა ქვისა, გონება ადამიანისა და არა ბატისა, იძულებულნი იყვნენ მიეყოთ ხელი საქმისთვის და შესდგომოდნენ ძველის დარღვევას. თუ ასე არა ყოფილიყო, ეს ახალი მომქმედი პირნი ვერ დაიწყებდნენ თავის საქმეს: მაშინ უნდა იმ საქმესა სდგომოდნენ, რასაც ადგნენ იგი უარ-მყოფელნი, რომელთაც იმათ გაუმზადეს გზა, და ესენი დღეს ასე გაბედვით, ასე წყობისათ და თავ-გამეტებით ვერ შეუდგებოდნენ გზასა, რადგან ასე მოქმედება შეუძლიათ მარტო იმათ, რომელნიც თავის საქმის სიმართლეზედ არიან ცხადი საბუთებით დარწმუნებულნი. ვინ დაარწმუნა ესენი ამაზედ და ვინ მისცა ამათ ეს ცხადი საბუთები თუ არა უარ მყოფელთ მიმართულების პატრონთ?! მაშასადამე, სად არის აქ ახლის მესვეურობის გუთნეში მიგდება!

ასე გაგიცხვის უკან პისარევის უარ-ყოფისა, ავტორმა მარტო ერთს მაგალითზედ იწყენა. მაგალითიც არის ისა, რომ თვით პუშკინიც კი უარ-ყოფო. მე ეს ასე მეყურება, რომ რაკი „მიმოხილვის“ დამწერი პუშკინის უარ-ყოფას ასე ცოდვათა სთვლის, ის უნდა თანაუგრძნობდეს პუშკინის პოეზიის ხასიათს, — ანუ, უფრო უკეთა ვსთქვათ, იმ პოეზიას, რომელიც უგდებს გზას საზოგადო კითხვათა, და ჭიკჭიკობს ვითარცა აშიკი ბულბული ახალთა კოკორთა ზედა გაზაფხულის ვარდისათა, და ჩნედრინის ივანუშკა — დურაჩოკივით, ჰხარხარებს და

დასტკენს საქორწინო სიმათ იქა, სადაც დგანან გლოვის კარა-ვანი და დასტირიან თავს შესუდრულ მკვდრებსა. მაგრამ მიმო-ხილვის დამწერს უნდა კარგათ ახსოვდეს, რომ პუშკინი უარ ჰყვეს პისარევამდის ჯერ ისევ ბელინსკიმ თავის უკანასკნელს სტატიებში, და პისარევამდის კიდევ ჩერნიშევსკიმ და დობრო-ლიუბოვმა, და თვით ნეკრასოვმაც კი თავის «Поэтъ и гражда-нинъ»ში. მაშასადამე, ეს ცოდო თუ ცოდოა, ეკუთვნის ჯერ სხვებსა და მერე პისარევს,—იმათვე სხვებს, რომელთაც ავტო-რი პატივის ცემით იხსენიებს. მაგრამ ეს ცოდო ისე დამკვიდ-რდა რუსეთის დაწინაურებულ საზოგადოებასა და მწერლობაში, რომ ველარავინ ამოჰკვეთს, და იქამდის მიაღწია, რომ პისარევი ლაპარაკობდა მაინც ამაზედ და ბოლოს მწერალნი დაწინაურებული საზოგადოებისა, ლაპარაკის ღირსათაც არა ჰხადიან პუშკინს. ერთი საუკეთესო დაწინაურებული მწერალთაგანი, მიხაილოვსკი, ამბობს პუშკინის ძეგლის აგების დროს, რომ პისარევის დროს კიდევ საჭირო იყო, რომ პუშკინზედ ჰქონოდათ ბაასი, და დღეს ისე დავიწყებულია, რომ ლაპარაკითაც აღარა ღირსო.

უკეთუ რუსეთში ამის პოეზია აღარ არის ყურადღების ღირსი, ნუ თუ ჩვენ, რომელთათვისაც ყოველი სიტყვა, ყოვე-ლი მოძრაობა უნდა იყოს მიმარჯვებული იმაზედ, რომ ამითი ემატებოდეს რამ ჩვენ ღარიბ ცნობასა, ცოდვნასა და შეგნებასა, უნდა ვბაძავდეთ ჭიკჭიკს, გინდა ეს ჭიკჭიკი იყვეს თვით ბულ-ბულის ჭიკჭიკზედ უმშვენიერესი?! რადგანა არა მაქვს ხელთა ბელინსკის არც ერთი წიგნი და შემთხვევით ჩამივარდა ხელში ერთი გამოჩენილი რუსის ახალი მწერლის თხზულება, სადაც ზოგიერთა ადგილები არის ბელინსკიდგან ამ გვარ საგანზედ ამოწერილები, მოვიყვან ბელინსკის აზრს ამ გვარ პოეზიაზედ.

ეხლანდელ მწერლებში მარტო გონჩაროვი ეტანება წმინ-

და ხელოვნების იდეალს (идеала чистаго искуства). ყველა ეხლანდელ მწერლებს აქვთ რამე, გარდა ნიჭისა და ეს რამე უფრო ძვირფასია ნიჭზედ და შეადგენს ნიჭის ძალას. გონჩაროვს, გარდა ნიჭისა არა აქვს რა"

„ისკანდერს ყოველთვის აზრები წინ უსწრობენ, იმან წინათვე იცის, რასაცა და რისთვისაცა სწერს. ისა სწერს სინანდვილეს გასაოცარის სისწორით მხოლოდ იმიტომ, რომ ამაზედ წარმოსთქვას თავისა სიტყვა და გადუწყვიტოს სამართალი. გონჩაროვი სწერს უფრო იმიტომ, რომ დააკმაყოფილოს თავისი სურვილი და დასტკბეს თავის ხელოვნური ნიჭითა".

ჯერ ბელინსკიც კი იმისთანა დროს ამბობს ამასა და იმისი დროს მწერალსი არა სჯერდებოდნენ წმინდა ხელოვნებას, ნუ თუ პისარევს უნდა ედებოდეს ცოდვათ, რომ იმან უარ-ჰყო პუშკინის პოეზია?

„რა არის მწერალი, — ამბობს ერთი გამოჩენილი რუსეთის ამ დროს მწერალი: — თუ არ საზოგადოებისთვის მოქმედი პირი? რა არის მწერალი, თუ არ ძალა გონებისა (интеллектуальная сила), წინამძღოლი ვარსკვლავი, რომელსაც უნდა მისდევდნენ ისინი, რომელთაც არ შეუძლიათ შეუცდომლად მოიფიქრებას და მოსაზრებას?"

„რა არის ეს რამე? — ამბობს იგივე მწერალი ზემოთ მოყვანილი ბელინსკის სიტყვების გამო — და რატომ მარტო ამ რამეშია ამ მწერლისა და იმის ნიჭის ძალა? ეს რამე არის შეხედულება ცხოვრებისა, გაგება საზოგადოთა და სოციალურთა საჭიროებათა. ეს რამე არის წინამძღოლი აზრი დაწინაურებული გონებისა. თუ ესეები არა სჭირს მწერალს, იმას ვერ დაუხსნი ვერაფერი ნიჭი."

„ნიჭის ძალა, — ამბობს იგივე მწერალი — პოეტური ქმნი-

ლებით კი არ ფასდება, ფასდება იმ აზრების ძალით, რომელნიც ამ ქმნილებაში არიან და ასულდგმულებენ იმას; ფასდება იმ ქვეყნისა და საზოგადოების სასარგებლო და წარმატების მომცემი ძალით, რომელიც არის შეტანილი იმ ქმნილებაში.“

და ამ გვარს რასმე არც ერთი დაწინაურებული მწერალი არა ჰპოვებს პუშკინში.

აქ, დასასრულ, ალბათ ზედმეტად არ მოვიყვანთ პრუდონის სიტყვებს, რომელნიც წარმოუთქვამს იმას თავის წიგნში «ხელოვნებაზედ» შესახებ იმისა, თუ რას უნდა ემსახურებოდეს ხელოვნება:

„ხელოვნება უნდა გვაჩვენებდეს კაცის ცხოვრებას, კაცთა გრძნობათა და სურვილებს (страстей), კეთილთა და ცუდთა მხარეთა, შრომასა, ცრუმორწმუნეობათა, საზოგადო მხარეთა, ადათებს, ტანჯვებსა, დიდებათა და სამარცხვინო საქმეთა... და ყველა ამას უნდა ჩადიოდეს აგებულების, გონების და ზნეობის წარსამატებლათ.

„ხელოვნების ყოველ ქმნილებაში უნდა იყვეს მიქცეული ყურადღება ჯერ თვით იდეაზედ და იმის გამოსაყენებელ და მოსახმარს მხარეზედ, და მერმე თვით შესრულებაზედ. ჯერ უნდა იყვეს მიზანი და მერე საშუალება ამ მიზნის შესრულებისა, ჯერ განძი და მერმე მშვენიერი სახე, ჯერ აზრი, და მერე შესრულება...

...უაზრო ხელოვნებამ ის შესძლოს ქვეყანას, რომ საზოგადოება და ხელოვნება მოიშლებიან ცხოვრებისა. საზოგადოება აშორებს ხელოვნებას ცხოვრებას და ჰხდის იმას გასართობ და შესაქცევ საქმეთ. ეს არის ცხოვრების მოყირჭება, მედიდურობა, არის წრეს გარეთ გასვლა, არის ცრუ ოცნება, და ყველა, რაც გნებავთ, — მხოლოდ ამაში აღარ არის რა გამოსა-

უნებელი, არ არის საქმის საუნჯე, არ არის ფორმა ცხოვრე-ბისა, არ არის საღსარი და ძალა ცხოვრების გავრცელებისა და წარმატებისა...

„უკეთუ თქვენ ემსახურებით უქმთა, უსაქმურთა და გაქსუე-ბულთა განშორდით ჩვენგან! ჩვენ არ გვინდა თქვენი ხელოვნება.

„უკეთუ თქვენთვის არის საჭირო დიდკაცობა და ბატო-ნობა, განშორდით კიდევ ჩვენგან! ჩვენ გდევნით როგორც თქვენ, ეგრეთვე თქვენს ხელოვნებას.

„ჩვენთვის არის საჭირო 40,000 ბიბლიოთეკა, სადაც თვითოში უნდა იყოს ექვსი-ათ-ასი ტომი წიგნი; გვინდა ობ-სერვატორიები, ფიზიკური კაბინეტები, ქიმიური ლაბორატო-რიები, ანატომიური თეატრები, მუზეები, და ათ-ასი ბელვე-დერები.

„ჩვენ უნდა შევადგინოთ სამაგალითო (მაგალითის მიმცე-მი) საცხოვრებლები გლეხებისა და მუშა ხალხისთვის, უნდა გა-დავაკეთოთ ჩვენი სოფლები და ქალაქები.

„ჩვენ უნდა გადავაქციოთ მთელი საფრანგეთი ერთ დიდ ბაღათ და ვენახათ, და გავამკოთ ყორულებით, ჭალაკებით, სა-გრილობლებით, საჩრდილობლებით, მაღალი ხეებით, რუებით, წყაროებით და ამ გვარი მოსახმარი მშვენიერებებით.

„მაგრამ ჩვენ ჯერ უნდა უკანასკნელი ბრძოლა გავუწიოთ წამხდარს გემოვნებას, ცრუ ლიბერალურს და დაცემულს ზნეო-ბას!...“

თუ პრუდონი, საფრანგეთის შვილი ამას ამბობს, ჩვენ რაღა გვეთქმის! ჩვენ არამცთუ ისეები გვაკლია, რაზედაც პრუ-დონი იწყენება, და არა გვაქვს ბევრი რამ ისიც, რაც პირუ-ტყვთაც კი აქვთ საფრანგეთში. ჩვენი ყველა კალმის მოსმა, ყვე-ლა ხელის განძრევა პოეზიაში, პროზაში თუ რაშიაც გნებავთ,

უნდა იყოს მიმართული სასარგებლო და ჩვენს წინ წამყენებელს აზრებზედ. ჩვენ იმისთანა მდგომარეობაში ვართ, რომ სრულიად არა გვეჭიკჭიკ-პუშკინ-პოეზიება-რა! აქამდის სულ ვჭიკჭიკობდით და გვისწრო უსაცმლოთ ზამთარმა. ნუთუ ჩვენ კიდევ გვაქვს გული და მოცალეობა ჭიკჭიკისთვის? *)

ანტ. ფურცელაძე.

30 ივნისს 1881 წ.

---

*) ეს შენიშვნა იყო დაწერილი შარშანდელი „ივერიის“ მაისის შინაური მიმოხილვის შესახებ, და მივეცი „ივერიაში“ დასაბეჭდათ. „ივერიამ“ არ დაბეჭდა. დღეს, რაკი ამ გვარ საგანზედ ისევ აღიძრა ლაპარაკი ჟ. მაიაშვილის შესანიშნავ სტატიაში და მცირეოდენათ ესეც შეეხება იმ კითხვას, საჭიროდ დავინახე დაბეჭდვა ისე შეუცვლელად, როგორც „ივერიაში“ იყო წარდგენილი.

ავტ.

# როდემდის უნდა...

როდემდის უნდა მწარე ბედმა ასე გვატიროს,
ჩვენ გულის ტოკვას ერთხელ შვება აღარ ეღირსოს..
როდემდის უნდა დამასაყბრ უღელში ვებნათ,
სხვისთვის ვიტანჯოთ — სხვისთვის ვოფლოთ — სხვებისთვის ვხნათ.

—

როდის იქნება ბნელი ნათლათ გადაგვექცევიოს;
ძმობა-ერთობა ქვეყანაზედ მოფენილიყოს..
როდის იქნება სევდის ლოდი გულს ასწყვეტიყოს
შვებით და ლხინით იგი მარად დამტკბარი იყოს

—

როდის იქნება ხელი ხელსა ერთად ჩაგვეკიდოს;
სიმართლის გზანი ასე ძმურათ გადაგვეფინოს,
ხალხისა ცრემლი, მწარე ცრემლი — ჩვენ მოგვეწმინდოს
და მისა წყლული დაწყლულებული ჩვენ გაგვემთელოს.

სანდრო.

# საქართველოს მოკლე მატიანე.

## XI

### მეფობა დავითისა.

(გაგრძელება)

გაძლიერება ქართველთა.—იგინი ჰშველიან ევროპიელთ პალესტინის განთავისუფლებისათვის.—პალესტინაში წმ. სინაის მთაზედ დავითი აშენებს ტაძარს — აგრეთვე მრავალს ტაძრებს ჩვენს მამულში — დავითი მიაქცევს განსაკუთრებით ყურადღებას ხალხის განათლებას და ქვეყნის აშენებას.

თუმცა ევროპიელნი იწვევდნენ მუსულმანებს პალესტინაში საბრძოლველად, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მყოფი მუსულმანები (სელჯუკები) მაინც არ ჰსჩქარობდნენ იქ წასვლას. დავითმა ესენი დასტა-დასტა დაამარცხა და მომეტებული ნაწილი განდევნა საქართველოდგან, სელჯუკები განძვინდნენ და საქართველოს დაკარგვა ითაკილეს. დიდ ძალის ჯარით წამოვიდნენ და დავითს დაეცნენ, ძალოვანი და უშიშარი მეფე კი დავით 1500 კაცით მიუხტა მტერს და ისეთ ნაირად დაამარცხა მათი ჯარი რომ, იგინი თავპალებული წავიდნენ, ქართველთ დარჩათ მათგან დიძალი ალაფი.

ამის შემდეგ დავითმა მოინდომა განაწილებული და გაყოფილი სამეფოს შეერთება და აღდგენა. უზნეო მეფე კახეთ-

ჰერეთისა — აღსარტანი ტყვე ჰყო და სამეფო მისი შემოუერთა თავის სამეფოს. ამის შემდეგ დაიპყრო ქვეყნები ორთავ ზღვათა შუა: კასპიის ზღვისკენ დერბენტი შეადგენდა მაშინდელ დროის საქართველოს მიჯნას და ესევე (დერბენტი) იყო შესანიშნავი სიმაგრე, სადა დადგმული იყო რკინის კარები, მოსაგერებლად ჩრდილოეთ კავკასიის ველურებისა. აგრეთვე დაემორჩილნენ დავითს შირვანნი, რანი და მოვაკანი. დასავლეთის მხრით უკანასკნელი მიჯნა მაშინ იყო ტრაპიზონი. ოსმალები (სელჯუკები) დავითმა განდევნა ტაოსკარიდამაც და ის ადგილიც თავის სამეფოს შემოუერთა. სომხები მათი ორგულობისათვის საქართველოსადმი დასაჯა: წაართვა მათ სატახტო ქალაქი ანი.

ასეთი გაძლიერება დავითს იაფად არ დაუჯდა: ამისთვის მან მრავალჯერ შეებრძოლა მტერს: მუხნარში 1115 წ., ტაოსში 1116 წ., ყალამორში 1117 წ., არეზის პირას 1118 წ., მტკვარზედ 1120 წ., მანგლისში და დიდ-გორში 1121 წ. და მრ. სხვაგან. ყოველი კუთხე საქართველოისა მოგვითხრობს დიდებას ამ მეფისას, რომელიც ყველგან და ყოველთვის თავს ზარს სცემდა მტრებს. თვით მისი ახოვანება, ტანადობა, უშებარი ღონე და სულის დიდება ხელს-უწყობდა მას ამისთვის. იგი სამაგალითო მეომარი იყო ჯარში. ჯარს მუდამ წინ უძღოდა. მან არ იცოდა დაღალვა და მისმა მკლავმა დაცდენა. ხმა მას ჰქონდა ლომებრივი. სპარსები და თურქები მუდამ მარცხდებოდნენ და უტოვებდნენ მას დიდ-ძალ ალაფს, რომლითაც დავითმა გაამდიდრა თვისი სამეფო.

ამ ნაირის ძლიერებით წაქეზებულნი ქართველნი მიეშველნენ ჯვაროსნებს და აქ მრავალ ჯერ გაიმარჯვეს. მეფემ წმ.

სინაის მთაზე ააშენა ტაძარი წმ. ეკატერინესი ქართველთ ღვთის მსახურთათვის.

ასე აღადგინა დამხობილი სამეფო დავითმა. მაგრამ მარტო ამით არ დასრულდა მისი აღდგინება. საქართველო ამ დროს მძლავრი, აღდგენილი იყო თავის ძველის მიჯნებით და შინაურის განწყობილებით. ამისთვის, ზემოთაც ვსთქვით, მან რამდენიმე ჯერ მოახდინა კრებები სასულიერო პირთაგან; გამართა სკოლები ქართველთ ყრმათა აღსაზრდელად, გამართა სასტუმრო — საავადმყოფოები დაჭრილთა და წყლულთათვის და ხშირად თვით ესტუმრებოდა ამ ავადმყოფებს და პირად თვითონ ემსახურებოდა მათ.

ყველა ამას გარდა დანგრეული და დაქცეული ციხეები, ტაძრები, და ქალაქები მან ზოგი ხელახლა აღაშენა, ზოგი შეაკეთა და აღადგინა. ყველა ამას მოახმარა ბრძოლის ველზე ნაშოვნი ალაფი.

უდიდესი და უმშვენიერესი ყველა მისგან აგებულ ტაძართაგან არის გენათის ტაძარი, რომელიც აღაშენა დავითმა მსგავსად ფიცუნდის ტაძრისა. გენათის მონასტერი ახლაც გვიმოწმებს დიდებას და კეთილ დღეობას ქართველებისას დავით მეფის დროს. ეს ტაძარი აგებულია მსხვილის და დიდროანის ქვით, ერთი ქვა (ცხრა ალაბი სიგრძით) დადებულია მასზე თვით დავით აღმაშენებელისაგან. საკურთხეველში ასვენია მოვარაყებული ხატი ღვთის-მშობლისა — ნაჩუქები იმპერატორის ალექსი კომნენისაგან. აქვე ასვენია უძველესი ხატი ხახულის ღვთის-მშობლისა, ქმნილი წმ. ლუკასაგან და შეკაზმული ძვირფასის ქვებით თვით მეფე დავითისაგან და მეფე თამარისაგან. დავითმავე გაამშვენიერა ხახულის ღვთის მშობლის ტაძარი (ჭოროხის ტოტზე).

მანვე, დავითმავე მოინდომა შერიგება სომეხთა და ქართველთა სარწმუნოების მხრით. ამიტომ კრება მოახდინა. თავს-მჯდომარეთ ამ კრებისა იყო მცხეთის კათალიკოსი იოანნე. ამ კრებამ ვერ შეარიგა ეს ორი ხალხი, რადგან სომხები მაგრა იდგნენ თავის რჯულზედ და ამის გამო უფრო მეტი განხეთქილება ჩამოვარდა მათ შუა.

მეფე დავითი გარდაიცვალა 1125 წელს. საქართველოს აღდგენისათვის და გაშენებისათვის ქართველნი მას აღმაშენებელს უწოდებენ. და საქართველოს ეკლესია მას მრავალი ქველ-მოქმედებისათვის და წმინდა ცხოვრებისათვის ჰრაცხავს წმიდათა შორის. განისვენა ამა წმ და მეფემ და დაესაფლავა გენათის მონასტერში. გამეფდა შვილი მისი დიმიტრი I.

## დიმიტრი I.

## (1125—1155 წ)

ანდერძი დავითისა. — დიმიტრის ვაჟკაცობა — სიმძლავრე და მშვიდობიანობა ქართველთა. — ბერად შემოსვა დიმიტრისი. — გამეფება დავით მესამისა და ორთავეს სიკვდილი.

რომ მოუახლოვდა სიკვდილის ჟამნი მძლავრსა და ღვთივ ცხებულსა მეფეს დავითს, აღიჭურვა სიხარულით და დასწერა შემდეგი ანდერძი: «მივდივარ წინაშე უკვდავისა მეფისა, რომელმაც ამ სოფელსა მომანიჭა ეგეოდენი წყალობანი თვისნი, რომელმაც მომცა შვილი დიმიტრი, უმეტეს ჩემზე აღჭურვილი სიბრძნითა, სიმართლითა, სიმტკიცითა და ვაჟ-კაცობითა. ამისთანა მეფე არს ჯილდო უფლისა მართალთათვის დამთე-

ნიჭითა ამ სოფლად. ამასთანა შვილმა აღავსო გული ჩემი სიხარულითა დიდითა.»

ეს ანდერძი დიმიტრიზე მართლა ზედგამოჭრილი იყო. 30 წლის მეფობაში მან დაამტკიცა მამის იმედი და უმეტეს მამისა გაამძლიერა და დაამშვიდა საქართველო. ჯერ მამისავე სიცოცხლეში და მისივე მოსდობილობით დიმიტრიმ გაილაშქრა შირვანზე, ჰქმნა ომნი და ბრძოლანი, თავის ვაჟკაცობით განაკვირვა მტერნი, აიღო ციხე ყალამარი, დაამარცხა სპარსეთის თავი ჯარი და აივსო ალაფითა და ტყვეთა დიდითა. მამის სიკვდილის შემდეგ მან დაარბია განჯა, კარები ამ ქალაქისა წაიღო გელათში და იქ დასდგა. გაოხრებული თურქებისაგან ქვეყანა — ტაო, ხელ-ახლა დაასახლა და ჰყო მშვიდობა. მის მეფობის განმავლობაში ქართველთა ხალხი მშვიდობიანად მუშაობდა შინაობაში და გარეშე მტრებისგან უვნებელი იყო.

30 წ. მეფობის შემდეგ იგი ბერად გასდა, მეფობა გადასცა თავის შვილს — დავით III-ს, რომელიც ექვსი თვის მეფობის თავზე გარდაიცვალა. ამავე წელს გარდაიცვალა ბერი დიმიტრიც.

დავით III სიკვდილის შემდეგ (1156 წ.) გამეფდა საქართველოში შვილი დიმიტრი მეფისა — ძმა დავით III-სა — გიორგი.

## გიორგი III, შვილი დიმიტრი I-სა.

## (1156—1184 წ.)

უმეტესი გაძლიერება საქართველოსი.—გაგანიერება სამხრეთის მიჯნებისა.—მუსულმანების აღდგომა.—დამარცხება სულთნებისა და ბრწყინვალე ბრძოლანი ქართველთ ჯარისა.—საბერძნეთის იმპერატორის მანუილის ძმის ანდრონიკ კომნენის დასახლება საქართველოში.—დერებენდის და სხვა ადგილების აღება.—ვარძიის და სხვა ადგილების გაშენება.—სიკვდილი გიორგი მესამისა.

ჯვაროსნობის ომი პალესტინაში და პირადი ნიჭი გიორგი მეფისა მეტად ჰშველოდნენ საქართველოს. მუსულმანების ყურადღება მიქცეული იყო პოლესტინესადმი, რათა ცდილობდნენ რომ ქრისტიანეთ არ წაერთვათ ეს ადგილები. მეფე გიორგი კი ამით მშვენივრად სარგებლობდა. განსამძლიერებლად თვისი სამეფოისა და ჯვაროსნობის ომის გასაადვილებლად იგი ხშირად უტეხავდა ომს ხან თურქებს, ხან სპარსელებს, და საზოგადოთ, მუსულმან ხალხებს.. და ისეთი ოსტატობით და სპასპეტური ხერხით ჰბრძოდა მათ, რომ სულ მუდამ ბრძოლის ველიდგან გამარჯვებული გამოდიოდა.

თვისი მოქმედებანი მან დაიწყო საქართველოს სამხრეთ მიჯნაზე, არარათის ქვეყანაში, სადაც მაშინ სარაცინები ბატონობდნენ. აქ მან დაამარცხა მტრები, აიღო სომხეთის დედა-ქალაქი ვაგარშაპატი, აგრეთვე უწინდელი სომხების დედა-ქალაქი დვინი, და ყველა არეზის ნაპირა ქვეყნები. შანშე დადიანის მოთავეობით აღდგომილი ქართველთა წინაშე—ანი დაიმორჩილა და ამათ

მტრებს თავსზარი დასცა. შამშე დადიანი სპარსეთში გაიქცა და ისე თავი იხსნა.

რამდენათაც ქართველთ ემატებოდათ დიდება და პატივი, იმდენათ თურქებს და სპარსელებს აკლდებოდათ გავლენა აზიაში. ამიტომ ბევრი ველარ მოითმინეს მათ. სელ-ჯუკების, ხორასნის სულთნები შეუერთდნენ ქალიფის ჯარებს და საქართველოს წინააღმდეგ ამხედრდნენ. მაგრამ გიორგიმ მათ არ აცალა. პირველად თვითონ სისწრაფით შეუტია, დაეცა მათ და ორჯელ ზედიზედ გაიმარჯვა მათზე: პირველად შირვანში, მეორედ სომხითში.

ამისთანა ბრწყინვალე მოქმედებით წაქეზებულნი ქართველნი სამაგალითონი და თითით საჩვენებელნი გახდნენ მტერთათვის. სამი სამეფოს მშვიდობიანმა და სახელოვანმა მეფობამ ქართველნი სულიერად და მატერიალურად გაამდიდრა, გააძლიერა. დიდძალმა ალაფმა გაუმსო მეფეს ხაზინა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ გიორგი მეფემჰ ქმნა შესანიშნავი ისტორიაში ლაშქრობა.

თვისი მამაცი ჯარი მან გაჰყო რამდენიმე წყობად და ერთი გაგზავნა განის დასაპყრობლად, მეორე არზერუმის; მესამე, მტკვრის გაღმა განჯის ქვეყნებისა, მეოთხე, განჯას იქით ხოლთამდის; მეხუთე, ალაზნის მტკვართან შესართავიდგან შირვანამდის; თვითონ კი წავიდა ყაჯოგანის დასაპყრობლად. ყველა ამ ჯარებმა ისე სწრაფად და მალე აღასრულეს თავისი ვალი, რომ გეგუშულები ამ გვარ სისწრაფით განცვიფრებულნი იყვნენ, როცა დაინახეს ბრძოლიდგან დიდ-ძალი ალაფით დაბრუნებული ქართველთა ლაშქარი.

ამის შემდეგ ყველა საქართველოს მეზობელი სალხები

ეძიებდნენ მეგობრობას ქართველებთან *). ბიძაშვილი დიდის იმპერატორისა — მანუილისა ანდრონიკ კომნენი მშვიდობიანობის მოსაპოვებლად მოვიდა საქართველოში მთელის თავის ოჯახითურთ. მეფე დავითმა მიიღო იგი, როგორც ეკადრებოდა მეფის გვარის შვილს და აჩუქა მას მრავალი მიწები კახეთში **)

უკანასკნელი ლაშქრობა ჰქონდა გიორგის ანდრონიკის ჩამოსვლის შემდეგ წინააღმდეგ დერბენთის და სხვა მთიულებისა, რომელნიც უჩალურად ეცემოდნენ ქართველთ ქვეყნებს. ყველა ეს ხალხები მეფემ დაამარცხა, დაიმორჩილა, ააოხრა შესკური, შარაბამი, აიღო ქალაქი შაბური, მშვიდობიანობა ჩამოაგდო აქაურობაში და მშვიდობით და დიდებით დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

გიორგი მეფე ყველა თავის სიმდიდრეს და საზინას ახმარებდა საქვეყნო საქმეს: ციხეების და ტაძრების შენებას. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა იგი ვარძიას***), რომელიც იყო სამეფო სატახტო ადგილი და რომელიცა შემდეგში მონასტრად გადაიქცა.

---

*) ჩვენი მატიანის გადმოცემით ბერძენნი, ინდიელნი, არაბელნი; სულთნები ხორასნისა, სირიისა, მისირისა, იკონნიისა; აგრეთვე ხაზარეველნი, ალანნი, აბაზგნი და ყველა ხალხები მაღრუბით მაშრუყამდის ეძიებდენ გიორგის მეგობრობას.

**) მისი (ანდრონიკ კომნენის) ჩამომავალნი, დაშთენილნი საქართველოში ეხლა იწოდებიან ანდრონიკაშვილებად და ხარისხით არიან თავადები.

***) ვარძია არის ახალციხის მხარეს, მტკვრის პირას, ქარძამეთის წყლის შესართავის ახლოს. ეს არის კლდეში გამოკვეთილი, აქვს მრავალი ოთახები, ეკლესიები სენაკები. ეს შენობა „ტროგლოდიტურ“ შენობას ეკუთვნის.

მ. ჯ.

ამ გვარი იყო საქართველოს მდგომარეობა, როცა 1184 წ. გარდაიცვალა მეფე გიორგი III და გამეფდა ერთად-ერთი შვილი მისი — ასული თამარი.

## თამარი მეფე—ასული გიორგი III-ისა

## (1184—1212 წ.)

### I

გამეფება თამარისა.—შესანიშნავნი მხედარნი ამა დროისა.—პოლიტიკური ნიჭი თამარისა.—პირველი ქმარი მისი და ამ ქმრობის შედეგი;—მეორე ქმარი.

გიორგი III სხვა ძე არ ჰყვა გარდა ოდენ მარტო ასული — თამარი, რომელსაც მამის სიკვდილის შემდეგ დარჩა სამეფო ტახტი. თამარი პატარაობიდგანვე მიბარებული იყო თავის მამიდა — რუსუდანთან, რომელიც მეტად გამოცდილი და განსწავლული ქალი იყო. თამარმა მისგან შეისწავლა ყოველგვარი დროის შესაფერი სიბრძნენი და ისეთი ქალი გამოდგა, რომ თავის ჭკუა-გონებით, სწავლა-ზრდილობით აღემატა ყოველს აქნობამდის მჯდომარეთა საქართველოისა ტახტისა ზედა. ამასთანავე იგი აღჭურვილი იყო წარმოუთქმელითა სილამაზითა, ახოვნებითა და მძლავრის და უშფოთველი სულითა.

მისი პოლიტიკური ნიჭი, მისი შორს გამჭვრეტელობა ტახტსა ზედა ასვლისავე გამოჩნდნენ. მან მართალია მამისაგან ჩაიბარა ძლიერი სამეფო, მაგრამ ეს სამეფო ისე მკვიდრ-

საფუძველზე არ იყო დაფუძნებული, რომ მას სულ მუდამ (რასაკვირველია ღირსეულის მეფის ხელში) ესარგებლნას შინაურის ერთობით, განწყობილებით და ამ გაერთებული ძალით, ერთგულებით პასუხი ეგო მრავალთა მტერთათვის. ამ გვარი ნიჭი გამოჩინა თამარმა და ამან გამოცდებისავე უმალ ხელში იგდო ის მძლავრი თავადები, რომელნიც ხშირად მორჩილებიდგან გამოდიოდნენ და თავისუფლად მოქმედებდნენ და ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ მეფეთაც. ამ გვარ საქმეს სრულად მოუღო თამარმა და თავის შესანიშნავის ნიჭით და ოსტატობით ყოველი ქართველის გული მოიგო და მოისყიდა.

სამშობლო ქვეყნის საქმეების განსაგებლად მან მოიწვია შესანიშნავნი გვამნი: ამირ სპასალარად (ჯარით. მეუფროსედ) სარგის მხარგრძელი და ამისი შვილი ზაქარია. აგრეთვე მანდატურთ უხუცესი ჭიაბერი; მეჭურჭლეთ უხუცესად კასპერი ვარდანისძე, მსახურთ უხუცესად ვარდან დადიანი; ჩუხჩარხად (მეფის სუფრის უფროსად) გამრეკელი თორელი, რომელიც ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ გახდა სპასალარად.

ამასვე ყამსა თამარმა დასვა ბარამ ვარდანიძე სვანთა ერისთავად; კახაბერ კახაბერისძე რაჭის ერისთავად; ღოთაღოს შარვაშიძე აფხაზეთის ერისთავად; ამუნელისძე ცხუმის (სუხუმის) ერისთავად ოდიშის ბედიანი; იმერეთ-ქართლის ერისთავად რატი სურამელი და კახეთის ბაკური-ძმა ძაგანისძე; ჰერეთის ერისთავად ასათ გრიგოლისძე სამცხის ერისთავად ბოცო ჯაყელი; ამ დროს ჭყონდიდელად (მწიგნობართ უხუცესად) იყო არქიეპისკოპოსი მიქელ.

ამათ შემწეობით და სიმშვიდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავისა დღესისა ხვალისა არ მიცდებისა, იპყრნა ზღვით პონტოსით ზღვადმდე გურგანი-

სა და სპერიდგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმიერნი და ამიერნი, სამხრეთამდი და სკვითთამდი“.

მაგრამ მინამ თამარი დაიმორჩილებდა ყველა ამ ხალხებს და დაიწყობდა ომს მტრებთან, ქართველთ მოინდომეს მისთვის ქმრის შერთვა. თამარის მთხოვნელნი იყვნენ მრავალნი. მაგრამ ქართველნი ემიებდნენ უკეთესს და ღირსეულს პირს.

ბოლოს ბევრი რჩევის შემდეგ ქართველნი გაჩერდნენ რუსის მეფის—ანდრიას შვილს გიორგიზე, რომელიც მოიწვიეს ვაჭარის ზანქან ზორაბაბელის პირით ყივჩაყიდგან. გიორგი ჩამოვიდა საქართველოში და ხალხმა თამარს რუსუდანის პირით მოახსენეს თვისი სურვილი. მაშინ თამარმა გონიერად მოახსენა ხალხს: «ვაცნობ, ვითარ ღირს შეუტყობლად ეგე ვითარისა სა ქმისა ქმნაჲ? არა ვიცით კაცისა ამისთვის უცხოსა: არცა ქცევა, არცა საქმე, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მხედრობისა და სიქველისა; მაცადეთ ვიდრემდის განვცადოთ ყოველითა სიკეთე გინა სიდრკჱ მისი!» თუმცა ასე მჭევრ-მეტყველურად და საქმის ცოდნით ევედრებოდა თამარი ხალხს, მაგრამ იგინი წინააღუდგებოდეს და უშვილობასა მოახსენებდეს და სახლსა მისსა უნაყოფობასა, დრტვინვიდეს და წინამძღვარსა საჭეთასა ითხოვდეს და ყოვლითურთ შეაიწროებდეს სულსა მისსა“. ამის შემდეგ თამარმა თანახმად ხალხის სურვილისა და დასამტკიცებლად თვისის გონიერებისა და შორს-გამჭვრეტელობისა შეირთო გიორგი.

ეს ამბავი რომ შეიტყვეს ორთა ძმათა ოსთა მეფის შვილთა, რომელთაც სხვათა შორის უნდოდათ თამარის ქმრად გახდომა, გულს შამოეყარათ და ერთმა ვერ გაუძლო სევდას და შინ წასვლისას მოკვდა ნიქოზს და იქვე წმ. რაჟდენის ტაძარში დიდის დიდებით დამარხეს.

თამარის ქორწინების შემდეგ მოხდა ლაშქრობა. მოთავედ ჩვენი ჯარისა იყო თვით გიორგი. ამ ხელათ გაილაშქრეს ქართველთ ჯარებმა, და აიღეს ყარსი, კარსიოვოლი; მცირე ჯარით გამრეკელმა განდევნა ოსმალნი ძალუის-ხევიდგან (პალაკაციოდგან;) მხარგძელმა მოიარა დვინის და სურმანის ქვეყნები, სხვებმა განაძევეს მტრის ჯარები კლარჯეთიდგან. აჯანყებულნი დვინელნი გიორგიმ სელასხლად დაამარცხა და წაართვა მათ კაი ძალი ალაფი. აქედგან წავიდა არარატისკენ და განაბნია დიდ-ძალი ოსმალთა ჯარები. დაბრუნებისას ქართველთ დაეცნენ გელაკუნის ოსმალნი, მაგრამ არც მათ მოუღრიკეს თავი ქართველებმა. ამის შემდეგ გაილაშქრეს განჯისკენ და მდინარე არეზის ნაპირებისკენ.

ასე რომ მშვენიერად მიდიოდა გარეშე საქმენი თამარისა. საუბედუროთ, ოჯახური ბედნიერება და მშვიდობიანობა დაირღვა მეფის სასახლეში. ამის მიზეზი იყო გიორგი, რომელიც თანდათან შეეჩვია სიმთვრალეს, გაირყვნა სრულიად, „რამეთუ სიმთვრალესა შინა იწყო მრავალთა საძაგელთა და უშვერთა საქმეთა ქმნად რომელთა ნაშეტნავ არს აღწერად“. შეუდგნენ კაცნი მის გასაკურნებლად, მაგრამ «ვკურნებდით ბაბილოვანსა და არა იყო კურნება არათუ ოდენ არა შეიგონა, არამედ უძვირესთა მიმართ იწყო და კაცნი უბრალოდ ჰკვეთნა და ასოთა ამოგდებითა ტანჯვასა»

ამის შემდეგ თამარმა სახალხოთ გამოაცხადა, რომ იგი ამისთანა გარყვნილ კაცთან ველარ იცხოვრებს, მიუბრუნდა გიორგის და უთხრა: «მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა გამართვად და უბრალოდ განვუყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა შენმიერ», თამარი განშორდა მას და რუსუდან დედოფალმა და ყოველთა წარჩინებულთა ჩასვეს ნავში და კოსტან-

ტინოპოლში გაგზავნეს. ასე დაირღვა პირველი ცოლ-ქმრობა თამარისა.

ამის შემდეგ თხოვნისამებრ სასულიერო წოდებისა, აზნაურთა და ხალხისა თამარი მეორედ უნდა შეუღლებულიყო. სულანა მრავალნი გამოჩნდნენ მსურველნი თამარის ქმრობისა, სხვათა-შორის საბერძნეთის იმპერატორის შვილი, ანტიოქიის მთავარი ბაემუნდი და მრავალნი სულთნები. მაგრამ ყველა ამათგანს არც ერთი არჩეული არ იქმნა. ბოლოს ამოირჩიეს ქართველ-მეფეთა ნათესავი დავით სოსლანი ბაგრატოვანი. ოსთა მეფის შვილი, რომელიც რუსუდანს თვისის უშვილოობისგამო მოეყვანა თავის სახლში აღსაზრდელად. ეს დავითი მოიყვანეს და დიდუბეში ქორწილი ქმნეს შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფოებისა და მარავალ დიდებისა მათისა. შემდგომად ამისა „შემოვიდნეს ისინი შინა და დასხდნენ ტახტსა ზედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი განმანათლებელნი ყოველთანი.“

დიდებულთა ამათ მეფეთაგან ეშინოდათ ყოველთა მტერთა და ვერ უბედავდნენ შებმას. დავითი იყო მინიჭებული ყოველი სათნოებით. იგი წარჰმატებდა ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა მკვირცხლსა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა ყოველთა სასწავლთა, აგრეთვე ხელთა სიკეთითა...»

ამავე დროს მოკვდა საქართველოს კათალიკოზი შეუნდიდელი მიქელი, რადგან იგი ყველას სძულდა ამატომ არავის იგლოვა მისთვის. თამარმა მოიწვია გარეჯიდგან მსწავლული კაცი—ანტონი და ჭყონდიდლად დასვა. ამასობაში რუსი გიორგი კონსტანტინოპოლიდგან ჯარით წამოვიდა საქართველოსკენ და ტახტის მოპოვება მოინდომა. შემოვიდა ყარნუქალაქში (არზრუმში) და გადიბირა თავისკენ ზოგიერთი თავადები. სხვათა შორის გუზანი მმართველი კლარჯეთი-

სა და შავშეთისა; ბოცო მმართველი სამცხისა; ვარდან დადიანი, მმართველი იმერეთისა. ამ ვარდანმა მიიბირა თავისკენ აფხაზნი, სვანნი, რაჭველნი, არგვეთელნი, მეგრელნი ყველა ესენი მიემხრენ გიორგის და გელათში სამეფო ტახტზე დასვეს. ამის შემდეგ ერთი ნახევარი აჯანყებულთა და ორგულთა გადავიდა ლიხზედ, გაართხრა ქართლი და მოაწია ქ. გორამდის და ნაქარმაგევამდის; მეორე ნახევარი რკინის ჯვარზე გადავიდა ციხის ჯვარში და დასწვა ოძრახე. ესენი მიდიოდნენ თბილისისკენ.

გაიგო თუ არა თამარმა ასეთი მოქმედება იმერთა, შეკრიბა ჯარები და გამრეკელის წინამძღოლობით აფრინა სამცხისკენ, სადაც შეკრებილიყვნენ მტრები. ნიალის მინდორში მოხდა ბრძოლა და აჯანყებულნი დამარცხებულ და გაბნეულ იქმნენ. ახლა კი მიხვდნენ თვის შეცდომას მტერნი და ბატიება სთხოვეს მეფეს*) თვით გიორგი დაატყვევეს და მოჰგვარეს თამარს, რომელმაც აპატია ყველა აჯანყებულთა, და პირად გიორგისაც დანაშაულობანი. და მისცა დიდოფალმა სიმტკიცე ყოველთა მუნ მყოფთა, პირველად რუსის უვნებელად გაშვებისათვის, მერმე მის ჟამისა არას შეცოდებისათვის, არცა შენანებისა და გარდასხდისა*. ამის შემდეგ რუსი ,,წარვიდა მასვე, მისსა სვეუბედურსა გზასა და შეიქმნა მშვიდობა, ერთობა და სიხარული საქართველოსა შინა.

---

*) ქართველნი თამარს უწოდებდნენ ,,მეფეს'' და არა ,,მეფას'', მისის სიმძლავრისა და სიქველისა გამო.

## II

გაძლიერება თამარისა.—აღება ქალაქებისა და ციხეებისა.—დიდძალი ალაფი.—ყარსის აღება.—სულთნის ალეპპო რუქნედინის შებმა.—მისი წერილი თამარისადმი.—ამის პასუხი.—დასჯა ალექსი ანგელისა.—დაარსება ტრაპიზონის იმპერიისა.—სიკვდილი დავით სოსლანისა.—არდებილის სულთნის დამარცხება—ხორასანში გალაშქრება.—ზ. მხარ-გრძელის სიკვდილი.—პირველი ათაბაგი.—განდგომა ფხოველთა და დიდოელთა.—დასნეულება თამარისა, მისი უკანასკნელი სიტყვები და სიკვდილი.

სახელი და დიდება თამარისა უმეტესად გაძლიერდა მეორე ქმრის, დავითის შერთვის შემდეგ. მან მეორედ დაამარცხა საქართველოში შემოსული რუსი—გიორგი. და გამოიჩინა დიდი ძლიერება სპარსეთის ომში და ნურედინის წინააღმდეგ ბრძოლაში,

მაშინ როდესაც სიხარული და ზეიმი იყო სასახლეში ქორწილის გამო, მოვიდა ამბავი, რომ ყველა სპარსელნი მისულან თავის სალიფასთან, უთხოვნიათ შეწევნა და ნება-რთვა წინააღმდეგ თამარისა; რომ ხალიფასაც ყოველსა შაჰსა სპარსეთისა დაურიგებია ოქრო, რათა შეკრიბონ ჯარი ურიცხვი. და მის ბრძანებისამებრ იკრიბება ჯარები ინდოეთიდგან, სამარყანდიდგან მოკიდებული ვიდრე დარუბანდამდის. ესე იგი იმდენი ლაშქარი, რომ მათი რიცხვი არცარავინ იცოდეს და „არცარა ერთსა თემსა დაეტეოდეს“. ამდენი ჯარები შეეკრიბათ, ხალიფას ძვირფასი დროშა წამოეღოთ და დაებანაკებულიყვნენ ადარბადაგანს და მხოლოდ „მაშინ განეცხადებინათ წაკიდება თვისი“.

რამწამს ყოველივე ესე ესმა თამარს, უბძანა ანტონი ჭყონ-

დიდებულს, არა ავითა გულითა და არცა დედა-კაცური სიტყვითა: «ისწრაფეთ და წრაფად და მამაცურითა სიტყვითა მიმოდასდევით ბრძანება, რათა მისწრაფე შემოკრბენ მხედრობა...» ესე უბრძანა და ბრძანება საქმე იქმნა და ამის დღესა შინა ვითარცა გრძლი ჰავაზღვრით მოჰკვრიდა ყოველი მხედრობა, ყოვლითურთ საკსენი სიხარულითა და აღივსო სვითა თამარისათა მტკვრის პირი თრიალეთისით ყარაღაჯამდის, აღგეთის პირი, ქციის პირი და ბერდუჯის პირი...» ყველა ეს ჯარები მივიდნენ სომხითში და იქ იხილა იგინი თამარმა და ტკბილი, მამაცურ სიტყვით მიუგება მათ:

„ძმანო ჩემნო, ყოვლადა ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისათვის მათისა და სიმცირისათვის თქვენისა. რამეთუ ღმერთი ჩვენთანა არს... მოიგონეთ გედეონისაგან ურიცხვ მადიანელთა დახოცვა... მხოლოდ ღმრთისა მიენდევენით და გულნი თქვენნი „სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება თქვენი ყოველი ჯვარისა მიმართ ქრისტესისა ყავთ: შეისწრაფეთ ქვეყანად მათდა, შეწევნითა ყოვლადა წმ. ღვთისმშობელისათა და ძალითა უძლეველისა წარემართენით.“ ამის შემდეგ წარუძღვნა ძველი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი.

ამ ნაირად გამხნევებული ჯარი ორად გაიყო და ორის მხრით იერიშით მივიდა მტერზე. პირველად მივიდა მტერზე ზაქარია მხარ-გრძელი და როცა იგი ურიცხვ მტერთაგან იძლეოდა, უცებ შემოუტია მათ უკანიდგან დავით სოსლანმა და მყის დაამარცხა დაღალული მტერნი და ტყვე ჰყო მრავალი მათგან (12,000 კაცი) და ხელში იგდო ყველა მათი ქონებანი, მრავალნი დროშანი ხალიფას დროშითურთ. ბრძოლის ველზე მტერს დარჩა ურიცხვ ოქროვერცხლის, თვალ-ღუეულობის და ძვირ-

ეგასის ქვების კარდა 2.000 ცხენი, 17.000 ჯორი, 15.000 აქლემი, ყველა ესენი დატვირთულნი სურსათით და სხვა და-სხვა ნივთეულობით ამდენის განძეულობით და დიდებულებით წამო-ვიდნენ ქართველნი და მიულოცეს თამარს სახელოვანი გამარჯვ-ება.

ამის შემდგომ თამარმა გაგზავნა ჯარები ყარსის ასაღებად. დროთა ვითარებისამებრ ეს ქალაქი მტრებს დაეჭირათ. რამწამ მოუახლოვდნენ ყარსს ქართველნი, იმავ წამს მტრები გაიქცნენ და იგი დარჩათ ქართველთ ყარსის მმართველად დასვეს იოანნე ახალციხელი ჯაყელი, და თვით დაბრუნდნენ ქართლად. აქ დიდ ხანს არ მოუსვენია ჩვენ ჯარს. მალე მათ წინ აღუდგა სა-შინელი მტერი ჯვაროსნობისა—ალეპპოს*) ნურადინი, რომელიც ასეთი გადიდგულებით და ამაყობით სწერდა წერილს თამარს და გა-მოითხოვდა მას ბრძოლის ველზე:

მე ნურადინ, სულტანი ყოვლისა ცისა ქვეშისა, უმაღ-ლესი, მამსგავსებული ანგელოზთა, თანამდგომი ღვთისა, მოვ-ლინებული დიდის მოქმედისაგან, მოგიმცნობ მეფესა ქართველ-თასა თამარს: ყოველი დიაცი რეგვენია: შენ უბრძანებია ქარ-თველთა აღებად ხმლისა და ღვთისაგან საყვარელისა ისლამთა ერისა დასაცავად მუსულმანთა და კვალად ნათესავს. ზე და თავის-უფლის დადებად ჯვარი უმბერი. აწ მე მოვალ რათა უსაჯო სამართალი სახლს სპარსთასა და განვწვარო შენც და ყოველნი შენნი არასოდეს აღებად ხმლისა, რომელი ღმერთსა ჩვენთვის უ-ბოძებია: ხოლო ცხოვრებით იგი იქნენ გაცხოვნო, რომელმან

*) ალეპპო იყო მაგარი და მდიდარი ქალაქი ასურისტანში. ეს ქალაქი მე X საუკუნეს ეკუთნოდა ეგვიპტის სულთნებს. სულთანი ნუ-ქარდინიც აქაური იყო.

უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყვანი მცეს წინაშე კარვისა ჩემი-
სა და აღვიარის ქადაგება მაჰმად მოციქულისა და უარჰყოს სჯუ-
ლი შენი და ხელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწვად ჯვა-
რისა, რომლისა მიმართ დაგიცსთ ცუდი სასოება; აწ მოელოდი
ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეემთხვიე სპარსთა".

ნუქარდინს ჰყავდა 800,000 და ამათგან 100,000 იყვნენ
ცხენოსანნი. ამ ჯარში მოგროვილნი იყვნენ მცხოვრებნი მესო-
პოტომიიდგან, გალეტონიდგან, ისავრიდგან, კაპპადოკიიდგან,
დიდი სომხეთიდგან, ბითინიიდგან, პაფლაგონიიდგან და სხ.
ადგილებიდგან.

ამასთანა მალზე დაიმედებულმა ნუქარდინის მოციქულმა, როცა
„შეიყვანეს თამარს წინაშე ამაყად სთქვა: «უკეთუ მეფემან თქვენ-
მან დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმა ცოლად, და უკეთუ
არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტნისა.“

ამ სიტყვებმა აალელვეს სარდალი ზაქარია და ეს მყის
წარმოდგა და გააწნა ისეთი სილაქი, რომ მოციქული «დაეცა
პირსა და ვითარცა მკვდარი დაედვა».

წაიკითხა თუ არა თამარმა ამ გვარი საწყენი წერილი ნუ-
ქარდინისა გასცა ბრძანება მოეგროვებინათ ჯარები.

„მაშინ მოუწოდეს სპათა, იმერთა და ამერთა, ნიკოფსი-
ით ვიდრე დარუბანდამდის და ბრძანება და წიგნები ქროლდა და
მალე-მსრბოლთა ცოტათა დღეთა შინა მალე შემოკრიბეს, ვი-
თარცა ვეფხვნი სიკისკასითა და ვითარცა ლომნი გულითა...
შეკრბეს ჯავახეთს და არღარა ჰყოვნეს... შევედრა (თამარმა)
სოსლან დავით და სპა მისი და დროშა ბედნიერად ხმარებული
და წარგზავნა კარმიით ლაშქარნი, რომელთა თვით თამარ უძ-
ღოდა წინა...“ ასე მივიდნენ ბასიანამდის, იქ იყვნენ ერთ დღეს
და „მხოლოდ მაშინღა მოციქულნი წარგზავნნა სულტანისა და

წარატანა თან მოციქული თვისი და მიუწერა ნაცვალი წიგნისა ესრეთცა:"

«ძალისა ღვთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან და მარადის ქალწულისა მარიამის მეოხებელმან და პატიოსნისა ჯვარისა სასოებით მოსავმან, წავიკითხე ღვთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ჰოი ნუქარდინ და ვსცან სიცრუენი შენნი, რათა ბჭე ღმერთი იყოს; არა გასმიესა, რამეთუ ყოველი ცრუდ მოფუცავი სახელსა ღვთისასა მის მიერ აღიხოცოს: შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილხარ უმეცარი მსჯავრსა ღვთისასა, ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩუენთა სიმრავლესა, არცა რასა სხვასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღვთისა, ყოვლისა მპყრობელისა და შეწევნასა ქრისტეს ჯვარისასა, რომელსა შენ ჰგმობ: ესე—რა ვითარი შემოგეოვალა, წარმომივლენია მხედრობა ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თავყანის ცემად, არამედ დამხობად შენდა ზვავისა მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღვთისა მიერ არღა რა გმობად სახელისა მისისა; იყავნ ნება ღვთისა და ნუ შენი; ხოლო მე ვუწყი დახსნილობა მსახურთა შენთა, ამისთვის წარმომივლენიეს მსახური ჩემი რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართვას და განგკრძალოს. რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა ფერხნი ესე რა კართა შენთა ზედა დგანან".

ამის შემდეგ ქართველთა ჯარმა დაუყოვნებლივ თაყვანი სცა და უამბორა წმ. ჯვარსა—ძელი ცხოველისასა, გამოეთხოვა და გამოემშვიდობა თამარს და მივიდა ბასიანს, სადაც იყო დაბანაკებული სულტანი და ნახეს იქ რიცხვი ცხენისა, ჯორისა, და აქლემისა ურიცხვი, კარვები და სარა-ფარდაგები, რომელთა მინდორი იგი ძლივს იტევდა. მუნ (ადგილსა ბოლოსიტყვად წოდებულსა) დაასწყეს ქართველთა თვისი რაზმები და «მუნ წინა

მბრძოლად იყო ზაქარია მხარგრძელი, ამირ-სპასალარი და ახალ-ციხელი შალვა და ივანე, და სხვანი თორელნი და ერთი გვერდით აფხაზნი და ერთ-გვერდით ამერნი. ვერ გახსნა და ვითარ იხილეს სულტანისა ცოტად ცხენი, ააჩქარეს და მიმართეს.“ მოჰკიდა ომი ფიცხელი და ძლიერი, განგრძელდა მყოვარ ჟამ. ანაზდათ ეგოდენი მტერთა სიმრავლე განსქდა, იძლია და დაი-ფანტა.

განდევნილ და განფანტულს მტერს ქართველთ „დევნა შექმნეს, ჰხოცდეს, ჩამოჰკრიდეს, იპყრობდეს და სიმრავლისაგან მტერი ვერ ივლტოდეს, არამედ ურთიერთარს დასთრგუნვი-დეს.“ მტერნი ამ გვარად სრულიად დამარცხებულ და დევნილ იქმნნენ. მხოლოდ ქართველთა ჯარი მცირედ დაზიანდა და «არც ერთი კარგი მეომრისაგან შესწავლებული კაცი მოჰკვდა».

ქართველთა დარჩა იმდენი დავლა, რომ „არ იყო განცდა მისი სიდიდითა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელთა, ნაქსოვთა სიმრავლე აურაცხელნი, სასმურნი ოქროსანი, თვალ-მარგალი-ტოვანნი, ლანგნები, ჰინაკები, ლაგვინებისა და ქვაბებისათანა ულეველითურთ სავსეთა მიუწდომელითა ალაოზითა; ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემისა სიმრავლე და კრავთა და საფანელთა სი-მრავლე და ურიცხვულობა, რომელ დაყარეს, ვინმე აღრაცხნეს. რამეთუ სავსე იყო ყოველი საბანაკო მათი.»

ამდენის დავლით ქართველი ჯარი დაბრუნდა და მოვიდა თბილისს, საცა თამართან ერთად იდღესასწაულეს ძლევა მტერ-თა ზედა. ტყვეთა რიცხვი იმდენი იყო, რომ „ასსა სპარსა ერთი ქრისტიანე ძლივ მიხვდებოდა წარმომყვანელად“. აივსო თამარის ხაზინა სიმდიდრითა. სასახლეში ამის შემდეგ სხვა ჭურჭელს აღარ ხმარობდნენ თუ არა ოქროს და ვერცხლისა;

ძვირფასი ქვები და იაგუნდი იმდენი იყო, რომ ასწყავით რწყავდნენ მას.

ყველა ეს დავლა, აურაცხელი ალაფი, თამარმა მოახმარა ქველ და კეთილ საქმეებს. ალექსანდრიიდგან (ეგვიპტეში) მოკიდებული ლუბია სინაიამდის და «მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის, ხოლო იერუსალიმისთვის რაღა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნილის ამათ ყოველთა შინა ბარძიმ-ფეშხუმებსა ეკლესიათა და საწმიდეთა საბურველსა და მონაზონთა და გლახაკთათვის ოქროთა აურაცხელთა; ტყვენი განათავისუფლნა და ხარკი ერსა თვისსა უკუნ სცის და ყოველი ჭირი დაჭირებული აღიღოს მათგან; კვალად კერძოთა ელადისათა და მთა-მწადისა, ეგრეთვე მაკედონიისათა, პიტრიელონს, კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინოპოლის მონასტრებითა, რომანას და ყოველგან; და კვალად ისავრიას, კურუხეთს და ყოველთა მათ სანახებთა. შავისა მთისათა (черногорія), კვიპრისათა, ესე ყოველნი აღავსნა ქველის საქმითა...

მაშინ როდესაც თამარი თვისის ძლევა-მოსილობით იდიდებოდა ყოველგან და როცა იგი უხვს მოწყალებას აძლევდა ქვრივ-ობლებთა, მონაზონთა და მონასტრებთა, მაშინ ბერძენთ იმპერატორი ალექსი ანგარი, «რომელმან ძმასა თვისსა ისაკსა თვალნი დასწვნა და მეფობა წარუღო" (წაართვა) აღჭურვილი ვერცხლ-მოყვარებით სჩაგრავდა და სცარცვავდა თამარისაგან გაბედნიერებულთ მონაზონთ და მონასტრების ქონებას ისაკუთრებდა. „სცნა რა ესე თამარმა, მაგიერი წართმეულთა სხვა გაუგზავნა მონასტერთა და განრისხდა მეფეთა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვისმე ლიხთიქითნი და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კე-

სუნდი, კიტორა, ამასტია, ირაკლია და ყოველნი ადგილნი ფუბლაღონიისა და პონტოსისაა. აქ დაარსა ტრაპიზონის იმპერია*) და მმართველად განაწესა ნათესავი თვისი ალექსი კომონიანოსი (კომნენი), ანდრონიკაშვილი.

თამარმა თვით თავის საკუთარ ქვეყანაში არც ერთი ეკლესია, ტაძარი არ დასტოვა შეუწევნელად. ყველას ყველგან ის აქცევდა დიდს ყურადღებას. დანგრეულებს ეკლესიებს, ციხეებს აგრეთვე აახლებდა და ახლებს აშენებდა. გაჰყავდა უწყალო ადგილებში არხები, რუები. იმან ერთს ადგილას ცხოვრება არ იცოდა, ხან ცხოვრობდა კახეთში, ხან ქართლში, ხან იმერეთში. არც ერთი კუთხე საქართველოისა არა რჩებოდა თამარს უნახველად.

საარაკო მოჰქონდათ თამარისათვის გარდა მთიულ ხალხთა განძელთ, ნახჭევნელთ, კარნუქალაქით (არზრუმით) და ყზინკიით.

როდესაც დედოფალის გავლენა სხვა-და-სხვა ხალხებზე და მისი დიდება აღვიდა უმაღლეს წერტილამდის, და როდესაც მან ყოველი თვისნი ცოდნანი და ძალნი სამშობლო ქვეყანის შინაურ საქმეებს მიაპყრო, მაშინ მოკვდა დავით სოსლანი რომლისაგან თამარს დარჩა ვაჟი გიორგი—ლაშა და ასული რუსუდან. ჩვენს მტრებს გაუხარდათ მისი სიკვდილი და აფერხდნენ: მოინდომეს თვისი დიდების დაბრუნება და ჯვარის ამოყრა.

პირველი აღდგა არდებილის სულტანი, რომელიც უკარულად შემოვიდა ანას ქალაქში, დახოცა მრავალი ეკლესიაში მლოცავი ხალხი. ეს გაიგო თამარმა და მალიად გაგზავნა თავისი ჯარი თვით არდებილში; ქართველთ აიღეს ეს ქვეყანა, მრავალი დახოცეს (12,000). ტყვეთ წამოიყვანეს სულტანი და მისნი

*) ტრაპეზონის იმპერია არსებობდა ვიდრე 1461 წლამდის. და ამ წელს მას ბოლო მოუღეს ოსმალთა.

ცოლნი და შვილნი, გარდა ურიცხვი ძვირფასეულთა, აქლემთა, ჯორთა ცხენთა და სხვათა.

რაოდენიმე ხნის მშვიდობიანობის შემდეგ, თამარმა ზახარია და ივანე მხარგრძელების რჩევით, გაისტუმრა თვისი ჯარები სპარსეთში ხორასნის დასაპყრობლად. დიდძალი ქართველი ჯარი გადავიდა მდ. არეზზე და მიადგა თავრიზს, რომლის მცხოვრებნი განკრთეს და ძრწოლამან შეიპყრნა ყოველნი მკვიდრნი თავრიზისანი, ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი მიმდგომნი თავრიზის ქალაქისანი; მაშინ განიზრახეს რათა ხარკის მიცემით და ძღვნითა და შევრდომითა და ზენარის თხოვნითა დაამშვიდონ პირნი ქართველთა სპათანი; წარმოავლინეს მოციქულნი და ითხოვეს მშვიდობა არა მოოხრება ქალაქისა მათისა; აღუთქვეს ძღვენი ურიცხვი. დასთანხმდნენ პირობაზედ ქართველენი და მერმე «მოვიდეს ყადნი, ხოჯანი და ყოველნი თავადნი თავრიზისანი და მოიღეს ოქრო, ვერცხლი, ლარი, თვალი, მარგალიტი, შესამოსელნი, ცხენი, ჯორი, აქლემი და საზრდელნი კმასაყოფელნი ლაშქართათვის; აღავსნეს დიდნი და მცირენი.»

აქ თავრიზს ზაქარია მხარგრძელმა დასვა თავისი მმართველნი, თითონ კი წაუძღვა ჯარებს: გაიარეს ადარბადაგანის ქვეყანა და მიმართეს მანას... რამწამ მანას მელიქმა გაიგო ქართველთა მოსვლა, მოუქცა თავრიზელებსავით: ურიცხვი საქონლით იყიდეს მშვიდობა. ზაქარიამ აქაც დასვა საკუთარი მმართველი და წავიდნენ და შემოერტყნენ ერთ. მცირე მაგრამ ძლიერად გამაგრებულ ქალაქს—ზანგას ამ ქალაქელთ ფიცხლად იწყეს ბრძოლა. მაგრამ მალე ქალაქი აღებულ და მცხოვრებნი ხარჯ დადებულ იქმნენ. ამის შემდეგ ქართველთ აიღეს ხვარასნის ქალაქები: ყაზმინი და გურგანი.

ამას იქით ქართველნი ვეღარ წავიდნენ, რადგან დიდ ძალი

ალაფთ ამძიმებდა მათ «შემოიქცეს გამარჯვებულნი და სიმდი-
დრითა შემოსილნი ქართველნი» მაგრამ დაბრუნებისას გაიგეს,
რომ მანას მელიქს დაუხოცნია და ძელსა ზედა ჩამოუკიდნია
ქართველთ მცველნი. ესმა ესე ზაქარიას და ივანეს: დიდად გა-
მწარდეს. შეიპყრეს მელიქი და ყოველნი სახლეულნი და ნათე-
სავნი მისნი და საკვდილად დასაჯნეს, თვით იგი და შვილნი მის-
ნი, ტყავები დაჰხადეს და ძელსა ზედა ჩამოჰკიდეს: ხოლო ქა-
ლაქი მოაოხრეს, მოწვეს და ტყვე ჰყვეს, ხოლო სიმდიდრე
რომელ წარმოიღეს შეუძლებელ არს აღრიცხვა მათი».

ამის შემდეგ წამოვიდნენ ადარბადაგანს და გამოვლისას
პირველად უჯანელთ მერმე თავრიზელთ მოართვეს ქართველთ ჯარს
დიდი ძღვენი და სიმდიდრე. ამ ქვეყნიდგან გამოვიდნენ
ნახიჩევანს და მშვიდობით და დიდებით მოვიდნენ თბილისს
წინაშე თამარისა, რომელიც გაეგება მათ ზეიმით და დიდებითა.
იყო სმა ზუკთა და დუმბულთა. მერმე შევიდეს ისანთა და და-
ჯდა მეფე ტახტსა ზედა სამეუფოსა. შეუძღვა ამირ-სპასალარი
და შევიდეს თავადნი და დასხდეს წესისაებრ და მიიღეს არმა-
ღანი ურიცხვი, და დადვეს წინაშე მეფისა: განკვირდა მეფე,
რომელ არავის ქართველთაგანსა ენახნეს ეზომნი სიმდიდრენი
აურაცხელნი, თვალნი და მარგალიტნი. ხოლო თამარი აღასრუ-
ლებდა ლიტანიობასა და განსცა მრავალი ობოლთა და ქვრივთა
ზედა და ეკლესიანი აღავსნა სიმდიდრითა და ლაშქართა ზედა
განყო საჭურჭლე დიდი».

მაგრამ, სამწუხაროდ ამისთანა სიხარული დიდხანს არ
გაგრძელდა. ძლევა-შემოსილი და სპასალართა შორის უნიჭიე-
რესი კაცი ზაქარია, ძე სარგის ამირ-სპასალარისა გარდაიცვალა
და ჰქმნეს გლოვა და ტირილი დიდი. ზაქარიას დაკარგვა დი-
დად უღირდა თამარს და საქართველოს, რადგან მასთანა ერთ-

გული და ნიჭიერი მეომარი საქართველოს სხვა არა ჰყვანდა. მოიგლოვეს იგი და მერმე თამარმა მოიწვია ძმა ზაქარიასი ივანე, მსახურთ უხუცესი და ამირ სპასალარობა უბოძა. მაგრამ მან არ ისურა ეს თანამდებობა და უთხრა მეფეს: „მრცხვენეს ნაცვლად მისსა დგომად, არამედ ათაბაგობისა პატივი მეც, რამეთუ საქართველოსა შინა არა არს ესე წესად თქვენ მეფეთა წინაშე მეფობისა. ამით განადიდე წყალობა შენი ჩემზედა, ვითარცა წესი არს სულტანთა რომელნ მეფეთა გამზრდელთა და სულტანთა ათაბაგობით უხმობენ. ესმინა ესე თამარმა და ათაბაგობა უბოძა. მსახურთ უხუცესად კი დანიშნა ვარამ, ზაქარია გაგელისძე.

ამის შემდეგ თამარი როცა მოგზაურობდა თვის სამეფოში და ყველას მამასავით ეალერსებოდა და უპატრონებდა, მოვიდა ამბავი, რომ ოსხოველნი და დიდოელნი განდგნენო, მყის შეაგროვა ჯარები და ათაბაგის წინამძღოლობით გაგზავნა მათ ზედა. სამ თვეს იყო ბრძოლა. განდგომილნი დამარცხდნენ და დასჯილ იქმნენ და სამარადისო მორჩილებაში ყოფნის პირობა მისცეს.

სამწუხაროდ, რადგანაც ცის ქვეშე არა არის რა უსრული, აგრეთვე ქართველთ სიხარულს და ბედ-ილბალს, და წარმატებას ბოლო მოუღო. ამსოფლიოსათა შინა განგრძობილი დედობრივ უძლურებისაგან ნაჭარმაგევს ავად გახდა თამარ და თბილისს ქუბოთი წამოიყვანეს. ვერა მკურნალმა ვერ მოარჩინა იგი: დღემან მისმან იწყო მიდრეკად, მზემან დასვლად, ჰაერმან სხვად ფერად უფერულობა და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა, ლაწვთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად; და თვალთა მათ ტბაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუდეთ მიმართეს, ხელთა მათ, მსახურებისაგან გლახაკთასა

არაოდეს დაცხრომილითა, იწყეს მოუძლურებად; ფერსთა იწყეს შედრეკად, და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხვად და სხვად ფერად იხილვებოდეს*. თამარს გარს ესვივნენ ყოველი წოდების და ღირსების ხალხნი: თავადნი აზნაურნი, გლეხნი, სამღვდელონი, გლახაკნი და ობოლნი და ყველანი ქვითინით სტიროდნენ მეფის დაკარგვას. ბოლოს სიკვდილის წინა წამებში სნეული წამოიწია და მიჰმართა ხალხს: «ძმანო და ჩემნო შვილენო, მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელის... გევედრები ყოველთა რათა მარადის კეთილსა შინა იყვნეთ მახსოვნებელ ჩემდა. აჰა ესე-რა მკვიდრად სახლის ჩემისა დაგიტევებ, რომელნი მომცნა ღმერთმან. შვილნი ჩემნი გიორგი და რუსუდან: ესენი მიიხვენით ჩემ-წილ და მაგათ აღმოგივსონ დაკლებული ჩემი» ბოლოს ყველას გამოემშვიდობა და უკანასკნელად სთქვა: «ქრისტე და ღმერთო ჩემო; შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ და მერმე სულსა ჩემსა»* და ამით აღესრულა მზე ქართველთა, იანვრის 18 დღესა, 1212 წელსა. იმეფა სულ 28 წელი.

გვამი თამარისი რამდენიმე დღეს დასდვეს მცხეთის სობოროში და მერე წაიღეს და საუკუნოდ დაასვენეს გელათის ტაძარში.

## III

შედეგი თამარის მეფობისა ქართველთ ერისათვის და ქრისტიანობისათვის საზოგადოთ.—ქართული ლიტერატურა —ოქროს ეპოქა ქართველთათვის,—მოსე ხონელი, დილარგეთ სარგისთმოგველი, აბდულ მესია შავთელი, ჩახრუხაძე და უკვდავი შოთა რუსთაველი.

თამარის მეფობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს და ქრისტიანობას საზოგადოთ. რადგან თამარმა დაუმტკიცა გარეშე მტრებს ქართველთ ძალ-ღონე და დიდება და მით განადიდა და დაიფარა აურაცხელ მტერთაგან თვისნი ქვეშევრდომნი, ამიტომ შინაური ცხოვრება ქართველთა ფართეთ და თავისუფლად აღყვავდა და მიაღწია უმაღლეს წერტილამდე რამდენადაც თამარი იყო ძლიერი და ღონიერი სამხედრო საქმეებში იმდენად და უფრო მეტად ხალხის მმართვაში. იმან დამართა მრავალი სკოლები, რომლებშიაც იზრდებოდნენ ქართველთ ყმაწვილები; იმან აღაშენა მრავალი სკოლები და ეკლესიები ყველა მთიულ ხალხებისათვისაც; ოსეთში, ჩერქესეთში. ლეკეთში და ყველგან მთაში არიან ნაშთნი ეკლესიებისა, ციხეებისა მოწმად თამარის მოღვაწეობისა ყველა ამ ველურ ხალხების გასანათლებლად. იგი იყო კარგი აღმაშენებელი ქვეყნისა: არც ერთი კუთხე საქართველოსა არ დარჩენილა, რომ იქ თამარი არ ყოფილიყო და არ დაეტოვებინა თვისი კვალი. ზოგან იგი აშენებდა ქალაქებს, ზოგან ციხეებს, ზოგან ეკლესიებს, ზოგან გაჰყავდა არხები, ზოგან გალავნები, ერთის სიტყვით, ყველგან და ყველაფერს უწვდებოდა ხელი თამარისა. ამდენის ღვაწლისაგამო ეხლაც თვით ჩვენ მტერ

მთიულ ლეკთაგან და სხვა ხალხთაგან იდიდების „ფერი ფაჩი-ჩაი“ (თამარ-მეფე).

ამ ნაირად თამარის დროს დაუდგა უველა ქვეშევრდომ ხალხებს, საზოგადოთ, და ქართველებს, კერძოდ ოქროს ეპო-ქა. თამარი იყო მფარველი და პატრონი ყოველი ნიჭისა. ნი-ჭიერნი და გონიერნი მუდამ წინ წამოწეულნი, და პატივში იყვნენ. უკეთესი ადგილები სამსახურში მათ ეჭირათ. ეს იყო მიზეზი, რომ ქართველი სულიერი და გონებითი ნიჭიერებანი გაიფურჩქნენ და ფართოთ გაიშალნენ. ამ დროს დაიბადნენ შე-სანიშნავნი და უნიჭიერესნი მწერალნი: მოსე ხონელი, დიდარ-ჩეთ სარგის თმოგველი; პოეტნი: აბდულ მესია შავთელი, ჩა-ხრუხაძე და რუსთაველი შოთა. ამ პირთ უკვდავი ჰქმნეს ჩვენი ლიტერატურა

მოსე ხონელი — ხონის მცხოვრები, იყო თამარის ვეზირი ამან დასწერა რომანი «ამირან-დარეჯანიანი».

დიდარჩეთ სარგის თმოგველი — სოფ. თმოგვიდამ (ახალ-ციხის მხარეში). ამან სპარსულიდამ გადმოსთარგმა რომანი «ვის-რამიანი» ამაშია მოთხრობა ვისზე და რამინზე.

აბდულ მესია შავთელი — სეკრეტარი თამარისა. ამან დას-წერა მშვენიერი ლექსი სადიდებლად დავითისა. ამნაირივე ლექსი დასტოვა მეფის საზინადარმა ჩახრუხაძემ სადიდებლად თამარისა.

შოთა რუსთაველი დაიბადა მცირე სოფელ-ქალაქში — რუს-თავში (ახალციხის მხარეშია). იმან მიიღო უმაღლესი განათლება ათ. ნაში და შემდეგ უპირველესი ადგილიეკავა სამეფოში ამან დასწე-რა «ვეფხის ტყაოსანი». ეს სახელი იმიტომ ჰქვიან ამ პოემას, რომ მისი (პოემის) უმთავრესი მოქმედი პირი — ტარიელი იცვამდა ვეფხის ტყავს.

მოსე ჯანაშვილი.

(გაგრძელება იქნება.)

# დაგვირგვინებული მოლოდინი.

შეწუხებულსა, სახლშია ავადმყოფს
კარსა შემადგა უცნობი პირი,
დაბალის ხმითა გალებს მოიხოკა,
თითქო საქმე აქვს რამ გასაჭირი.

—

ამენხით ვსთქვი ჩემთვის გაუღეთ კარი,
იქნება ჭარით არის დამთვრალი,
ვუშველოთ რამე, რითიც შევიძლოთ,
და არ გავგზავნოთ მტრის გასახარი.

—

გაუღეს კარი, თავს წამამადგა
ვიღაც უცნობი წიგნებით ხელში*)
ღიმილით მითხრა: აი შესრულდა,
რაც რომ გქონდა წინათ სახეში.

—

გადმომწვდა შორით და მომაწოდა —
აი, მიიღე შენა «იმედი» **)
ნუ გეშინიან—კარგათ იქნება,
ჯერ არ გამქრალა მთლად შენი იმედი.

—

*) ფოჩტალიონი, ქართველი კაცი.
**) ახალი გამოცემული ჟურნალი;

სთქვა ეს სიტყვები, გაბრუნდა ჩქარა,
დღესაც არ ვიცი სად მიიმალა,
შეწუხებულმა ვიბრუნე გვერდი,
ხელში ავიღე ჩემი „იმედი“

—

ჯერეთ გემთხვიე, მივიკარ გულსა;
შვება მიეცა, ვიგრძენ ჩემს სულსა;
მერმე შევვედრე მაღალსა ღმერთსა—
დიდხან სიცოცხლე ჰქონდეს „იმედსა“.

—

როგორც რომ სხვები, ესეც არ განქრეს
შურით და მტრობით ისევ ჩვენგანსა;
სხვა საქმეებში ცალკე გავსწორდეთ,
ვის რა საქმე გაქვსთ ჟურნალებთანა?!...

ა. თუთაევი.

25 თებერვალს 1881 წ.

474
1882

1882 წლის ჟურნალ „იმედზედ“ ხელის მოწერა მიიღება ქ. თბილისში — მხოლოდ რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემეცკის სასაფლაოსთან, № 12.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго журнала «ИМЕДИ».

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალაქებში და თბილისში შინ მიტანით — — — 8 მან.

ნახევარი წლისა — — — — — — — 4 მ. 50 კ.

სამი თვისა — — — — — — — — 2 მ. 50 კ.

ცალკე ნომერი ღირს — — — — — 1 მ.

---

ვისაც ჟურნალი მისდისთ და ხვედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, ვთხოვთ მალე გამოგზავნონ.

---

ვისაც რომელიმე ნომრები ჟურნალისა არ მისვლიათ, ან არ მიუვიდესთ, ვთხოვთ გვაცნობონ და დაკარგული წიგნები გაეგზავნებათ ხელახლად.

---

რედაქტორი და გამომცემი მ. გურგენიძე.